გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილორი



www.ilori.ge

№125 (186) 28 ივნისი - 5 ივლისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ქართველებს გვინდა რომ ქართველი პრეზიდენტი გვყავდეს!

მას შემდეგ, რაც საქართველო საკუთარ პირად მეურნეობად აქცია კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მოვლენილმა სატანა-ურია ედუარდ შევარდნაძემ (მისი არაქართული ფესვების თაობაზე ჩვენ რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნეთ გაზეთ "ილორში"), საქართველო ვერა და ვერ გაიმართა წელში. მხოლოდ ერთი წელიწადი გვედგა ზეობის ხანა, როცა საქართველოს სათავეში ჩაუდგა ჭეშმარიტი ქართველი ზვიად გამსახურდია, მაგრამ ურია-შევარდნაძემ საკმაოდ დიდი დანახარჯის ფასად მოახერხა ეროვნული ხელისუფლების დამხობა, მეორედ მოაჯდა საქართველოს კისერზე, შემდეგ კი ეთნიკური სომეხი მიხეილ სააკაშვილი დაგვასვა თავზე.

სომხობაში თავისთავად ცუდი არაფერია და ჩვენ დიდ პატივს მივაგებთ ჩვენს ისტორიულად კეთილ მეზობლებს, მაგრამ ისევე არ გვინდა საქართველოს მართავდეს სომეხი ეროვნების ადამიანი, როგორც სომხები ვერ მოითმენდნენ თავისი სახელმწიფოს სათავეში ქართველი კაცის ჯდომას!

სომეხიც არის და სომეხიც, თუნდაც ის ტერტერა სააკაშვილი ავიღოთ, რომელმაც ქართლის დიდი სოფელი გადაარჩინა თათრების შემოსევას, მაგრამ, სამწუხაროდ, არამც თუ სხვა მრავალი სომეხი, არამედ სხვა სააკაშვილიც არ გამოდგა იმ ტერტერასავით საქართველოს კეთილისმყოფელი.

ისტორიულად ისიც ცნობილია, რომ სომხების რეაქციულ ნაწილს არასოდეს აძლევდა ხელს ქართველებისა და რუსების მეგობრობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ შესძლეს (ასევე რეაქციონერი) რუსების დარწმუნება იმაში, რომ ჯავახეთი ძირძველი სომხური ტერიტორიააო. ახლა კი ცდილობენ, რომ იგივე რუსების ხელით აგვართვან ისტორიულად ქართული მიწები და ამიტომაც მიდიან ყოველნაირ პროვოკაციაზე, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არ დათბეს. და, ყველაფერ ამას აკეთებენ რუსეთში მობოგინე სომხების და სომეხი სააკაშვილის ხელით, რასაც, სამწუხაროდ, უკვე მერამდენე წელია გულგრილად ადევნებენ თვალს ქართველები. ამასობაში კი ურთიერთობა თანდათან უფრო იძაბება და ერთ დროს ძმებად მყოფი ქართველი და რუსი ხალხი სააკაშვილის ძალისხმევით, ახლა, ბარიკადების სხვადასხვა მხრიდან ჭოგრიტით უყურებენ ერთმანეთს როგორც დაუძინებელი მტრები. სიტუაციას კი კიდევ უფრო ამძიმებს "რუსების მიერ მოწყობილი გაუთავებელი ტერაქტები", რომელსაც ისინი "აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ხელით ახორციელებენ".

მაგრამ, დაკვირვებული თვალი მყისვე შეამჩნევს, რომ ასაფეთქებელი მასალების საქართველოში შემოტანა რუსი სამხედრო დაზვერვის ოფიცრების მიერ, ინსინუაცია და სომხური ხელისუფლების მიერ საკმაოდ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლია. თუ რატომ, ახლავე აგიხსნით.

თავად დააკვირდით – დააკავებენ თუ არა აფხაზეთიდან გადმოსულ კოჭოიას, ძუკუს ან მინადორას ასაფეთქებელი ნივთიერებით, რამდენიმე საათში "აღიარებინებენ" ხოლმე, რომ ეს ასაფეთქებელი ნივთიერება საქართველოში ტერაქტის მოსაწყობად რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცერმა ბორისოვმა (პეტროვმა, ივანოვმა და ა.შ.) გადმომცა და დავალების წარმატებით შესრულებაში ხუთი ათას დოლარსაც დამპირდაო. ყოველივე ამას დიდი რიხით აჩვენებენ ხოლმე ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიები (იცით, რომელ ტელეარხებზეა საუბარი) და თან, ზედმეტი დამაჯერებლობისათვის, იმ ბორისოვის (პეტროვის, ივანოვის და ა.შ.) ფოტოსურათებსაც გამოაქვეყნებენ ხოლმე.

ამ შემთხვევაში ორი შესაძლო ვარიანტი უნდა განვიხილოთ.

პირველ შემთხვევაში რუსი ოფიცრები ალბათ ამ "დავერბოვკებულ" კოჭოიებს, ძუკუებს და მინადორებს ასაფეთქებელ ნივთიერებებთან ერთად საკუთარ ფოტოებსაც გამოატანენ ხოლმე – ვიცით რომ ყოვლისშემძლე საქართველოს უშიშროების სამსახური მაინც გამოგიჭერთ და თვალსაჩინო მასალების ძებნა რომ არ გაუჭირდეთ, იქვე ჩვენი სურათებიც გადაეცით საილუსტრაციოდო. "ბოლოს და ბოლოს, ჩვენი კოლეგები არიან და ხომ არ გავაწვალებთო!"

არის მეორე ვერსიაც. საქართველოს სპეცსამსახურების "ხელმარჯვე და ყოვლისშემძლე ოსტატებმა" დიდი შრომის ფასად ხელში ჩაიგდეს რუსეთის სადაზვერვო სამსახურების ყველა თანამშრომლის დოსიე, თანდართული ფოტოსურათებით, და ამიტომაც ახერხებენ ასე იოლად და ოპერატიულად "დავერბოვკებულთა" აღიარების მიღებასაც და მათ დამკვეთ რუს ოფიცერთა ფოტოსურათების ილუსტრირებასაც. როგორც ხანდახან ბებიაჩემი შემაქებდა ხოლმე, მეგრული პრონონსით: "მალიადეც!"

რა იყო, არ არის დამაჯერებელი?

და თუ გჯერათ, მაშინ სასურველია ვურჩიოთ "ხელმოცარულ" მთავარ რუს მზვერავებს, რომ გააუქმონ თავიანთი სიგრძე-სიგანეზე გაშიფრული სამხედრო-სადაზვერვო სამსახურები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუფორმონ გრძელვადიანი ხელშეკრულება სერვისულ მომსახურეობაზე – უფრო იაფიც დაუჯდებათ სადაზვერვო მასალების მოპოვება და მეტ ინფორმაციასაც მოიპოვებენ ჩვენი თუ სხვა ქვეყნების სამხედრო თუ ეკონომიკურ პოტენციალზე.

მართლა, ვაი ჩვენს დღეს, უბედურს, ასეთი ბრიყვი რომ ჰგონია ქართველი ხალხი საქართველოს სომეხ ხელისუფალს!

დღეს რომ სააკაშვილმა რუსებს მიგვაქსია და მათგან დაუძინებელი მტრის ხატს წარმოგვიდგენს, ის რუსები რომ არ შემოსულიყვნენ ორასი წლის წინათ საქართველოში და ევროპული კულტურა არ შემოეტანათ, თბილისში ახლაც თავზე თაბახშემოდებული, ბოსტნეულის ვაჭარი, გაურკვეველი ჯიშისა და სქესის კინტოები ირბენდნენ და დილით ქალაქს მოეფინებოდა ყარაჩოხელთა ბინძურ ჰიტად ქცეული:

"პატარა ბიჭი დამეკარგა, ცისფერპერანგა..."

თუმცა ცისფერპერანგიანები და ცისფერები არც ამათ აკლიათ, კახპებზე, ლესბოსელებზე და სატანური სექტების მიმდევრებზე რომ არაფერი ვთქვათ...

მაგრამ, როგორც უკვე მრავალგზის დავრწმუნდით, მიუხედავად "ნაციონალური" ხელისუფლების დაუნდობლობისა და მიზანმიმართული მტრული ქმედებისა ქართველი ხალხის მიმართ, მაინც საკმაოდ ძნელი იქნება მიხეილ სააკაშვილის თავიდან მოშორება, რადგან ამ პირწავარდნილი რეაქციონერი სომეხის პრეზიდენტად გახდომა (რომელსაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში ასევე ეთნიკურმა სომეხმა ზურაბ ჟვანიამ გაუკაფა გზა) და საქართველოს ხელში ჩაგდება მის საჯიჯგნად, რეაქციონერ სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მცდელობის შედეგია, ამ საქმეს მათ საკმაოდ დიდი თანხები მოახმარეს და, როგორ ფიქრობთ, ისინი ასე იოლად დათმობენ საქართველოს?

არ დაიჯეროთ!

სააკაშვილის სომხობაზე გაზეთი "ილორი" ჯერ კიდევ 2000 წელს წერდა, როცა იგი პარლამენტის წევრი იყო და ჯიუტად მიიწევდა ხელისუფლების მაღალი სართულებისაკენ. მაშინ არავინ იღო ყურად ჩვენი ღაღადისი, ახლა კი, როგორც იქნა, ამოიღეს ხმა ცნობილმა ადამიანებმა, რაც იმის უვერტიურა გახლავთ, რომ ქართველი ხალხი გააკეთებს სათანადო დასკვნებს, და არ მისცემს უფლებას მისთვის საძულველ არაქართულ პოლიტიკურ ძალას კვლავაც დარჩეს ხელისუფლების სათავეში და ძველებური მონდომებით გააგრძელოს ქვეყნის ნგრევა, დააჩქაროს სულიერი, მორალური და რელიგიური ეროზიის პროცესები.

პირში არ ვეუბნებოდით სააკაშვილს მის სომხობას და ამიტომაც გაგვითამამდა და უკადრისს კადრებს მთელ ქართველ ერს! (როგორ ფიქრობთ, საქართველოდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოწყვეტა არ არის ერთ-ერთი სომხური დაკვეთა?).

პირველად მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ მიახალა პირში სააკაშვილს მისი სომხობის თაობაზე და მთელი "ნაციონალები" წამოესივნენ, ქსენოფობიაში – სომეხთმოძულეობაში ადანაშაულებდნენ, მიჰყვიროდნენ – ეს როგორ აკადრეო, თუმცა იმის მტკიცება არავის დაუწყია, რომ მიხეილ სააკაშვილი ეთნიკური სომეხი არ არისო! მართლაც თვალშისაცემია მისი ჰაბიტუსი და, რაც მთავარია, საქციელიც – განსაკუთრებით ქართველებთან დამოკიდებულებაში, რომ არაფერი ვთქვათ მის საიდუმლო შეხვედრებზე ამერიკელ მილიონერ სომხებთან!

მეტი რაღა მტკიცებულება გინდათ?

ჩვენ კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ქართველი პრეზიდენტი სჭირდება!

აი, რა უნდა გახდეს საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალის სამოქმედო ლოზუნგი! ამის საბაბს იძლევა ის, რომ წლების განმავლობაში "ნაციონალებსა" და მის არაქართველ ბელადს ქართველი ხალხისათვის სასარგებლო და ხელსაყრელი არაფერი გაუკეთებია. "პატრულს" რომ გვამადლიან, პოლიციის სხვა სამსახურებშიც ჩაიხედონ, სულგაყინული კაცთმოძულე უჯიშოებით რომ არის სავსე და დაუნდობლად რომ ექცევიან საპროტესტოდ გამოსულ თანამოქალაქეებს.

სამედიცინო სფეროს განახლებით რომ ყელყელაობენ, განა მათ კისერზე არ არის გველისაგან დაგესლილი სამი წლის ბავშვის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უმანკო სული!) სიკვდილი, რომელიც უყურადღებობისაგან დაიღუპა. განა ქართველი ადამიანი იკადრებს, რომ მამასისხლად მიჰყიდოს თავის მოძმეს უცხოეთში კაპიკებად ნაყიდი პრეპარატი?

საითაც გაიხედავ ყველგან გაჭირვება, სიბნელე და უიმედობაა, რასაც თვითმკვლელობამდე მიჰყავს შრომასა და ლუკმა-პურს დანატრებული ადამიანი.

საქართველოში იგება გზები, შენდება პარკები და შენობები, მაგრამ არა ქართველებისათვის და ამიტომაც გარბიან ქართველები სამშობლოდან, რათა უცხოეთში მონური შრომით გამოიმუშაონ საარსებო საშუალება და გამოკვებონ შიმშილისაგან დაოსებული ოჯახის წევრები.

სააკაშვილმა სომხებს აუხდინა მრავალსაუკუნოვანი ოცნება და პარლამენტი გადააქვს ქუთაისში (სწორედ ამას შეეწირა მისი წინაპარი, სომხეთის ცეკას პირველი მდივანი ხანჯიანი, რომელიც არწმუნებდა ბერიას, რომ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადავიტანოთ, თბილისი კი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოვაცხადოთო), რათა აღმოსავლეთ საქართველო ახლოდან თუ შორიდან შემოთესლილ გადამთიელთა საკუთრებად და საჯირითოდ აქციოს! თანდათან გააქვს "გრელანდიის სურათივით" თბილისიდან სახელისუფლებო სტრუქტურები, რაც თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის კვდომას ნიშნავს!

და ჩვენ, ქართველები, ამას ტაშს ვუკრავთ!

განა ეს არ არის ერის გამოთაყვანება და განადგურების პირას მიყვანა?

ამიტომ, გამოიღვიძეთ ქართველებო, სინდისის და თავმოყვარეობის ძარღვი გაატოკეთ და თავი გაინთავისუფლეთ უცხო თესლის ძალადობისაგან!

იჩქარეთ, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს! ისულდგმულეთ იმის იმედით, რომ შეუძლებელია საქართველოში არაქართველმა საბოლოოდ დაამარცხოს ქართველი ერი!

ჩვენი უდარდელობითა და სიჩუმით კი შეიძლება ეს მრავალსაუკუნოვანი რწმენა შეირყეს!

გახსოვდეთ ყველას – ქართველებს გვინდა რომ ქართველი პრეზიდენტი გვყავდეს!

ყველა სხვამ (მათ შორის სააკაშვილმაც) საკუთარ სამშობლოში იპრეზიდენტოს!

---

სერგეი კრემლიოვი

ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

---

გური ოტობაია 11

შერომერე

---

7 როგორ მოვიგოთ არჩევნები

---

"КАК ОТТОРГАЛАСЬ АБХАЗИЯ" – უფრო სრულყოფილი წიგნია, ვიდრე "როგორ გასხვისდა აფხაზეთი"



7

---

იგი პირნათლად ემსახურა საკუთარ სამშობლოს და ხალხს 5

---



მაესტრო დავით ყიფიანს 60 წელი შეუსრულდებოდა

### აფხაზეთის ღირსეული შვილები

# ცნობილი აფხაზი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე სამსონ ჭანბა

1886 წლის 18 ივნისს, აფხაზეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ატარაში, აფხაზი გლეხის იაკობ (კუაგუ) ჭანბას ოჯახში დაიბადა ბიჭი – სამსონ ჭანბა, რომელსაც ღმერთმა დაანათლა, რომ აფხაზეთის ღირსეული შვილი გამხდარიყო და დიდი საქმეები ეკეთებინა მშობლიური ხალხისა და ქვეყნისათვის. მან დიმიტრი გულიასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას, გახდა აფხაზეთის ცნობილი მწერალი და სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე.

მან სწავლა დაიწყო დრანდის საეკლესიო დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა სოხუმის მთიელთა სკოლაში. 1903 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1907 წელს მებაღე-დეკორატორის სპეციალობით. მცირე ხანი იმუშავა სოფელ კუტოლის სკოლის პედაგოგად, სამსონ ჭანბამ გამოცდები ჩააბარა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1914 წელს. შემდგომი ორი წელი მასწავლებლობდა სოფლებში კუტოლი და აძიუბჟა, 1916-1921 წლებში კი ასწავლიდა სოხუმის სანიმუშო სამასწავლებლო სემინარიაში.

იგი სიყმაწვილიდანვე ჩაერთო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაში. მოგვიანებით იგი საკუთარ ავტობიოგრაფიაში წერდა: **"1905 წელს, როცა ქუთაისში ვსწავლობდი, მონაწილეობა მივიღე რუსეთის ცარიზმის საწინააღმდეგო ხალხმრავალ დემონსტრაციაში. სწორედ ამ წელს გავხდი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მომხრე".**

ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, მუშაობდა პროპაგანდისტად კოდორის მაზრაში, იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, შედიოდა **"დამოუკიდებელთა ფრაქციაში"**.

1919 წლის 27 თებერვალს გამოსვლა დაიწყო პირველმა აფხაზურმა გაზეთმა **"აფსნი"**, რომლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სამსონის წერილი, სადაც მოსახლეობას განემარტებოდა კომუნისტური პარტიის როლისა და ამოცანების თაობაზე. ერთი წლის შემდეგ კი წერდა: **"ბოლშევიზმი დაუნდობლად ებრძვის ყველა იდეურ მტერს, განუხრელად მიიწევს წინ, ასეთია დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოში".** როცა 1920 წელს დააპატიმრეს აფხაზი მოღვაწეები მ. ცაგურია, დ. ალანია და ი. მარღანია, სამსონი სახალხო საბჭოს სხდომაზე ცეცხლოვანი სიტყვით გამოვიდა: **"...ვერაფერს გახდება ის, ვინც ცდილობს გაგვაჩუმოს და მონურ მდგომარეობაში გვამყოფოს..."**

სამსონის მრავალმხრივი შესაძლებლობები განსაკუთრებით გამოვლინდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აფხაზეთის რევკომმა მას დაავალა, რომ სათავეში ჩადგომოდა აფხაზეთის განათლების საქმეს. ეს გახლდათ აფხაზეთში სოციალისტური აღმშენებლობის ურთულესი და უდიდესი უბანი. როცა განათლების სისტემის შემდგომი განვითარების გეგმებზე ზრუნავდა, მან, როგორც აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარმა, შემდეგი სიტყვებით მიმართა კოლეგა-მასწავლებლებს: **"ამხანაგო მასწავლებელო, დადგა ახალი ერა! მიდის ძველის მსხვრევისა და ახლის მშენებლობის პროცესი... იქმნება ლამაზი მომავალი, რომელიც უამრავ სიკეთეს გვპირდება. ინგრევა ძველი სკოლა, რუტინა, რომელსაც წარსულის შმორი ასდის... ახალი ძალა უნდა შევიდეს სკოლაში, საიდანაც უნდა გამოვიდეს ახალი, ძლიერი, დიდი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა... ეს ყველაფერი კი მასწავლებელმა უნდა გააკეთოს, რომელიც ცარიზმის პერიოდში ყველასაგან მივიწყებული და დათრგუნული იყო, ახალ კი სრულიად ახალი სამოქმედო ასპარეზი გაეხსნა. ამიტომ, ამხანაგო პედაგოგებო, გწამდეთ მომავლის, ისწავლეთ თავად და აღზარდეთ სხვები, წინ, სამუშაოზე!"**

სამსონ ჭანბამ აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრად იმუშავა 1921-1925 და 1930-1932 წლებში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა აფხაზეთში სასკოლო განათლების მძლავრი სოციალისტური სისტემა. სახალხო კომისრის ყოველდღიურ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა: აფხაზური და სხვა ეროვნული სკოლების გახსნა, პედაგოგიური კადრების მომზადება და გადამზადება, სკოლების ქსელის გაფართოება, ახალგაზრდა მოსწავლეთა გაგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სასწავლებლებში, მოსახლეობაში საგანმანათლებლოს სისტემის ფართოდ გაშლა, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, ეროვნული თეატრისა და ხელოვნების განვითარება, საგამოცემო საქმის აღორძინება, რაც მაშინ აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის კომპეტენციაში შედიოდა.

სამსონ ჭანბას დიდ სიხარულს გვრიდა საზოგადოებაში წერა-კითხვის საქმეში მიღწეული წარმატებები.

**"ქვეყანაში ყალიბდება ახალი ინტელიგენცია,** – აღნიშნავდა იგი აფხაზეთის გასაბჭოების 5 წლისთავის ზეიმზე, – **რომელიც გამსჭვალულია სოციალისტური აღმშენებლობისადმი სიმპატიით, კომუნიზმის იდეისადმი ერთგულებით..."**

1923-1930 წლებში სამსონ ჭანბა მუშაობდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც სრულად გამოვლინდა მისი განუსაზღვრელი პროფესიული, ორგანიზაციული და ინტელექტუალური შესაძლებლობები. აქ უკვე სამსონ ჭანბა აქტიურად ზრუნავდა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვისაც.

სამსონ ჭანბას გულწრფელად სწამდა ხალხის დიდი შესაძლებლობებისა, რადგან თავადაც განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნდა. მიუხედავად მოუცლელობისა, იგი ქმნიდა მაღალი ღირებულების მქონე მხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც მოუწოდებდა აფხაზ ხალხს, რომ მედგრად დამდგარიყვნენ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების დასაცავად. სწორედ მისი ინიციატივით მიიღო აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ტყის კოდექსი.

ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სამსონ ჭანბა ხელოვნების ძეგლების და სიძველეთა დაცვას.

– ჩვენს ქვეყანაში უამრავი ხელოვნების ძეგლი არსებობს და მოსახლეობასაც უამრავი ძვირფასი რარიტეტული ნივთი გააჩნია, რომელსაც მოვლა და მომავალი თაობებისათვის შენახვა სჭირდება, – ამბობდა სამსონ ჭანბა,– სწორედ ამ ნივთებში შეიძლება აღმოაჩინონ სწავლულებმა ჩვენი ქვეყნის ისტორია. მთავარია, ისინი არ დავკარგოთ...

აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სამსონ ჭანბას ინიციატივით მიიღო კანონი **"ხელოვნების ძეგლთა, მუნებრივ სიმდიდრეთა და სიძველეთა დაცვის შესახებ"**. იგი ყოველნაირ დახმარებას უწევდა მხარეთმცოდნეობის საქმეებში მომუშავე სპეციალისტებს.

იგი გახლდათ აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიის წევრი, რომელიც 1925 წელს შეიქმნა. მისივე ინიციატივით შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი და 1932—1933 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორატის წევრი, შემდეგ კი მეცნიერ-მუშაკიც.

1932-1937 წლებში სამსონ ჭანბა იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და დიდი როლი ითამაშა აფხაზური სამწერლო ინტელიგენციის ჩამოყალიბების საქმეში.

ასევე დიდი როლი ითამაშა მან აფხაზური პერიოდული პრესის შექმნის საქმეში. სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი **"აფსნი"**. ყველაფერი კი დაიწყო 1921 წელს, როცა სამსონ ჭანბას დაავალეს რუსულენოვან გაზეთ **"გოლოს ტრუდოვოი აფხაზიის"** დამატებითი ფურცლის გამოშვება აფხაზურ ენაზე. შემდგომში იგი იყო ასევე ახლადშექმნილი ლიტერატურული ჟურნალის **"აფსნი ყაფშის"** მთავარი რედაქტორი.

სამსონ ჭანბა იყო აფხაზეთში სოციალისტური აღმშენებლობის და კულტურული განვითარების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი. იგი აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანებს თანაბრად უნაწილებდა სითბოს და სიყვარულს და ყურადღებას არ აკლებდა მათთვის სულიერი საკვების სისტემატურად მიწოდების საპასუხისმგებლო საქმეს.

1923-1932 წლებში სამსონ ჭანბა იყო აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1937 წლამდე), საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრკ ეროვნებათა საბჭოს წევრი და სხვა. იგი დიდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებდა.

სამსონ ჭანბას ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება აფხაზი ხალხის გულში.

# დევნილი ლია დარცმელია: „სოხუმში მივდივარ!"




საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმი"** გთავაზობთ ინტერვიუს აფხაზეთიდან დევნილ ლია დარცმელიასთან, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, სახელმწიფომ არანაირი ყურადღება არ მიაქცია, დღემდე არ აქვს საცხოვრებელი ფართი და არ აუღია დევნილთათვის განკუთვნილი კომპენსაცია. ლია დარცმელიას ინვალიდი შვილი ჰყავს, რომელსაც კუთვნილი პენსიაც კი მოუხსნეს და დღეს მას მხოლოდ დევნილებისთვის განკუთვნილი მიზერული ყოველთვიური ფულადი დახმარებით და ახლობლების წყალობით გააქვს თავი.

**– აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ საცხოვრებლად თბილისში რომ წამოხვედით, მთავრობამ უზრუნველგყოთ დროებითი თავშესაფრით?**

– დიახ, გლდანში, ქერჩის ქ. №22-ში, სკოლა-ინტერნატში მომცეს თავშესაფარი. მოგვიანებით ჩემი შვილი სამკურნალოდ მოსკოვში წავიყვანე და როდესაც დავბრუნდი, ჩემი ოთახი სხვა დევნილს ჰქონდა დაკავებული. რაკი მას მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, ვერ გამოვუშვი. ამის გამო დედაჩემთან მომიხდა გადასვლა, რომელიც, ასევე, კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე 15კვ მ ფართში ცხოვრობს. 2006 წელს მოსკოვში კვლავ მომიწია წასვლამ, რადგან აქ სამუშაო ვერ ვნახე. ქვრივი ვარ და ჩემს შვილებს რჩენა უნდოდათ. თბილისში დაბრუნებულს ვინმე გიზო გარუჩავამ დამირეკა, რომელიც ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელი გახლდათ და მითხრა, რომ გლდანის მეოთხე მიკრორაიონში მდებარე საბავშვო ბაღის შენობაში დევნილებს ფართს აძლევდნენ. მე უკვე ვმუშაობდი და ვთხოვე, მეორე დღეს შევხვედროდი, რომ სამსახური არ დამეკარგა. მე შენ დევნას ვერ დაგიწყებო,– მითხრა. მეორე დღეს კი აღმოჩნდა, რომ ჩემი თხოვნა არ გაითვალისწინა.

სამ ოჯახს იმ შენობაში კარგად გარემონტებული კომფორტული ფართი მისცეს და დაუკანონეს, მე კი ისევ ქუჩაში აღმოვჩნდი.

შემდეგ დავუკავშირდი ბესიკ წერედიანს (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელი მინისტრის მოადგილე), რომელმაც მირჩია, განცხადება მის სახელზე დამეწერა. ასეც მოვიქეცი, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. როგორც კი მინისტრად კობა სუბელიანი დანიშნეს, დავურეკე და ველაპარაკე. მანაც იგივე მითხრა – მის სახელზე განცხადება დამეწერა, თუმცა ჩემი პრობლემა, როგორც ჩანს, ყურადსაღები არც მისთვის აღმოჩნდა – 4-5-წლისწინანდელ განცხადებას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. რამდენიმე თვეს ქირითაც ვიცხოვრე.

ერთხელ ერთ-ერთ კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე, ახლობლის რჩევით, თავისუფალი ფართი დავიკავე. მალე აღმოჩნდა, რომ იქ 12 დევნილი ოჯახი უნდა შეესახლებინათ და მე ზედმეტი ვიყავი. მოვიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები და გამოგვყარეს – **„ვინ არის ეს მეცამეტე გოჭი"**, – სწორედ ამ სიტყვებით გამომიშვეს იქიდან.

**– სუბელიანის უწყების გარდა, დახმარების თხოვნით მიმართეთ ვინმეს?**

– რამდენიმე თვის წინათ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის, ვიცე-სპიკერების – მიხეილ მაჭავარიანისა და რუსუდან კერვალიშვილის, ასევე, **„ქრისტიან-დემოკრატების"** ლიდერ გიორგი თარგამაძის სახელზე განცხადებები დავწერე. ვთხოვდი მათ, ან კომპენსაცია მოეცა ჩემთვის სახელმწიფოს, ან ფართით დავეკმაყოფილებინე.

კერვალიშვილმა და მაჭავარიანმა ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებებით მიმართეს ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით და შემდეგ პასუხიც უნდა გაეგზავნათ დეპუტატებისთვის, თუმცა – სრულიად უშედეგოდ.

რაც შეეხება თარგამაძეს, როგორც აღმოჩნდა, ჩემი თხოვნა როგორც მისთვის, ისე მისი ფრაქციისთვის გაუგებარი აღმოჩნდა – კონკრეტულად რას ითხოვთო, მკითხეს. მე კი ვითხოვდი ან ფართს, ან კომპენსაციას. რა არის ამაში გაუგებარი?!.

**– პარლამენტში განცხადებების შეტანას მოჰყვა რეაგირება – რამე გაეთვალისწინებინა სუბელიანს?**

– არანაირი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან აბსოლუტურად არანაირი რეაგირება არ ყოფილა. მხოლოდ ის მითხრეს, რომ მეკუთვნის ორი ოთახი. მათ გარდა, ბარამიასა და ბობოხიძესთან შესვლასაც ვცდილობდი, თუმცა შედეგს ვერც ამ შემთხვევაში მივაღწიე.

არის კიდევ ერთი პრობლემა – შესაძლოა, დევნილები იმ ადგილიდანაც გაასახლონ, სადაც ამჟამად დედაჩემი ცხოვრობს. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ქუჩაში აღმოვჩნდებით. შეიძლება დაინგრეს კიდეც ის სახლი, რადგან ავარიულია.

აგვისტოს ბოლომდე დაველოდები, თუ არანაირად არ დამაკმაყოფილეს, სოხუმში წავალ! როგორც ჩანს, იქ ბევრად მეტი პერსპექტივა მაქვს, ვიდრე აქ.

მე ჩავედი სოხუმში. იქ ყველამ იცის, რომ ჩემი ოჯახის წევრებს ომი დროს ხელში იარაღი არ აუღიათ და ეს იმდენად დიდი პლუსია, იქ ცხოვრებას არავინ დამიშლის. ჯერ მე წავალ, მერე კი ჩემს შვილებს წავიყვან და იქ ვიცხოვრებ!

**– რომელიმე რაიონში თუ შემოგთავაზეს ფართი? ასეთი შეთავაზება ბევრი იყო და დევნილების უმეტესობა მათზე უარს ამბობდა...**

– მე გარდაბანში, მარნეულში, ფოცხოში თუ სხვა რაიონში ვერ წავალ, რადგან უკვე ოცი წელია, აქ ვცხოვრობ. ისეთ სოფლებში წასვლას, სადაც ოჯახს ვერ ვარჩენ და თავს ვერ გავიტან, აფხაზებთან ცხოვრება მირჩევნია.

**– როგორც ახსენეთ, შვილი სამკურნალოდ წაიყვანეთ მოსკოვში. აქ ვერ შეძელით მისი მკურნალობა?**

– დიახ, წავედი, რადგან აქ ვერ ვუმკურნალე. ჩემს შვილს ინვალიდის პენსია ჰქონდა, თუმცა ისიც მოუხსნეს. არ ვიცი, რატომ... სკოლაში დადის... ნუთუ ესაა პენსიის მოხსნის მიზეზი?! არადა, ეკუთვნის.

**– რაც შეეხება კომპენსაციას, დევნილები პრივატულ საუბრებში ამბობენ, რომ, კომპენსაციის აღების შემთხვევაში, მათ სამინისტროს წარმომადგენლებთან თანხის გარკვეული ნაწილის დატოვება უწევთ...**

– დიახ, ნამდვილად ასე ხდება... დაზუსტებით ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვინ აკეთებს ფულს ამით, თუმცა ვიმეორებ, სამწუხაროდ, ეს სრული სიმართლეა!

ესაუბრა
**ლევან სულაშვილი**
**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ სააკაშვილის „ორსახოვანი იანუსი“



რომაულ მითოლოგიაში არსებობს ღმერთი იანუსი – სამხედრო წამოწყებათა მფარველი. მართალია, თავდაპირველად ის ლაციუმის უძველეს მეფედ მიიჩნეოდა, რომელიც ყოვლისშემძლე სატურნმა წარსულისა და მომავლის ნათელხილვის ნიჭით დააჯილდოვა. სწორედ ამ ორმაგი უნარის გამო იანუსს გამოსახავენ ორი – მომავლისკენ მიმართული ახალგაზრდა და უკან, წარსულის სიღრმეში მომზირალი ხნიერი – სახით. შემდგომ, ისევე, როგორც ლეგენდების სხვა მრავალი გმირი, იანუსი თავად იქცა საწყისისა და სასრულის ორსახოვან ღმერთად, რომლის ტაძრის კარიც მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ იღებოდა, მშვიდობიან დროს კი მჭიდროდ იყო მიხურული. ბევრმა არ იცის ღმერთი იანუსის ისტორია, თუმცა როცა ვინმეს ორსახოვან იანუსად ვნათლავთ, ამით მივანიშნებთ, რომ ის არაგულწრფელი, ორპირი, თვალთმაქცი ადამიანია, რომლის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან განსხვავდება.

საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო **„საქინფორმმა“** რომაული მითოლოგიის ეს პერსონაჟი ტყუილუბრალოდ როდი გაიხსენა, რაშიც ჩვენი მკითხველი ახლა თავადაც დარწმუნდება. საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება ხშირად ხმამაღლა საჯაროდ აცხადებს რუსეთის ფედერაციასთან დიალოგისთვის მზადყოფნას, თუმცა, სამწუხაროდ, ეს განცხადებები სინამდვილეში ლიტონ სიტყვებად რჩება... გავიხსენოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი: **„ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, მოლაპარაკებებისთვის წინაპირობების გარეშე. აუცილებელია ყველა პრობლემის გადაჭრა უშუალო ურთიერთობის გზით“**,– განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთის ტელეარხ „TV5 Monde“-თან ინტერვიუში. **„ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი, თუმცა, ემოციური და პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, ჩვენ მზად ვართ, რუსეთს წინაპირობების გარეშე ველაპარაკოთ. ის, რომ რუსეთი დიალოგზე არ მოდის, მოწმობს, რომ ჩვენს არგუმენტებზე მას პასუხი არ მოეპოვება“**, – წუხს პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე, რომელსაც, როგორც ცნობილია, საქართველოს ხელმძღვანელობის იერარქიაში მეორე პოსტი უკავია. **„საქართველო მზადაა, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ნებისმიერ ადგილას და დროს დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან“**, – არწმუნებდა პოლონეთის ექს-პრეზიდენტ ალექსანდრე კვასნევსკის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე. თუმცა სინამდვილეში ბატონი ვაშაძის საგარეო პოლიტიკური უწყება ზუსტად საპირისპიროდ მოქმედებს.

უფრო მეტიც; ხელისუფლების განცხადება იმის თაობაზე, თითქოს რუსეთი ხელს უშლის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებას – როგორც ოფიციალურ, ისე ე. წ. სახალხო დიპლომატიის მეთოდებით,– დიალოგის აღდგენას მოძმე აფხაზებსა და ოსებთან, რეალობაში ასევე ლამაზი სიტყვები, ფიქცია აღმოჩნდა, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს დღევანდელი მეტყველი ფაქტი, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბოლოოდ ჩაშალა ჩვენი გერმანელი მეგობრების მიერ გულდასმით მომზადებული ქართველი, აფხაზი და ოსი შემოქმედებითი ინტელიგენციის (მხატვრების) წარმომადგენელთა ურთიერთობის უნიკალური საშუალება.

საქმე ისაა, რომ გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია „GAViK“ (ბერლინი), რომელიც ხელს უწყობს კავკასიაში ხალხების შერიგებასა და მშვიდობას, სირთულეებს წააწყდა ბერლინში სამხატვრო გამოფენის მომზადებისას, რომლის გახსნაც 29 ივნისსაა დაგეგმილი. მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ, აფხაზ და რუს მხატვრებს. სავარაუდოდ, გამოფენა კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის დიალოგის მოედნად უნდა ქცეულიყო. თუმცა საქართველოს საელჩომ 20 ივნისს, ორშაბათს, ქართველ მხატვრებს ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება აუკრძალა, რაც, „GAViK“-ის ხელმძღვანელობის შეფასებით, მიუღებელი და აღმაშფოთებელი გადაწყვეტილებაა.

15 ივნისს გამოფენის მომწყობს, ცნობილ ხელოვნებათმცოდნე ფრედერიკ ზემსდორფს გერმანიაში საქართველოს საელჩოს პოლიტიკურმა მრჩეველმა ილია მარჯანიძემ დაურეკა და მისი მოქმედებების გამო პროტესტი გამოთქვა. მან განაცხადა, რომ ამ ინიციატივას პროვოკაციად აფასებს და გამოფენის კონცეფციის შეცვლა მოითხოვა, რათა აფხაზეთს მასში არანაირი სახით მონაწილეობა არ მიეღო ან მხატვართა **„აფხაზობა“** არ წარმოჩენილიყო (ასეთი რამ არც წარმოჩენილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ აფხაზურ წარმომავლობას). წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნა მან, ქართველი მხატვრები გამოფენაში მონაწილეობაზე უარს განაცხადებენ. ფრედერიკ ზემსდორფი შეეცადა, აეხსნა, რომ საუბარი სამხატვრო გამოფენას ეხებოდა და არა პოლიტიკურ კონფერენციას. მით უფრო, რომ ღონისძიების ანონსში ჩართული იყო ფორმულირება **„ქართველი, რუსი და აფხაზი მხატვრები“** და არა **„მხატვრები საქართველოდან, აფხაზეთიდან და რუსეთიდან“**. თუმცა მარჯანიძესთან მისმა საუბარმა ურთიერთგაგების შედეგი ვერ გამოიღო.

ქართველი მხატვრები ლიანა ნაკაშიძე და მირიან ჯაფარიძე, რომლებიც გამოფენაში მონაწილეობას აპირებდნენ, ზეწოლის ქვეშ მოექცნენ, რომელიც მათზე, სავარაუდოდ, ქართულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს და იძულებული არიან, უარი თქვან ღონისძიებაში მონაწილეობაზე, საკუთარი თავისა და ახლობლების უსაფრთხოებაზე ზრუნვის გამო. **„კავკასიაში ურთიერთგაგებისა და შერიგების მიღწევის საზოგადოების“** თავმჯდომარე ლოტარ დე მეზიერმა გადაწყვიტა, პირადად ჩარეულიყო სიტუაციაში და საქართველოს საელჩოში დარეკა. ქართველ დიპლომატებთან საუბრისას მან პროტესტი გამოხატა გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმეებში ჩარევის გამო. თუმცა ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას ვერ მიაღწია – გამოფენაში ქართველი მხატვრების მონაწილეობა ჩვენმა ხელისუფლებამ ჩაშალა.

ახლა კი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ პრესისთვის მომზადებულ სკანდალურ განცხადებას და ამასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს 2011 წლის 22 ივნისს ერთ-ერთი მრავალტირაჟიანი გერმანული გაზეთის – „ბერლინერ ცაიტუნგის“(Berliner Zeitung) – ფურცლებზე, რაც ქართულ მედიას, **„რატომღაც“**, გამოეპარა. (საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვის შეტანის თავიდან ასაცილებლად ვაქვეყნებთ ორიგინალის ასლს გერმანულ ენაზე).

**გამოფენის ჩაშლის მცდელობა კავკასიაში**

**– ქართველები ტორპედირებენ სამხატვრო გამოფენას, რომელიც მოწოდებულია, დიალოგისა და ურთიერთგაგების ნიშნად იქცეს**

**– არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიაში ურთიერთგაგებისა და შერიგებისათვის“ თავმჯდომარე (GAViK) ლოტარ დე მეზიერი წუხილს გამოთქვამს;**

**გამოფენა „კავკასია: სამმაგად სამშობლოს“ ინიციატორებმა და მომწყობებმა დიდი წუხილით მიიღეს ქართველი მხატვრების უარი გამოფენაში მონაწილეობაზე. 2011 წლის 29 ივნისიდან 15 აგვისტომდე ალექსანდრპლატცზე, ოტელ „Park Inn“-ში მდებარე გალერეა „Art Place Berlin“-ში უნდა გამართულიყო ქართველი, აფხაზი და რუსი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა როგორც პირველი ერთობლივი კულტურული მოვლენა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ.**

**გამოფენა ჩაფიქრებულია პოლიტიკურად დაქსაქსულ რეგიონში ხალხთა კულტურული ერთობის სიმბოლოდ. კულტურული ერთიანობის ცნებას ხელი უნდა შეეწყო დიალოგისა და ურთიერთგაგების ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენისათვის. ქართველმა, აფხაზმა და რუსმა მხატვრებმა თავიანთი მტკიცე თანხმობა განაცხადეს ამ გამოფენაში მონაწილეობაზე. გასაკვირია, რომ გამოფენამდე რამდენიმე დღით ადრე ქართველებმა ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს საქართველოს საელჩოში მათი ხანგრძლივი საუბრების შემდეგ. საელჩოსთან გამოფენის ორგანიზატორების ინტენსიურმა მოლაპარაკებებმა, ასევე, ვერ აღკვეთა ბოიკოტი. ვწუხვართ, რომ ქართველების საელჩომ ბერლინში მასობრივი ზეწოლა განახორციელა თანამემამულეებზე – მხატვრებზე: ლიანა ნაკაშიძესა და მირიან ჯაფარიძეზე.**

**„კავკასიაში ურთიერთგაგებისა და შერიგების მიღწევის საზოგადოების“ თავმჯდომარე (GAViK) ლოტარ დე მეზიერმა განაცხადა: „გამოფენა სამოქალაქო საზოგადოებისათვის კრიზისით შეძრულ რეგიონში დიალოგის დამყარების სიგნალია. მასში მონაწილე მხატვრების ძალისხმევა ყველანაირ მხარდაჭერას იმსახურებს. სამწუხაროდ, საქართველომ მცდარი ნიშანი მისცა და ამ რეგიონში ურთიერთგაგების მიღწევის შანსი ხელიდან გაუშვა“. გამოფენა გაიმართება მიუხედავად სიცარიელისა, რომელიც უარით აიხსნება. კავკასია ქართველების სამშობლოცაა, – მიაჩნიათ მის ორგანიზატორებს. ამიტომ სტენდებზე ადგილებიც დაარეზერვეს ქართველი მხატვრების ნამუშევრებისათვის იმ იმედით, რომ პოლიტიკური ურთიერთობები მაინც მისცემს მათ საშუალებას, ბერლინში თავიანთი ხელოვნება უჩვენონ.**

**ეს სკანდალია კავკასიურ გამოფენასთან დაკავშირებით.**

**საქართველო პროექტს ბოიკოტს უცხადებს!**

**„ცივი ომი“** მსოფლიოში ჯერაც არ დასრულებულა. მას შეიძლება მრავალი ბოროტი გამოხატულება ჰქონდეს. ახლა, გამოფენა **„სამმაგი სამშბლოს“** გახსნამდე 8 დღით ადრე, მონაწილეთა შორის რჩებიან მხოლოდ რუსი და აფხაზი მხატვრები. ორი ქართველი მხატვარი კი ვერ გამოგზავნის თავიანთ ნამუშევრებს. საკუთარმა ხელისუფლებამ მათ მონაწილეობის მიღება აუკრძალა გამოფენაში, რომელიც შერიგების ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო როგორც პირველი ერთობლივი ღონისძიება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ.

**„კავკასიაში ურთიერთგაგებისა და შერიგების მიღწევის საზოგადოება“**, რომლის თავმჯდომარეც ლოტარ დე მეზიერია, რამდენიმე თვის განმავლობაში ამზადებდა ამ პროექტს. საზოგადოების წევრებს მხატვრებთან ერთად სურდათ პოლიტიკურად ღრმად დაქსაქსული ამ რეგიონის ხალხების კულტურული ერთიანობის აღნიშვნა. კულტურულ მოვლენას ხელი უნდა შეეწყო დიალოგისა და ურთიერთგაგების დამყარებაში.

საქართველოს საელჩოსთან მრავალრიცხოვანი საუბრების შემდეგ თბილისიდან მხატვრების უარი გამოფენაში მონაწილეობაზე გამაოგნებელი იყო. ნათელია, რომ ლიანა ნაკაშიძესა და მირიან ჯაფარიძეზე, რომლებმაც მანამდე მტკიცე თანხმობა განაცხადეს მონაწილეობაზე, მასობრივი ზეწოლა განხორციელდა.

გამოფენა გაიმართება მიუხედავად სამწუხარო სიცარიელისა. ადგილები, სადაც ორი დაშინებული ქართველი მხატვრის ნამუშევრები უნდა გამოფენილიყო, დემონსტრატიულად თავისუფალი დარჩება გამოფენის დასრულებამდე, 15 აგვისტომდე – ისინი ქართველი მხატვრებისთვისაა დარეზერვებული.

# პატრონიანი უპატრონოები

„ასე შეიძლება ვუწოდოთ ზუგდიდის **საფეხბურთო კლუბ „ბაიასა“ და მის ფეხბურთელებს,** – ზუგდიდიდან გვატყობინებს საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში. – **ოფიციალურად, გუნდის მეპატრონეები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია. მიუხედავად ამისა, საფეხბურთო გუნდი „ბაია“ მაინც უპატრონოდ ითვლება, სულს ღაფავს და ყოფნა-არყოფნის მიჯნაზეა. ფეხბურთელებს 7 თვის ხელფასი არ მიუღიათ, რის გამოც გუნდიდან 20-მდე ფეხბურთელი წავიდა.**

**7 აგვისტოს ახალი საფეხბურთო სეზონი იწყება და „ბაიას“ ფეხბურთელები სავარჯიშოდ არც გასულან ფინანსური პრობლემის მოუგვარებლობის გამო.**

**ამ დღეებში ზუგდიდის ბაზაში ბატონები ზვიად სიჭინავა და ზაზა გოროზია ფეხბურთელებს შეხვდნენ. სპორტსმენებმა მათ თავიანთი პრეტენზიები წაუყენეს. ვინ არის ჩვენი პატრონი, ვის მოვთხოვოთ პასუხი, როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ გაურკვევლობაში? – სვამდნენ კითხვებს და ხელფასის მიღებამდე ვარჯიშზე კატეგორიული უარი განაცხადეს.**

**ფეხბურთელების მთავარი სამიზნე ზაზა გოროზია იყო, რამაც ის ძალიან გააღიზიანა. გუბერნატორი ყოველნაირად ცდილობდა, თავი დაეძვრინა, თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა და ყველაფერში „ბაიას“ ფეხბურთელები დაედანაშაულებინა. მან შეხვედრა დასრულებამდე დატოვა და ფეხბურთელები ზვიად სიჭინავას შეატოვა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დიდხანს ესაუბრა მათ, მეორე დღეს თითოეულს შეხვდა და შეჰპირდა, რომ მისცემდა ორი თვის ხელფასს, რის შემდეგაც ფეხბურთელებიც ვარჯიშის დაწყებაზე დათანხმდნენ.**

**როგორც შეხვედრიდან გაირკვა, დარჩენილ 5 თვის ხელფასს ფეხბურთელები ვეღარ მიიღებენ, ვერც მოგებულ თამაშზე მიეცემათ პრემიები. ანუ ფეხბურთელებს მოგებისადმი ინტერესი დაეკარგათ.**

**ზუგდიდელ გულშემატკივრებს უკვირთ, რატომ არ თმობს „ბაიას“ ზაზა გოროზია. მათი სურვილია, გუნდს ნორმალური არსებობის საშუალება მიეცეს და ზუგდიდში ძლიერი საფეხბურთო კლუბი არსებობდეს.**

**ფეხბურთელებსა და გოროზიას ერთმანეთი თვალში არ მოსდით. როგორც სპორტსმენები, ისე გულშემატკივრები იმასაც ფიქრობენ, რომ გოროზიას „ბაიას“ გაგდება უნდა, რომ ხარჯები ნაკლები ჰქონდეს“.**

## საკვებზე ფასების მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი

ევროპის კონტინენტზე ამ გაზაფხულს დაფიქსირებულმა გვალვებმა შესაძლოა, საკვებ პროდუქტზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს. გაეროს სურსათის სააგენტო, რომელმაც სურსათის ფასების მხოლოდ 4-5%-იანი ზრდა ივარაუდა, ამ ვარაუდს აუქმებს.

გაეროს სასურსათო სააგენტოს უფროსის განცხადებით, თუკი უახლოეს პერიოდში ნალექი არ მოვა, ივნისში საკვებ პროდუქტებზე ფასები აგრესიულად გაიზრდება, განსაკუთრებული საფრთხე კი განვითარებად ქვეყნებს ემუქრება, სადაც სასურსათო ინფლაციამ შესაძლოა, აღშფოთებული მოქალაქეების მასობრივი პროტესტი გამოიწვიოს.

მიმდინარე წლის დასაწყისში სურსათზე ფასებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, რამაც 2008 წლის სასურსათო კრიზისის განმეორების საფრთხე შექმნა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სიტუაციის განმეორება რამდენიმე კვირაშია მოსალოდნელი.

მსოფლიოში ბურღულეულის ფასები აპრილის ბოლოსთვის საშუალოდ 70 პროცენტით გაიზარდა, რაც წინა მაჩვენებელზე სამჯერ მეტია.

ფასების ზრდა ქართველი იმპორტიორებისთვისაც შემაშფოთებელია.

## ევროკავშირს მიაჩნია, რომ საქართველოს არ გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია

როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების 2010 წლის ანგარიშშია ნათქვამი, გასულ წელს ჩვენში ისევ მცირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. ამის გამომწვევი ფაქტორებია შესაბამისი სექტორული პოლიტიკის არარსებობა, კრედიტების შეზღუდული მისაწვდომობა, მოძველებული ტექნიკა და ა. შ.

მოსახლეობის 53 პროცენტი დღეს სოფლად ცხოვრობს, 40 პროცენტი უშუალოდ ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, თუმცა ადგილზე შექმნილი აგროპროდუქციის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 8 პროცენტია. შიდა ბაზრის მოთხოვნა მხოლოდ 12 პროცენტით კმაყოფილდება.

ევროკავშირმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევა ჩაატარა.

კვლევის შედეგებში ნათქვამია, რომ **„მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა დღემდე ვერ ხერხდება, სწორედ სოფლის მეურნეობის განუვითარებლობაა. მწარმოებლურობის დონე კვლავ ძალიან დაბალია. არასაკმარისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი დაფინანსებაც.** ევროკავშირის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევის შედეგების პრეზენტაცია ჩაატარა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ გორდონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ყველა ეს საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა — საკვანძო!

სტრატეგიულ საკითხებში, ზავენიაგინს, მაინც და მაინც ცხვირს არ აყოფინებდნენ, თუმცა ზოგ-ზოგი საკითხების გადაწყვეტა მასაც უწევდა. ზოგჯერ — სტრატეგიულ სფეროშიც. მაგრამ ვინ არის ეს აკადემიკოსი ნოვიკოვი? რა წვლილი შეიტანა მან საბჭოთა ატომურ პროექტში? თუ **"პოლიმედიის"** მიერ გამოცემული წიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ამ აკადემიკოსმა დიდი როლი ითამაშა შეიარაღების პრობლემის გადაწყვეტაში და იგი დაწვრილებით იყო საქმის კურსში, ყოველ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად:

**"დაძაბული უწყვეტი სამუშაო რეჟიმი, რასაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ბერიას მუდმივი ეჭვები და უნდობლობა, მისგან წამოსული მუქარა და დაბეზღებათა წახალისება, დამღუპველად მოქმედებდა ზავენიაგინის, ვანნიკოვის, კურჩატოვის ჯანმრთელობაზე..."**

ან: **"ატომური ბომბის გამოცდისწინა დღეს ბერიამ გაამზადა პროსკრიპციული სიები, კურჩატოვსა და მის თანამშრომლებზე, რომელთაც სასტიკად დასჯა ჰქონდა განზრახული გამოცდის ჩავარდნის შემთხვევაში"**, და ა.შ. და ა.შ.

მაინც ვინ არის ქვეყნის **"ატომური"** ისტორიის ეს ზედმიწევნით მცოდნე ადამიანი?

1995 წელს ატომური ენერგიის სამინისტროს მიერ გამოცემული ცნობარის — **"ვინ ვინ არის ატომურ ენერგეტიკასა და მრეწველობაში"** — მიხედვით **"ივანე ივანეს ძე ნოვიკოვი, დაბადებული 1916 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იყო მეტალურგიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი. მისი მეცნიერული შემოქმედების ძირითადი მიმართულებებია: აიროვანი მდგომარეობის ფუნდამენტური კვლევა და წყლის ორთქლის თვისებების შესწავლა..."**

ესეც შენი **"მეიარაღე"**! ესეც შენი **"ექსპერტი"**! ივანოვის კვალი მოიძებნა 1977 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ ცნობარშიც. მაშინ, ჯერ კიდევ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნოვიკოვი, რომელიც ენერგეტიკის ფიზიკო-ტექნიკური პრობლემების განყოფილებაში ირიცხებოდა, მუშაობდა იგივე ა.ა. ბოიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში. როგორც ჩანს, მას, როგორც თბოენერგეტიკოსს, რაღაც შეხება მაინც ჰქონდა ატომურ ენერგეტიკასთან, თუმცა შეიარაღების პრობლემებში საერთოდ არავითარი კომპეტენცია არ გააჩნდა. მაგრამ, აკადემიკოსის მანტიაში გაეხვა და ამ პოზიციიდან შეთხზა სიბინძურეები ბერიაზე.

შეიძლება მკითხველთაგან ვინმეს უადგილოდ მოეჩვენოს ამ დამსახურებული ადამიანის ჩემეული დახასიათება. მაგრამ ამ წიგნზე მუშაობისას არაერთხელ მომრევია რისხვა **"წყლის ორთქლის სპეციალისტების"** მიერ გახმოვანებული ბინძური ინსინუაციების გამო, რომლებმაც სიბერის წლებში დაივიწყეს ყოველივე ზნეობრივი და თავიანთი პერსონის წარმოჩენა მოისურვეს **"ბერიას მიერ შექმნილი"** სადამსჯელო სისტემის ფონზე. ამიტომ, მათი ჭეშმარიტი სახის გამოვლენის გამო არავის წინაშე არ ვაპირებ ბოდიშის მოხდას. და ამ **"წყლის ორთქლის ოსტატმა"** იმდენი მოახერხა, რომ ლაფში გათხვარა პავლე სუდოპლატოვის სახელიც:

**"როგორც ჩანს, ხალხის დასაზაფრად, ბერიამ სპეცკომიტეტის შემადგენლობაში — ტექნიკური განყოფილების უფროსის რანგში, (ასე გამოიყურება აკადემიკოსის თვალში დაზვერვის №2 ბიურო. — ს.კ.) შეიყვანა პოლიტიკური ქილერი სუდოპლატოვი..."**

რა უნდა ვთქვათ ამაზე? როგორც ქრისტე ამბობდა, ზოგჯერ, **მათი** გამოცნობა არა მხოლოდ მათი საქმეებით, არამედ მათი სიტყვებითაც შეიძლება. მით უმეტეს, როცა სიტყვაც — საქმეა.

ბერიას მიერ დაყენებული **"ზანაკის მტვრის"** ფონზე წარმოჩენის მოყვარულმა მწერლებმა მართლაც ბევრი მტვერი მოგვაყარეს თვალებში, რათა დავერწმუნებინეთ, თუ დრაკონული რეჟიმისაგან მოვლენილი **"რწმუნებულების"** მიერ ხელოვნურად შექმნილი როგორი **"საშიშროების"** პირობებში უწევდათ მუშაობა საბჭოთა მეატომეებს. სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულები ატომურ ობიექტებზე მართლაც იყვნენ მივლინებულები. მაგრამ მათ არჩევდნენ იმ ჩეკისტთა რიგებიდან, ვისაც ტექნიკური განათლება ჰქონდა. არკადი კონსტანტინეს ძე კრუგლოვმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაწერა მაღალპროფესიული და ზუსტი წიგნი **"ატომმრეწველობის შტაბი"**, ამ რწმუნებულებზე წერდა:

**"ბუნებრივია, ამ რწმუნებულებს მუშაობის განსხვავებული სტილი გააჩნდათ, რაც ყველასათვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო მით უმეტეს მაშინ, როცა თავზეხელაღებული სრბოლა მიმდინარეობდა ატომური იარაღის შესაქმნელად, მაგრამ ფრაზები "დამსმენი" და "ზედამხედველი", რასაც ხშირად დაუფიქრებლად იყენებენ ჟურნალისტები და რიგი სპეციალისტებისა, ნამდვილად ვერ ასახავენ ამ ადამიანების შემოქმედების ჭეშმარიტ ხაზს"**.

როგორც გვახსოვს, ბერია პროფესიული მზვერავი და კონტრმზვერავი იყო (ერთ ადამიანში ეს ორი პროფესია იშვიათად იყრის თავს) და ატომურ საქმეებზე მინისტრთა საბჭოს რწმუნებულების მიმაგრება მისი ერთ-ერთი წარმატებული პროექტი გახლდათ. სხვათა შორის, ჩვენი **"რეჟიმის"** მეტი წილი ზუსტად იყო კოპირებული ატომურ პროექტზე მომუშავე ამერიკის შეერთებული შტატების **"მანჰეტენის ჯგუფის"** სამუშაო პრაქტიკიდან. ისინი ხომ ამ საქმის პირველ გზის გამკვლევები იყვნენ.

და ეს **"რეჟიმი"** **"დემოკრატიულ"** ამერიკაში არც თუ მთლად მსუბუქი იყო. მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს ვლადიმერ კუზმას ძე ზვორიკინი, რომელიც 1919 წელს წავიდა ამერიკულ ემიგრაციაში. ზვორიკინი ტელევიზიის გამომგონებელია, ელექტრონული ოპტიკის დარგის მსხვილი სპეციალისტი, პრეზიდენტი ფირმისა **"Radio Corporation of Amerika (RCA)"**. მის მიერ შექმნილ ღამის ხედვის ხელსაწყოს ამერიკელი ჯარისკაცები იყენებდნენ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას!

მას პოლიტიკასთან არავითარი შეხება არ ჰქონია, მაგრამ 1943 წელს სათავეში ჩაუდგა რუსეთში ომის მსხვერპლთა დახმარების ამერიკული ფონდის ნიუ-იორკის განყოფილებას (ამ ფონდის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა პრეზიდენტ რუზველტის მეუღლეც). 1945 წელს ზვორიკინი ჩართეს იმ სპეციალისტთა ჯგუფის შემადგენლობაში, რომელთაც ევალებოდათ გერმანული რეიხის ტერიტორიაზე სამეცნიერო-ტექნიკური საიდუმლოებების მოძიება. მაგრამ როცა იგი ჯგუფთან ერთად გამოჩნდა ვაშინგტონის აეროპორტში, გაირკვა, რომ მას არ ჰქონდა აშშ-ს ტერიტორიის დატოვების უფლება. ზვორიკინი ამას ამრიგად იხსენებდა:

**"მე შევიყვე ჩემი პასპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაკავების ფაქტის თაობაზე, იმიტომ, რომ მე ვიყავი რუსეთში ომის მსხვერპლთა დახმარების ამერიკული ფონდის ნიუ-იორკის განყოფილების" ხელმძღვანელი. რა უნდა მეთქვა... ეს მართლაც მწვავე განცდის მომტანი გახლდათ ჩემთვის... მას შემდეგ, რაც ჩემს ახალ სამშობლოს ამდენი შრომა მივუძღვენი... თავი გალიაში გამომწყვდეულად ვიგრძენი... მომიწია შევრიგებოდი იმ აზრს, რომ თავი უნდა გამენებებინა RCA-ს ფონდისათვის, რადგან ეს ფუნქცია მიკრძალავდა საიდუმლო დოკუმენტაციასთან მიახლოებას. აქ ჩემს დასაცავად აღსდგა გენერალი სარნოვი (კვლევითი ფირმა "David Sarnoff" -ის ხელმძღვანელი — ს.კ.)... ბოლოს და ბოლოს, 1947 წელს მე დამიბრუნეს პასპორტი და კვლავ თავისუფალი მოქალაქე გავხდი"**.

მე ეს მაგალითი ამერიკის ხელისუფალთა გასაწბილებლად არ მომიტანია. ყოველი ქვეყანა ვალდებულია დაიცვას თავისი საიდუმლოებები ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. და რათა დაგარწმუნოთ რეჟიმის არსებობის სარგებლიანობაში, მე ზვორიკინთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ისტორიას გაგაცნობთ. ფირმა RCA-მ 1935 საკმაოდ მსხვილი ხელშეკრულება გააფორმა სსრკ ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატთან ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის მისაწოდებლად. ამასთან დაკავშირებით, ზვორიკინი ბოლოს მოსკოვსა და პეტერბურგში იმყოფებოდა 1936 წელს. ახლა ხშირად ამტკიცებენ, რომ ზვორიკინი თავს იკავებდა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისაგან 1959 წლამდე, აქ გამეფებული რეპრესიების გამო, მაგრამ მის ამ ქმედებას სხვა ახსნა შეიძლება მოეძებნოს. 1934 წლის სექტემბერში 28 წლის ლენინგრადელმა სწავლულმა ლეონიდ კუბეცკიმ ამერიკელ რუსს გააცნო თავისი ახალი გამოგონება — მრავალკასკადიანი ელექტრონული მამრავლებელი. ეს იყო ფენომენალურად მაღალნაყოფიერი იდეა, რომელსაც მრავალი დარგისათვის შეეძლო სარგებლობის მოტანა. გააკეთა რა ქაღალდის ნაგლეჯზე კუბეცკის სქემის მონახაზი, ზვორიკინმა ამერიკაში დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ შექმნა საკუთარი მამრავლებელი და 1935 წლის ოქტომბერში იგი დააპატენტა კიდეც. და იმავე დღეს მოხსენება გააკეთა რადიოინჟინერიის ინსტიტუტის ნიუ-იორკის განყოფილებაში. მაგრამ, მას კუბეცკის სახელი, ბუნებრივია, არ უხსენებია.

ამასთან, ვინმეს აინტერესებს კუბეცკის შემდგომი ბედი? გეტყვით: 1948 წელს მან მიიღო სტალინური პრემია, ბერიას დაღუპვის დღეს კი საკუთარ პერსონაზე სტატია გამოაქვეყნა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში... მაგრამ, იგი მაინც უაზროდ გულახდილი იყო ზვორიკინთან. და მაშინ, მის გვერდით რომ ყოფილიყო, დავუშვათ, მინისტრთა საბჭოს რწმუნებული გენერალ-ლეიტენანტი ტკაჩენკო, ალბათ ამერიკას ერთით ნაკლები გამოგონება ექნებოდა.

მე აქ ტყუილუბრალოდ არ მიხსენებია გენერალ-ლეიტენანტი ტკაჩენკო. ომის დასაწყისში იგი შინსახკომის მე-7 განყოფილების უფროსი იყო, რომელიც უზრუნველყოფდა ნაღმმტყორცნების წარმოების ჩეკისტურ მომსახურეობას, ატომურ პროექტზე მუშაობისას კი იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული №817 კომბინატში. როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, თავის მოგონებებში ნოვიკოვი-მეიარაღე (ამჯერად ასე დავარქვათ, ნოვიკოვ-თბოტექნიკოსისაგან განსხვავებით) ტკაჩენკოს ლამის ბრიყვად წარმოგვიდგენს. იგი კი მხოლოდ სარგებლობის მომტანი პედანტი იყო. იგი არავის არაფერს უკრძალავდა — არც ჰქონდა ამის უფლება. იგი მხოლოდ ხელმძღვანელობას უგზავნიდა ინფორმაციებს. ავიღოთ თუნდაც მის მიერ 1948 წლის 24 ივნისს შედგენილი წერილი, რომელიც მან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ამხანაგ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას გაუგზავნა, კურჩატოვისა და სლავსკის მიერ საწარმოში უსაფრთხოების ტექნიკის უხეშად დარღვევის თაობაზე:

**"აკადემიკოსი კურჩატოვი უგულვებელჰყოფს უსაფრთხოების ტექნიკის ყველა ნორმებს და ჰკარგავს სიფრთხილის გრძნობას (განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველაფერი რიგზე ვერ არის)... ამხანაგი სლავსკი, ამ მხრივ, იჩენს უფრო დიდ წინდაუხედაობას.**

**მაგალითად, 21 ივნისს ამხანაგი კურჩატოვი ლიფტით დაეშვა ნოტიოსიგნალიზატორის შენობაში მინუს 21 მეტრ ნიშნულზე, მაშინ, როცა აქტივობა დასაშვებზე 150-ჯერ მეტი იყო.**

**მასზე მიმაგრებული სსრკ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, არ იყვნენ ამის თაობაზე ინსტრუქტირებულები, რადიომეტრიული სამსახურის მუშაკები კი წინ ვერ აღუდგნენ მის ავტორიტეტს...**

**მისი რადიაქტიური დაბინძურების ზონაში ყოფნა არ არის აუცილებელი, თვით წარმოების ინტერესებიდან გამომდინარეც კი, ამიტომ, პირადად ვთხოვე ამხანაგ კურჩატოვს, შემდგომში იყოს უფრო ფრთხილი და დაკვირვებული...**

**გთხოვთ თქვენს შემდგომ მითითებებს..."**

და, ლავრენტი ბერიამ პირადად, მკაცრად, გააფრთხილა უსაფრთხოების ტექნიკის **"დამრღვევები"** — მათი ჯანმრთელობის შემდგომი დაცვის მიზნით. იგივე ტკაჩენკო მიუთითებდა, რომ №817 კომბინატის მშენებლობის პროცესებში ხელმძღვანელის (კურჩატოვის) არასაკმარისი მონაწილეობისა და პროექტიდან ზოგიერთი გადახრების გამო შეიძლება დაგვიანდეს მისი სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება, რაც გამოიწვევს ობიექტის გაუთვალისწინებელ გაჩერებას და გარემოს დაბინძურებას. მაშინ ტკაჩენკოს ინფორმაცია ყურად არ იღეს, რამაც საკმაოდ მსხვილი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია.

მე არ ვიცი, რა ბედი ეწია ტკაჩენკოს ბერიას დაღუპვის შემდეგ, მაგრამ ვიცი, რომ იგი 1910 წელს დაიბადა და 1955 წელს გარდაიცვალა. და ვფიქრობ, მან გაიზიარა თავისი უფროსის ბედი, რომელსაც გვერდით ედგა ერთგულად, იმ ბობოქარ ეპოქაში ეს თავმდაბალი და წესიერი ადამიანი.

ახლა კი მკითხველს მინდა დავუბრუნო ის ორი დანაპირები, რომელიც უკავშირდება ამ წიგნში ასახულ **"სამხედრო"** მოვლენათა პერიოდს, რის თაობაზეც ადრე ვესაუბრე მას.

მხედველობაში მაქვს ყბადაღებული **"ხალხის ძალდატანებით გადასახლება"**, რომლის ინიციატორად და მთავარ დამნაშავედ, როგორც წესი, ლავრენტი ბერიას მიიჩნევენ. როდისმე ხომ უნდა ვთქვათ ამის თაობაზე თუნდაც რამდენიმე სიტყვა?

1942 წლის 1 სექტემბერს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის ლავრენტი ბერიას და ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის ტიულენევის მისამართით, სსრკ გენერალური შტაბიდან გაიგზავნა შემდეგი შინაარსის შეტყობინება:

**"სასწრაფოდ. ბერიას და ტიულენევს.**

**მასლენნიკოვი (ჩრდილოეთის ჯარების ჯგუფის სარდალი) და სკკპ (ბ) ჩეჩენო-ინგუშეთის საოლქო კომიტეტი სთხოვენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს ნებართვას შემდეგზე:**

**გადაიყვანონ ჩეჩენო-ინგუშთა ეროვნული კავკასიური პოლკი და კავდივიზიონი ჩრდილოეთის ჯარების მომქმედი ჯგუფის შემადგენლობაში.**

**დაშვებულ იქნას ნებართვა წითელი არმიის რიგებში მოხალისეთა გაწვევაზე...**

**ამასთან, მასლენნიკოვი იტყობინება:**

**ჩეჩნებსა და ინგუშებს სურთ ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ,**

**რესპუბლიკაში არის 45.000-ზე მეტი წვევამდელი, რომელთაც არ ეძახიან წითელ არმიაში, რისთვისაც საჭიროა ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის გაიშალოს ფართოდ პროპაგანდისტული მუშაობა, მათი წითელ არმიაში მასობრივად გაწვევის მიზნით...**

**ამხანაგმა სტალინმა ბრძანა, რომ სასწრაფოდ გვაცნობოთ თქვენი შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით".**

ბერია ამ იდეას სკეპტიკურად მოეკიდა და მართალიც აღმოჩნდა. გენერალი მასლენნიკოვი, რომელსაც ჩვენი მკითხველი უკვე კარგად იცნობს, ერთი გულღია ჯარისკაცი იყო და მას ვერ წარმოედგინა, რომ სამშობლოს მოღალატე შეიძლებოდა გამხდარიყო მთელი ერი. ამასთან, საკუთარი ჯარის შევსება ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცით, მისთვის საკმაოდ მომხიბლველი წინადადება გახლდათ. მაგრამ ბერიამ კარგად იცოდა და მას ესმოდა ყველაფერი ის, რაც იციან და რაც ესმით გამოცდილ ექიმებსა და კონტრმზვერავებს...

ჩეჩნები უადგილო ადგილზე შერჭობილ ხიწვს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ მეფის რუსეთისათვის, და სამხედრო მოვლენათა განვითარებამ დაამტკიცა ბერიას პოზიციის სისწორე: ჩეჩნების ნდობა არ შეიძლებოდა! ამიტომ, როგორც კი სამხედრო მდგომარეობამ ამის საშუალება შექმნა, ჩეჩნები ჩეჩნეთიდან გადაასახლეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგი პირნათლად ემსახურა საკუთარ სამშობლოს და ხალხს

*(არდავიწყება მოყვრისა)*

"...ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი..."
ვაჟა-ფშაველა



დიახ, მიუხედავად იმისა, რომ სულმოკლე და **"ფულგრძელი"** შევარდნაძის გამყიდველური საქმიანობის გამო (ეს უკვე მრავალგზისაა დამტკიცებული დოკუმენტურად) აფხაზი და ქართველი ხალხი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, ქართველების მეტი წილი სერგო ბაღაფშს და შეცდომაში შეყვანილ აფხაზებს არასოდეს განვიხილავდით მტრებად.

სერგო ბაღაფში შესანიშნავი ადამიანი იყო. ღმერთსაც ხომ კარგი უყვარს...

როგორც წესი, დიდებულთა საგვარეულოს წარმომადგენლები ცოტანი არიან ქნეყნიერებაზე. ბაღაფშებიც ძალზე ცოტანი არიან აფხაზეთში – სულ თხუთმეტიოდე ოჯახს თუ დაითვლი. უფროსი თაობის აფხაზები თვლიან, რომ ბაღაფშების საგვარეულოს და გვარებს – **ტრაფში, გირუაფში** და **ყაფში** ერთი ძირი აქვთ და ერთი წარმომავლობისანი არიან.

სერგო ბაღაფშის წინაპრები სოფელ წაბალიდან არიან. ერთ დროს ამ გვარის წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ მუჰაჯირობის ტრაგედიამ აფხაზეთში ბაღაფშების თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობა დასტოვა. სამაგიეროდ, თურქეთში დღეს უამრავი ბაღაფში ცხოვრობს და შრომობს, რომლებიც ინარჩუნებენ გარკვეულ კავშირებს მათ აფხაზ მოგვარე-ნათესავებთან.

მაგრამ სერგო ბაღაფშის წინაპარი სწორედ თურქეთიდან დაბრუნებული აფხაზი გახლდათ. მას სახელად რაჯაბი ერქვა, თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ სოფელ ჯიგიარდაში დაიდო ბინა, შექმნა ოჯახი, რომელშიც ექვსი ვაჟკაცი და ერთი ასული აღიზარდა. ხალხს ახლაც ახსოვს, თუ როგორი გონიერი, შრომისმოყვარე და მართალი კაცი იყო რაჯაბი. დიდ დროს ატარებდა ტყეში, მონიშნავდა ხოლმე გარეულ მსხმოიარე ხეებს. ხალხი ახლაც მოწიწებით მოიხსენიებს მის სახელს, რადგან უხვად სარგებლობენ რაჯაბის მიერ მონიშნული ტყის ხეების ნობათით.

ბაღაფშების საძმოს დევებად მოიხსენიებდნენ, რადგან ყველანი ახოვანები, კოხტები და მხარბეჭიანი ვაჟკაცები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რაჯაბის სამი შვილი რეპრესიებმა შეიწირეს, ეს დევკაცი მაინც არ გატყდა. მისი ოჯახი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოჩამჩირის რაიონის მშრომელებს შორის, და ამ ავტორიტეტს დღესაც ბევრი არაფერი დაკლებია.

ამ გვარის უხუცესი იყო სერგოს მამა – ვასილი საიდის ძე ბაღაფში, რომელიც 2008 წელს აღესრულა. სერგო ვასილის ძე ბაღაფშმა წლების მანძილზე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნა თანასოფლელებისათვის, რადგან მას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა მშვიდი და უხვმოსავლიანი სოფლის გარეშე. ქალაქური ცხოვრების ხმაურისა და ორომტრიალისაგან იგი მაშინ ისვენებდა, როცა თავისი სოფლის ეზო-კარში ფუსფუსებდა.

– მე რომ ყოველ თავისუფალ საათს საკუთარ სოფელში არ ვატარებდე, ჩემს სიცოცხლეს ინტერესი დაეკარგებოდა! – არაერთგზის უთქვამს მას მეგობრებისათვის.

მას უყვარდა სოფლის წესიერი და შრომისმოყვარე ხალხი, ამიტომაც ისვენებდა მათ გარემოცვაში. სწორედ ამან განაპირობა მისი სამომავლო გეგმები – სერგო აგრონომი გახდა. ქალაქ სოხუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის სუბტროპიკულ ინსტიტუტში დაეუფლა განათლებას და კვლავ სოფელს მიაშურა. სერგო სწავლის პერიოდშიც მუშაობდა – იყო ღვინის ქარხნის მუშა, შემდეგ სახელმწიფო ბანკის ინკასატორი. გარდა ამისა, კალათბურთის სექციაში ვარჯიშობდა და იმდენად დახელოვნდა, რომ ხუთი წელიწადი საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში თამაშობდა. 15 წელიწადი დაუთმო სერგომ აქტიურ სპორტს, უამრავ ჯილდოს დაეუფლა.

1972 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შედეგ სერგო აფხაზეთის სოფელ მოქვის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების უფროსი გახდა. მან წამსვე მიიქცია ხელმძღვანელობის ყურადღება, როგორც ინიციატივიანმა და დაკვირვებულმა სპეციალისტმა.

შემდეგ იყო საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური, დემობილიზაციის შემდეგ კი აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად დააწინაურეს, სამი წელიწადი თბილისში იმუშავა – საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, 1982 წელს კი ოჩამჩირის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. იგი მიიჩნევდა, რომ ეს გახლდათ მისი სიცოცხლის საუკეთესო წლები. 32 წლისა შეუდგა ბეჭებით პირველი მდივნის კოლოსალურ სამუშაოს და ათი წელი ზიდა ეს სიზიფეს ლოდი.

მან კარგად იცოდა, რომ, ოჩამჩირე დიდი პოტენციალის მქონე რაიონი იყო – განახლებას ოჩამჩირის ცენტრიდან შეუდგა, რომელსაც არ გააჩნდა კანალიზაცია, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. მალე მოიყვანა წესრიგში საქალაქო მეურნეობა, კეთილმოაწყო ქუჩები, გზები, სკვერები, ბაღები...

სწორედ მისი მდივნობისას აშენდა ქალაქის შემოსავლელი გზა, სადგურის ახალი შენობა, დაიგო ასფალტი მოედნებზე. თავად დადიოდა თბილისსა და სოხუმში საჭირო ფინანსების მოსაზიდად და იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ყოველთვის აღწევდა დასახულ მიზანს.

სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობისას გამოვლინდა სრულად ბაღაფშის უმწიკვლოება და უსაზღვრო ორგანიზაციული შესაძლებლობები. საქმიან კაცს კი საქმეს რა გამოულევს, ამიტომ, სერგო დღესა და ღამეს ასწორებდა შრომაში, კაბინეტში იშვიათად შედიოდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვებს ასვენებდა, მაგრამ სხვანაირად ხომ დიდი საქმეები არ კეთდება!

რაიონის ეკონომიკა უძლიერესი გახდა აფხაზეთში, აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები, სხვა მიმართულების მსხვილი საწარმოები, დაიგო კეთილმოწყობილი გზები...

მის დროს მოხდა ოჩამჩირის რაიონის ტელეფონიზაცია, სოფლებში გაიყვანეს სასმელი წყალი, აშენდა სკოლები, კულტურის სახლები, გაიზარდა ჩაის პლანტაციათა ფართობები, გაშენდა ახალი პლანტაციები. როგორც აგრონომი, იგი შესანიშნავად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის ნიუანსებში, რამაც განაპირობა კიდეც რაიონის წარმატება. სახელმწიფოს ბეღელში მდინარეებად მიედინებოდა ჩაი, თხილი, ციტრუსები, თამბაქო, ბოსტნეული, ხორცი, ყველი...

სერგო ბაღაფშმა გვერდში ამოიყენა ისეთი გამობრძმედილი კადრები, როგორიც იყვნენ ივანე ლოგუა, იგორ გურგულია, აპოლონ დუმავა, ილარიონ კვეკვესკირი და სხვები.

მეგობრობდა ქვეშემრდომებთანაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში მეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაგრამ ეს სიმკაცრე განპირობებული იყო არა პიროვნული ამბიციით, არამედ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. ამავე დროს, პიროვნულ სითბოს ასხივებდა, რითაც საზოგადოების დიდ ნდობას იწვევდა. არც ჩამორჩენილთა გაკიცხვას ერიდებოდა, მაგრამ ყველაზე დიდ ესთეტიურ სიამოვნებას მოწინავე მშრომელთა შექება და წახალისება ჰგვრიდა.

სერგო ბაღაფშის სახელს უკავშირდება ოჩამჩირის რაიონში მასიური სპორტის აღორძინებაც. ამ კუთხით მას განსაკუთრებული გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომლის განხორციელებასაც პირადად აკონტროლებდა, რადგან სპორტში უაღრესად კომპეტენტური იყო.

არ იყო პრეტენზიული – როცა ოჩამჩირეში გადაიყვანეს, თვეების განმავლობაში სასტუმროს ერთოთახიან ნომერში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ამას უბრალოდ ხსნიდა: **"რახან ამ რაიონში ჩამოხვედი და ყველაფერს აკეთებ მის ასაღო- რძინებლად, ესე იგი, აქ შენმა შვილებმა უნდა იცხოვრონ"**. ოჯახიც საოცრად უპრეტენზიო ჰყავდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა...

შევარდნაძისა და მისი კრიმინალური ბანდის მიერ წამოწყებულ ძმათამკვლელ ომში საოცარ სიმშვიდეს და თავშეკავებას იჩენდა, მიუხედავად იმისა, რომ უაზრო ომში გაღებული თითოეული მსხვერპლი ემოციების მოზღვავებას იწვევს. ყველანაირად ცდილობდა რომ მოლაპარაკებების გზით დაერეგულირებინა სიტუაცია, მაგრამ ერთი უბრალო აფხაზი კაცი რას გახდებოდა საერთაშორისო დანაშაულებრივი ალიანსის ინტრიგებთან. მაგრამ გულხელდაკრეფით არც არასოდეს ყოფილა – უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, რითაც სამარადჟამოდ დაიმკვიდრა ადგილი სასუფეველში.

ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა ეს უაზრო ომი, რამდენიმე წლის შემდეგ, ბედმა მწერალმა, სერგო ბაღაფშს აფხაზეთის პრეზიდენტობა არგუნა. მას არასდროს შეუწყვეტია იმის მცდელობა, რომ მშვიდობიანი გზით დაერეგულირებინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, მაგრამ, თუნდაც მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტი რას გახდებოდა საერთაშორისო დანაშაულებრივი ალიანსის ბინძურ ინტრიგებთან.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ უამრავი დაწყებული საქმე დარჩა დაუმთავრებელი...

მეც მაქვს ჩემი გულისტკივილის მიზეზი.

ოდესღაც (ამჟამად 70 წელს ვუახლოვდები) მეც სპორტსმენი ვიყავი – მოფარიკავე. ქართულ სპორტულ დელეგაციასთან ერთად ფინეთში გახლდით საქმიანი ვიზიტით. მაშინ 27 წლის თუ ვიქნებოდი, მაგრამ უკვე ვეტერანებში ვირიცხებოდი. იქ გავიგეთ, რომ ფინეთის ქალაქ ტურკუში საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული ნაკრები იყო ჩამოსული. იქ იყვნენ უფროსი თაობის კალათბურთელებიც, ჩვენი მეგობრები ლევან მოსეშვილი, ვოვა უგრეხელიძე (**"პტიცა"**), ილარიონ ხაზარაძე (**"ლარიკა"**), ტუღუ ღვანია, თენგიზ ჭეიშვილი და სხვები. საღამოს ერთად შევიკრიბეთ. ჩემი ყურადღება მიიქცია ტანმაღალმა ახალგაზრდა კალათბურთელმა, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა. მისი იერით და საუბრის თავისებური ინტონაციით მივხვდი, რომ აფხაზი იყო, რადგან, აფხაზები, როგორც წესი, რუსულად საუბრობდნენ. მე უკვე გაზეთ **"ზარია ვოსტოკაში"** ვმუშაობდი და დელეგაციის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, რუსულად მოსაუბრეებს არ ვერიდებოდი. მაშინ გავიცანი პირველად სერგო ბაღაფში, უაღრესად ზრდილი და თავაზიანი ყმაწვილი, ძლიერი სპორტსმენი. რესტორანში გადავინაცვლეთ. გვიან ღამემდე ვისაუბრეთ მთასა და ბარზე, სპორტზე, ჩვენს ხალხებს შორის გართულებულ სიტუაციებზე. არ იყო ჩვენი საუბარი მთლად თბილი, მაგრამ სიმართლეს ვეუბნებოდით ერთმანეთს, თუნდაც მცირე ზომით მიღებულმა ალკოჰოლმაც თავისი საქმე გააკეთა და, ამიტომაც, მეგობრებად დავშორდით. დამშვიდობებისას აფხაზური სიალალით მთხოვა – ჩვენთან რომ ჩამოხვალ, აუცილებლად მეწვიე, მერე კი ერთად ვესტუმროთ აფხაზ ჯალაღანიებს, რომლებიც სოფელ კვიტოულში ცხოვრობენო.

განგებამ ისე ინება, რომ მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ, მიუხედავად იმისა, რომ ცოლად ჩემი მეგობრის ბონდო სოფრომაძის ბიძაშვილი – ნათელა შონია ჰყავდა.

ძნელია დღეს საქართველოში იპოვო ადამიანი, რომელსაც ნათესაური ან მეგობრული კავშირები არ გააჩნია აფხაზებთან, თუნდაც იმ ავადსახსენებელი ომის შემდეგ. ეს მხოლოდ ჩვენი ერთობის ჩაჭრის მსურველი არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები სთესენ შფოთსა და ზიზღს ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, თორემ უბრალო ადამიანები ყოველთვის პოულობენ ერთმანეთთან სასიკეთოთ მისასვლელ გზებს. და ეს პროცესი მით უფრო ჩქარდება და შეუქცევადი ხდება, რაც უფრო ბევრნი არიან სერგო ბაღაფშისნაირი გულთბილი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მოღვაწეები.

ამიტომაც გამიჩინა დაობლების მძიმე განცდა და დამწყვიტა დიდად გული სერგო ბაღაფშის უდროოდ გარდაცვალებამ!..

ნათელში იყოს შენი სული, ძმაო სერგო!

***P.S.** გულისტკივილითა და სინანულით აღსავსე დიდებული წერილი გამოაქვეყნა სერგო ბაღაფშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა ბატონმა ალექსანდრე ჩაჩიამ – "მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაღაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ". მაგრამ, ესენი მხოლოდ მოღალატეები კი არა, ის გაეშმაკებული ეთნიკურად არაქართველი ავაზაკები არიან, რომელთაც, ედუარდ შევარდნაძის თავკაცობითა და მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდაჭერით, ფულსა და სკამებზე გაცვალეს აფხაზეთი და სამაჩაბლო და ახლა ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ხალხების განსაცალკევებლად, რათა ამ უდღეურ "პოლიტიკოსთა" მზაკვრობასა და მუხთლობას ფარდა არ აეხადოს!*

*ჩვენ ვწერდით კიდეც იმის თაობაზე, თუ ქართველი ძალოვნები როგორ უკრძალავდნენ ზუგდიდელ ავტომექანიკოსს ოჩამჩირელ აფხაზთან მეგობრობას! მაგრამ, ცხოვრება წინ მიდის და ჩვენ ვალდებული ვართ, სერგეი ბაღაფშის, ჟიული შარტავას, ვლადიმერ ვეკუას და ამ ძმათამკვლელ, სამარცხვინო ომში დაცემული ვაჟკაცების, ტრაგიკულად დაღუპული მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ხსოვნის საპატივცემულოდ დავძლიოთ წყენა, ჩვენს წინ ხელოვნურად აღმართული ბარიერები და კვლავ ერთმანეთის მეგობრებად და თანამდგომებად დავრჩეთ!*

*სხვა პატრონი და გულშემატკივარი ჩვენ არა გვყავს!*

*ჩვენი მიცვალებულები ჩვენვე უნდა დავიტიროთ!*

*ამაში ნამდვილად ვერავინ ჩაგვეზიარება!*

*"ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!" – თქვა დიდმა ვაჟამ. ალბათ ამიტომაც ჰყავთ ქართველებსა და აფხაზებს ასე უხვად დაუძინებელი მტრები. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთის სილამაზისა და მდიდარი ტრადიციების დამფასებლები ვიყავით და ეს უკარგავდა მტერს მოსვენებას.*

**სხვამ ვინ შეიძლება სათანადოდ დააფასოს აფხაზური და ქართული სტუმართმოყვარეობა?**

სხვამ ვინ შეიძლება სათანადოდ დააფასოს და პატივი მიაგოს აფხაზების უსაზღვრო მოკრძალებასა და ზრდილობას, რომლებიც მშობლებს, ქალებსა და უფროსი თაობის ადამიანებს მხოლოდ ფეხზე მდგომები ესაუბრებიან, **"ბატონობით"**.

**მხოლოდ ჩვენ!**

**ამიტომ, თუ ახლავე არ მივხედეთ საქმეს, თანდათან უფრო გაგვიჭირდება ურთმანეთოდ!**

**როლანდ ჯალაღანია,**
საპატიო დოქტორი

ეს წერილი მინდა დავასრულო საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ილია მეორის სამძიმრის ბარათით, რომელიც მან გარდაცვლილის ოჯახს გაუგზავნა.

**„ბატონ სერგეი ბაღაფშის ოჯახს**

**ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით და პირადად ჩემგან მიიღეთ გულწრფელი სამძიმარი ბატონ სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების გამო, რომელიც აფხაზი ხალხის ღირსეული წარმომადგენელი და მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო.**

**ყოველგვარი წინააღმდეგობა, რომელიც გარედან ხელოვნურადაა შექმნილი და გვმიჯნავს ამქვეყნად, ქრება ღვთის სასუფეველში.**

**აღვავლენთ ლოცვას, რომ მისმა უკვდავმა სულმა მშვიდად განისვენოს ცათა სასუფეველში.**

**პატივისცემით,**

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,
უწმიდესი და უნეტარესი
ილია მეორე"

(სტატია დაწერილია აფხაზეთიდან გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ჩვენს მეგობარს, გაზეთ "ГАЛ"-ის მთავარ რედაქტორს ბატონ ნუგზარ სალაყაიას)

# საზოგადოებრივი კონფერენცია „სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ“

2011 წლის 25 ივნისს სასტუმრო **„BETSY'S HOTEL“**-ში დიდი სამამულო ომის დაწყების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა თემაზე **„სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ“**. ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობისა“** და ევრაზიის ინსტიტუტის ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამამულო ომის ვეტერანები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** ხელმძღვანელმა ტარიელ გაგნიძემ **საქინფორმთან** საუბრისას აღნიშნა, ღონისძიების მიზანია, საზოგადოებამ მიიღოს რეალური ინფორმაცია დიდი სამამულო ომის შესახებ.

**ტარიელ გაგნიძე: „დიდი სამამულო ომის თემა აქტუალურია ყველა თაობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ან უმალავენ, ან სრულიად დამახინჯებული სახით განუმარტავენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიულ მნიშვნელობას. ძველი აღმოსავლური სიბრძნეა – „შენი წარსული თუ არ იცი, მომავალს ვერ შექმნი“. ქართულ სინამდვილეში, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, სწორედ მსგავს ქმედებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამაშია ჩვენი უბედურება, რომ ახალგაზრდებს უმალავენ საკუთარ წარსულს, რათა წაართვან მომავალი. ამ ღონისძიების მიზანია, ერთი მხრივ, ამ სამწუხარო თარიღის გახსენება, მეორე მხრივ, იმ ისტორიული პერიპეტიების ერთგვარი შეფასება, რაც ამ თარიღთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ამ პროცესების გავლენა საქართველოზე. მეორე მსოფლიო ომი საქართველოს ისტორიის ნაწილია და მსგავსი კონფერენციები პერიოდულად გაიმართება“.**

ამჯერად კი კონფერენციაზე მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

– ომისშემდგომი ვითარება ევროპაში; ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის როლი ჩეხოსლოვაკიის დანაწევრებაში; ჰიტლერის მიერ ევროპის დაპყრობა; სსრ კავშირის მცდელობა დასავლეთის ქვეყნების ანტიჰიტლერული კავშირის შექმნაში დაყოლიებაზე; დასავლეთის ქვეყნების როლი სსრ კავშირზე თავდასასხმელად ჰიტლერის წაქეზებაში; სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შეთანხმების დადებითი როლი; სსრ კავშირის მზადყოფნა აგრესიის მოსაგერიებლად; ომის საწყის ეტაპზე წარუმატებლობის მიზეზები;

– საქართველოს მოსახლეობის რეაქცია ომის გამოცხადებაზე; ომში გაწვევა და მოხალისეთა მოძრაობა; მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი საზოგადოებაში;

– საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი ჰიტლერის დაპყრობილი ტერიტორიების მოწყობის გეგმებში;

– დიდი სამამულო ომის მიზეზები და შედეგები თანამედროვე სახელმწიფოებრივ საინფორმაციო პოლიტიკაში;

– ომის ისტორიის ფალსიფიკაცია ანტიჰიტლერული კოალიციის წევრების – დასავლეთის ქვეყნების, სასარგებლოდ;

– საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი დამოკიდებულება ომისა და დაღუპული თანამემამულეების ხსოვნისადმი.

ვეტერანთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარემ **ელვერ კუპატაძემ** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ვეტერანების მიმართ არაერთგზის გამოხატული ყურადღების გამო და თავის გამოსვლაში ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე:

**ელვერ კუპატაძე: „დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო წლებში ამ მეტად აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით არანაირი კონფერენცია არ გამართულა. მიზანმიმართულად ხდება დიდი სამამულო ომის მნიშვნელობის მიჩუმათება და დაკნინება. ძალიან ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ამჯერად მინდა, ყურადღება შევაჩერო იმაზე, იყო თუ არა ეს დიდი სამამულო ომი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ წლებში (განსაკუთრებით შევარდნაძის ავბედით ეპოქაში) ჩვენი კვლევითი საქმიანობის დროს ნაშრომი არ გამოქვეყნდებოდა, თუ მასში ნახსენები იქნებოდა დიდი სამამულო ომი და არა მეორე მსოფლიო ომი. ვეტერანებს, რომლებიც ქუჩაში გამოდიოდნენ ომში მიღებული მედლებით, სათანადო პატივს არ მიაგებდნენ. მოგვიანებით, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს დამოკიდებულება შეიცვალა. მაგრამ დღეს მაინც არ ფასდება მათი დამსახურება ისე, როგორც ეკუთვნით“.**

ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლის – გულბაათ რცხილაძის, განცხადებით კი, დებატები იმის შესახებ, იყო თუ არა ეს დიდი სამამულო ომი, აბსურდია; მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობს, დააკნინოს მისი მნიშვნელობა, შენარჩუნებულ იქნეს აკადემიური სიმშვიდე:

**გულბაათ რცხილაძე: „ხელისუფლება ძალიან ჭკვიანურად ცდილობს იმ ფასეულობების დემონტაჟს, რაც დაკავშირებულია დიდ სამამულო ომთან. ერთი მხრივ, სამთავრობო დონეზე პომპეზურად ულოცავენ ვეტერანებს გამარჯვების დღესასწაულს, მეორე მხრივ კი, აფეთქებენ დიდების მემორიალს. ასეთი ქმედებით ხელისუფლება ცდილობს, ეს იქცეს ერთი თაობის – ვეტერანების ზეიმად. რა თქმა უნდა, ეს, პირველ რიგში, ვეტერანების ზეიმია, მაგრამ ეს ხალხი იბრძოდა მომავალი თაობებისთვის და ამიტომ ეს ყველა თაობისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს“.**

კონფერენციის დროს დამსწრე საზოგადოებამ გულთბილი მოკითხვა მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ **ალექსანდრე ჭაჭიასგან,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** ერთ-ერთი აქტიური წევრია.

**ვახტანგ ჯაფარიძე,** ვეტერანი: **„ამ დღეებში წილად გვხვდა ბედნიერება და რამდენიმე ვეტერანმა მოვახერხეთ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ ეს შეხვედრა უშედეგო იქნებოდა, რადგან ჩვენ ვეჯავრებით პრეზიდენტს. სხვა რა უნდა ვიფიქროთ ქუთაისის მემორიალის აფეთქების შემდეგ? დავით ბაქრაძე დაგვპირდა, რომ შეიქმნებოდა კომისია, რომელიც შეეცდება, ვეტერანების მდგომარეობა ცოტაოდენ შეამსუბუქოს. თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ არ ვიცი. დიდი იმედი არც მაქვს. მე ამ ხელისუფლების ხელში მომავალი თაობა მეცოდება, თორემ ჩვენ ძალიან მალე წავალთ და ჩვენც დავისვენებთ და ხელისუფლებაც დაისვენებს ჩვენგან“.**

**შოთა ბუაძე,** ვეტერანი: **„დიდი მადლობა „ისტორიულ მემკვიდრეობას“, რომლის დამსახურებაცაა, რომ გახლდით ტუაფსეს კონფერენციაზე, სადაც ყველა ქვეყანა საუბრობდა საკუთარი ქვეყნის დამსახურებაზე დიდ სამამულო ომში. არავის უხსენებია სტალინი. ალექსანდრე ჭაჭიამ დასვა ძალიან მარტივი შეკითხვა – „კი, მაგრამ, ამ ომს სარდალი არ ჰყავდა?“**

**ხდება ისტორიის გაუკუღმართება, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შემოვრჩით იმ ომის მონაწილეები და თვითმხილველები. ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი სამშობლოსთვის, ოღონდ ასეთი საქართველოსთვის არ გვიბრძოლია; საქართველოსთვის, რომელმაც ტერიტორიები დაკარგა და სადაც ხალხს აღარ დაედგომება. არ შეიძლება ვისაუბროთ დიდ სამამულო ომზე და არ ვახსენოთ სტალინი“.**

ამის შემდეგ ვეტერანებმა ფეხზე ადგომით შესვეს ბელადის სადღეგრძელო.

ახალგაზრდა თაობის სახელით კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ზაალ ლაღოდაშვილი: **„ღვთის წყალობით, ჩვენს რეალობაში ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ფიქრობენ ჩვენი ქვეყნის წარსულზე, აწყმოსა და მომავალზე. მე მახსოვს ბაბუაჩემის სიტყვები: „მე ვიბრძოდი ჩემი სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, შვილებისთვის“... მე იმ ახალგაზრდების სახელით, რომლებმაც შეინარჩუნეს საღი აზროვნება, მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს თქვენი დამსახურებისთვის. ხელისუფლების სირცხვილია, რომ ვეტერანები დღეს ასე დამცირებულად გრძნობენ თავს“.**

**როლანდ ჯალაღანია,** ყოველკვირეული გაზეთი **„ილორის“** მთავარი რედაქტორი: **„მამაჩემი ომიდან აღარ დაბრუნებულა. დედაჩემი იღებდა ფულად დახმარებას, მაგრამ ამას მისთვის მატერიალურზე მეტად სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მისთვის მამაჩემის სიცოცხლეს ნიშნავდა. ასე იყო, ალბათ, ომის ყველა მონაწილის ოჯახში. ახლა კი ესეც მოუსპეს და საბოლოოდ ჩასცეს მახვილი გულში ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის დიდების მემორიალის აფეთქებით. იგი ხომ ხელოვნების ნიმუში გახლდათ, რაც ამ ხელისუფლებას არაფრად მიაჩნია“.**

**ირაკლი თოდუა,** ყოველკვირეული გაზეთი **„საქართველო და მსოფლიოს“** მთავარი რედაქტორი: **„მინდა, თქვენი ყურადღება გავამახვილო ისტორიის გაყალბების მორალურ მხარეზე. დღეს ეს ყველაფერი ისე იფუთება, თითქოს სტალინი და ჰიტლერი იყვნენ ერთნაირად საშიში და მხოლოდ დასავლეთი იყო ნათელი შუქურა. მაგრამ თუ გავიხსენებთ, როგორ იქცეოდა მთელი ევროპა და ანგლოამერიკული საზოგადოება, ცხადი ხდება, რომ ყალბდება ისტორიული ფაქტები იმის შესახებ, თუ ვინ რატომ დაიწყო ომი. ჩვენ დღესაც ვართ თვითმხილველნი ჯვაროსნული ლაშქრობის, რომელსაც დასავლეთი ახორციელებს ვითომდა დემოკრატიის ეგიდით და ვხედავთ, ვინ იბრძვის მსოფლიო ბატონობისთვის“.**

**ტარიელ გაგნიძე: „ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე მწარე მაგალითია ქუთაისის მემორიალის აფეთქება, რომელსაც ადამიანების სიცოცხლეც კი შეეწირა; გააფთრებული ბრძოლა ყოველგვარ სიმბოლიკასთან, რაც დიდ სამამულო ომში ქართველების მონაწილეობასთან არის დაკავშირებული; ვეტერანების პირდაპირი თუ ირიბი შეურაცხყოფა... აბა, სხვა რა არის ჰიტლერისა და სტალინის, ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის გაიგივებაზე საუბარი?! ამით ვეტერანებს ეუბნებიან, რომ მათი ბრძოლა და თავგანწირვა არანაირ ღირებულებას არ ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ფაშიზმს აკრიტიკებენ, უარყოფით მოვლენად აფასებენ, მათ ომის სიმბოლოები და სასაფლაოები არ წაუბილწავთ, მხოლოდ ნაცისტური ნიშნები მოაცილეს და ინახავენ, უვლიან როგორც ისტორიის ნაწილს“.**

## საზოგადოებრივი კონფერენციის „სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ“ მონაწილეთა დასკვნითი განცხადება

1941 წლის 22 ივნისი პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხთა ისტორიაში ჩვენი წინაპრების სიმამაცითა და გმირობით გამსჭვალული დიადი ტრაგიკული თარიღია. 70 წლის წინათ ჩვენი მამა-პაპათა მშვიდობიანი და აღმშენებლობითი ცხოვრება არნახულად სასტიკი ფაშისტური ურდოების ვერაგულმა შემოსევამ დაარღვია, რომლებიც ესწრაფოდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის დანაწევრებასა და ოკუპაციას, არამედ მისი მოსახლე „არაარიელი“, „არასრულფასოვანი“ ხალხების დამონებასა და ფიზიკურად განადგურებას. ჩვენი წინაპრების გმირულ ბრძოლას დამპყრობთაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად, მომავალი თაობების სიცოცხლისა და თავისუფლებისთვის ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო ისტორიაში და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მცხოვრები ყველა წესიერი ადამიანის კანონიერი სიამაყის საგანია.

ამავე დროს, ბოლო წლებში ჩვენ მოწმენი შევიქენით დიდი სამამულო ომის დასაწყისისა და მსვლელობის რეალური ისტორიული ფაქტების უტიფრად გაყალბების, დამახინჯებისა და ლაფში ამოსვრის მცდელობებისა. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებსა და მათ საზღვრებს მიღმა მოკალათებული გარკვეული ძალების ეს მცდელობანი მძლავრ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კამპანიად გარდაიქმნა და მიმართულია იქით, რომ სსრკ გერმანიის ტოლფასოვან აგრესორად დაგვიხატოს, გაათანაბროს კომუნიზმი და ფაშიზმი, სტალინი და ჰიტლერი როგორც მსოფლიო ბატონობისათვის მებრძოლი ერთმანეთის ბადალი ორი დიქტატორი და ამით წარმოაჩინოს დასავლეთი, აშშ მსოფლიოს მხსნელ ერთადერთ „კეთილ ძალად“, რომელმაც ორივე ტირანს ბოლო მოუღო. ისტორიის ასეთი ინტერპრეტაცია მდაბალი სიცრუე, უსინდისო ცილისწამება და ჩვენი წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაა.

კონფერენციის მონაწილენი აღვნიშნავთ, რომ ომისწინა ევროპაში ბატონობდა არა მარტო ჰიტლერული გერმანიის აგრესიული პოლიტიკა, არამედ წამყვანი ევროპული სახელმწიფოების წამქეზებლური პოლიტიკაც, რის გამოც ჰიტლერმა ჯერ ავსტრია დაიპყრო, შემდეგ კი პოლონეთის მონდომებული მონაწილეობით გაანადგურა ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა კავშირის დაჟინებულ და თანმიმდევრულ მცდელობებს ანტიჰიტლერული კოალიციის შესაქმნელად წინ ეღობებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ხელისშემშლელი დიპლომატიური ხრიკები და პოლონეთის კატეგორიულ უარი. უნდა აღინიშნოს, რომ 1930-იანი წლების ბოლოს თითქმის მთელი ევროპა ფაშიზმით იყო დაავადებული და იმყოფებოდა ფაშისტური ან ნახევრად ფაშისტური რეჟიმების ქვეშ (გერმანია, იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვაკეთი, ნორვეგია), მძლავრი ფაშისტური „მეხუთე კოლონები“ იყვნენ საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ბულგარეთში, უნგრეთში. ამან ჰიტლერს საშუალება მისცა, მოკლე ხანში თითქმის უბრძოლველად დაეპყრო ეს ქვეყნები. 1941 წლის ივნისში ჩვენს მამა-პაპებს ბრძოლა მოუწიათ არა მარტო ფაშისტური გერმანიის არმიასთან, არამედ მთელი ევროპის კონსოლიდირებულ ადამიანურ რესურსთან და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალთან.

და მხოლოდ 1944 წელს, როცა ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, აშშ-მა და ინგლისმა გახსნეს მეორე ფრონტი და ჩაებნენ გერმანიასთან ომში.

ქართველი ხალხი, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, არ შეუშინდა უცხო დამპყრობთა არნახულად მრისხანე ძალას. ომის პირველივე დღეებიდან ათეულობით ათასმა მოხალისემ მიაშურა ფრონტს საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან. 3-მილიონიანმა საქართველომ 700 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა ომში. 350 ათასი ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა. ყველა შეგნებულ ქართველს ეამაყება, რომ დიდ სამამულო ომში უმაღლესი მთავარსარდალიცა და ჯარისკაციც, რომელმაც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა, პატარა საქართველოს შვილები იყვნენ. დიდი სამამულო ომის მებრძოლების გმირობისა და მამაცობის მაგალითებზე აღიზარდა ქართველთა არაერთი თაობა. არ არსებობს ოჯახი, რომელიც დღემდე მადლიერებით არ იხსენებდეს მამა-პაპებს, რომლებმაც მტერს მშობლიური მიწა არ გაათელვინეს.

და მით უფრო შეურაცხმყოფელია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ერის ღირსების დამამცირებელი, აგდებული დამოკიდებულება დიდ სამამულო ომში მებრძოლთა გმირობისა და დაღუპულთა ხსოვნის მიმართ. ბრძოლის ველზე დაცემულთა უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლების ნგრევა, ი. სტალინის ძეგლების ქურდულად გაქრობა, განვლილი ისტორიული პერიოდის მიღწევების ხელაღებით უარყოფა, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებაში სსრ კავშირის გადამწყვეტი როლის მიჩქმალვა ჩვენი წარსულის განქიქებას ემსახურება, სახელს უტეხს უფროს თაობას, სპობს მემკვიდრეობითობას თაობათა შორის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თვით ქართველი ერის გადარჩენა-შენარჩუნების საკითხს. ჩვენს ვეტერანებს ასეთი საქართველოსთვის არ უბრძოლიათ.

მეორე მსოფლიო ომის საკითხებში საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის საინფორმაციო პოლიტიკა ისტორიის ფალსიფიკაციის, მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვის, საბჭოთა პერიოდის დისკრედიტაციის, ჩვენი წინა თაობების პატივისა და ღირსების დამცირების საერთაშორისო კამპანიის შემადგენელი ნაწილია.

ჰოლივუდური ფილმებით, მოსყიდული ცრუისტორიკოსებისა და ყველა ჯურის სატელევიზიო მოღვაწის „აღმოჩენებით“ შეზავებული ომის ისტორიის დასავლური ვერსია, რომელიც ანგლოამერიკელებს „ფაშიზმისგან მსოფლიოს მხსნელებად“ წარმოაჩენს, ნებისმიერი განათლებული ადამიანის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ვინაიდან გვახსოვს, რომ ყოველი ათი განადგურებული დივიზიიდან რვა გერმანელებმა სწორედ აღმოსავლეთის ფრონტზე დაკარგეს.

კონფერენციის მონაწილენი კატეგორიულად ვგმობთ ისტორიული მოვლენების უპასუხისმგებლო და პროვოკაციულ ფალსიფიკაციას და მოვუწოდებთ ყველა წესიერ ადამიანს, პატრიოტებს, უერთგულონ წინაპართა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც სისხლისმღვრელ ომში დაიცვეს ჩვენი სიცოცხლე და მომავალი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვიგოთ არჩევნები

**(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)**

**ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.**

ტელევიზიით გამოსვლისას მთავარი გარეგნული მახასიათებლებია, ვერბალობა კი მეორე პლანზე გადადის. ამიტომ, იმიჯმეიკერებმა ყურადღება უნდა გადაიტანონ კანდიდატის გარეგნული მახასიათებლების დახვეწაზე, როგორიცაა: ქცევის მანერა, ჟესტები, ჩაცმულობა და ა.შ. ამომრჩევლებზე უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე კანდიდატის საუბრის შინაარსი. მაგალითად, 1960 წ. აშშ საპრეზიდენტო კამპანიის დროს კენედისა და ნიქსონს შორის გამართული ტელედებატები, კენედის გამარჯვებით დასრულდა. ნიქსონის დამარცხება განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: გარეგნული იერის (პოზები, რომელსაც ის იღებდა), ქცევის მანერები (თვალები, ნერვიული ოფლის დასხმა შუბლზე), მისი ხმის (ნერვიული ხმის) გამო იგი ტელემაყურებლების ცნობიერებაში უარყოფით პერსონად აირეკლა. აქ ვერბალურ მხარეს, ნიქსონის მიერ მოყვანილ არგუმენტებს, მის წაგებაში დიდი როლი არ უთამაშია. ტელეკამერებმა **„გაწირა“** ნიქსონი და მისი ყველა ნაკლი სააშკარაოზე გამოიტანა. კენედიმ კი თავისი ახალგაზრდული მოხდენილობით და დახვეწილობით აშკარად დაჯაბნა ნიქსონი. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მას (კენედის) პროფესიონალი იმიჯმეიკერები ეხმარებოდნენ მომგებიანი იმიჯის შექმნაში.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ყველაფერი, რასაც ტელემაყურებელი ეკრანზე ხედავს, მის მიერ აღიქმება, როგორც რეალურად დანახული. რომლის შემდეგაც მას უჩნდება შეგრძნება, რომ ის ეკრანზე მიმდინარე მოვლენების თანამონაწილეა.

ამრიგად, ნათელია, რომ ზემოდ აღნიშნული სეგმენტები, წარმოადგენენ იმ ძირითად ელემენტებს, რომელთა პირდაპირი ხელშეწყობის საფუძველზე მიმდინარეობს პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის დროს.

## პოლიტიკური პარტიის შესახებ

### *პოლიტიკური პარტიის არსი*

ტერმინი **„პარტია“** ლათინური წარმოშობისაა და მთელის ნაწილს აღნიშნავს. პარტია მეტად სპეციფიკური ორგანიზაციაა, რომელიც განსხვავდება ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რაც არსებითად ქმნის მოტივაციას ვიმსჯელოთ მის არსზე და საზოგადოებისთვის მის სარგებლიანობაზე. საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში პარტიის პრობლემა არ შეისწავლებოდა, რადგან მარქსისტულ ლიტერატურაში პარტიის პრობლემა მხოლოდ კომუნისტურ პარტიას უკავშირდებოდა. საბჭოთა ერთპარტიული სისტემის კრახის შემდეგ მრავალპარტიულობა დამკვიდრდა, რამაც აიძულა მეცნიერები ობიექტურად შეესწავლათ პარტიის პრობლემა, რითაც გახდა შესაძლებელი უფრო ღრმად ჩავწვდეთ პარტიის არსს და დავადგინოთ მისი ადგილი და როლი პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

სანამ უშუალოდ პარტიის არსზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია მოკლედ ავღნიშნოთ თუ რა მიზეზებით იყო განპირობებული პარტიის წარმოშობა?! – ფეოდალური წყობილების დროს საზოგადრების კონკრეტული ფენის (ჯგუფის) ინტერესები ილახებოდა არსებული ხელისუფლების მხრიდან, რა დროსაც არ არსებობდა რაღაც ტიპის გაერთიანებანი, რომელიც მათ ინტერესებს (პოზიციას) დაიცავდა. ხოლო პოლიტიკური სისტემის ერთადერთი ინსტიტუტი, რომლის მოვალეობას საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების დაცვა წარმოადგენდა იყო სახელმწიფო, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ იცავდა მათ ინტერესებს. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ინდივიდებში პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური მონაწილეობის სურვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ცნობიერება და ცხოვრება გარკვეული აზრით ადამიანთა პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესია. ამ უკანასკნელს კი სჭირდება მამოძრავებელი ძალა, რაღაც მექანიზმი, რომელიც კონკრეტული შედეგების მიღწევისკენ იქნებოდა ორიენტირებული. ამიტომ, ბუნებრივია ინტერესთა პრაქტიკური განხორციელება მოითხოვდა ადამიანთა თანადგომასა და გაერთიანებას. ასეთი სახის პოლიტიკურ გაერთიანებად – პარტია მოგვევლინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა წინა საუკუნეებიდან მოყოლებული მრავალი მეცნიერი ცდილობდა პარტიის არსის დადგენას, შესაბამისად მისი (პარტიის) მრავალი განმარტება არსებობს:

გერმანელი მკვლევარი ვ. ჰასბახი პარტიებს განიხილავს, როგორც **„ადამიანთა კავშირს ერთიანი პოლიტიკური აზრით და მიზნით, რომელნიც ისწრაფვიან ხელთ იგდონ პოლიტიკური ძალაუფლება, რათა გამოიყენონ იგი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისათვის.“**

ვ. შვანცერბერგის აზრით, პოლიტიკური პარტია – ეს არის მუდმივად მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც არსებობს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. იგი მიზანმიმართულია ხელისუფლების მოპოვებისა და განხორციელებისაკენ და ამ მიზნით საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისკენ ისწრაფვის.

ფრანგი პოლიტოლოგი მ. დიუვერჟე პარტიას განიხილავდა სახელმწიფო სისტემის განუყოფელ ნაწილად, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესში.

ე. ბერკის აზრით პოლიტიკური პარტია ადამიანთა მყარი გაერთიანებაა, რომელიც საერთო პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩადგომას.

მაქს ვებერი პარტიას მიიჩნევდა საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომლებიც ეყრდნობიან წევრების ნებაყოფლობით მიღებას, რომელთა მიზანია ხელთ იგდონ ხელისუფლება და თავიანთი გაერთიანების აქტიური წევრებისათვის შექმნან პირობები, რათა მიიღონ მატერიალური სარგებელი, ან პირადი პრივილეგია, ხოლო უფრო ხშირად კი – ერთიც და მეორეც ერთდროულად.

პოლიტიკური პარტიების არსებობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მმართველობის ტიპზე. თუკი მმართველი ელიტა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ესწრაფვის დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას, მაშინ აუცილებელ საჭიროებად დგება პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობისათვის პლურალისტური გარემოს შექმნა. რადგან პლურალისტურ გარემოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების არსებობა პირდაპირ პროპორციულია სახელმწიფოს დემოკრატიულობისა, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიათშორისი კონკურენციის არსებობა ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელია. თანამედროვე გაგებით სახელმწიფო ვერ ჩაითვლება დემოკრატიულად თუ არ არსებობს პარტიათშორისი კონკურენცია, ანუ დემოკრატიულია სახელმწიფო, სადაც პარტიები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას ხელისუფლების მოსაპოვებლად, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებში იქნება მოქცეული. ეს კი აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და სრულყოფისათვის.

პოლიტიკური პარტიის, როგორც სახელმწიფოსა და პოლიტიკური ურთიერთობის შემადგენელი ნაწილის მეშვეობით პოლიტიკური შეხედულებები იძენენ პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგანაც სწორედ პარტიები ახდენენ საზოგადოების მობილიზაციას მათი განხორციელებისათვის.

პოლიტიკური პარტია სპეციფიკური პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან თავისი ორგანიზაციულობით. მაგ. **„ინტერესთა ჯგუფებისაგან“** პარტიების განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პარტიები არა მარტო ცდილობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენას, არამედ ხელისუფლებაში მოსვლას ლამობენ. ასევე პარტიები აერთიანებენ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს და ამით ქმნიან მმართველობის ყოვლისმომცველ პროგრამას. **„ინტერესთა ჯგუფები“** კი იბრძვიან ხელისუფლებაზე ზეწოლის მოსახდენად, რათა ამით აიძულონ საკუთარი ნებისადმი დამორჩილება. მაგრამ მათ მიზანს ხელისუფლებაში მოსვლა არამც და არამც არ წარმოადგენს.

ამრიგად, პოლიტიკური პარტია ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც არის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული და მიისწრაფვის საერთო ინტერესთა რეალიზებისაკენ ხელისუფლებაში მოსვლის ან მასში მონაწილეობის მიზნით.

### *პარტოგენეზისი, ანუ პარტიათა წარმოშობის და განვითარების პროცესი*

პოლიტიკური პარტიების, როგორც პლურალიზმის წყაროს ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ევროპის აღორძინების დროინდელმა მოაზროვნეთა შეხედულებებმა. პლურალისტური ურთიერთობების განვითარება კი დააჩქარა ინგლისის 1648 წ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, **რომ „პარტიათა“** ჩამოყალიბების პროცესს უარყოფითად შეხვდა თეოლოგიური დოქტრინის მიმდევრები და არისტოკრატია (კონსერვატიული აზრი). მაგ. ლორდი ბალოფაქსი პარტიას თვლიდა საიდუმლო დამნაშავეების ისეთ ორგანიზაციად (გაერთიანებად), რომლებიც ერის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ. პარტიათა წარმოშობის პროცესში საფრთხეს ხედავდა ნ. მაკიაველიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი პარტიის სასარგებლო თვისებებზეც საუბრობდა. ნ. მაკიაველი მიიჩნევდა, რომ საზოგადოების პარტიებად დაყოფა და მათ შორის მეტოქეობა დამანგრეველია სახელმწიფოსათვის. მაგრამ პარტიის რაციონალურად გამოყენება შესაძლებელია, რაც სარგებელს მოუტანს საზოგადოებას. იგი თვლიდა, რომ პარტია არის ბოროტება, თუმცა ბოროტების პრაგმატულად გამოყენება უნდა ხდებოდეს პოლიტიკაში. ეს ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ლოგიკა, შემდგომში უცილობელ ჭეშმარიტებად გადაიქცა.

# “КАК ОТТОРГАЛАСЬ АБХАЗИЯ” – უფრო სრულყოფილი წიგნია, ვიდრე “როგორ გასხვისდა აფხაზეთი”

მკითხველთა დიდი აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა 2009 წელს, ცნობილი სოხუმელი ნეიროქირურგის ნაპო მესხიას ავტორობით გამოცემულმა წიგნმა **“როგორ გასხვისდა აფხაზეთი”**, რომელიც გაზეთ **“ილორის”** ფურცლებზეც იბეჭდებოდა (ნაპო მესხიამ უდიდესი პატივისცემა გამოხატა პირად საუბარში გაზეთ **“ილორისა”** და ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ – **ლ.ქ.**). ორი წლის შემდეგ, – ამ დღეებში, ასევე ნაპო მესხიას ავტორობით, გამოვიდა ამ წიგნის რუსული ვარიანტი **“Как отторгалась Абхазия”** – უფრო სრულყოფილი და სიმართლით გაჯერებული, ვიდრე ქართული ვარიანტია.

საზოგადოება **“ზუგდიდელის”** ინიციატივითა და ძალისხმევით ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ამ წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. **“არ ველოდი, თუ ასეთი უნარი გამაჩნდა წიგნის დაწერისა, მაგრამ ცხოვრებამ ისეთ პირობებში ჩამაყენა, შევძელი. წიგნის დაწერა თუ გინდა, ის საქმე კარგად უნდა იცოდე. ეს წიგნები ერთბაშად არ დაწერილა, მას წინ უძღოდა დიდი ხნის ფიქრი და განსჯა. ქართულ ენაზე დაწერილი ჩემი წიგნი ბევრმა აფხაზმა წაიკითხა და მე მთხოვეს, რომ დამერთო ნება რუსულად ეთარგმნათ, მაგრამ მე მათ უარი განვუცხადე და შევპირდი, რომ თავად დავწერდი რუსულ ენაზეც და ამან განაპირობა კიდეც რუსულ ენაზე ამ წიგნის შექმნა, რომელიც უფრო სრულყოფილი გამოვიდა, ვიდრე ქართულ ენაზე დაწერილი!”** – აღნიშნა ამ შეხვედრაზე ნაპო მესხიამ.

წიგნში, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლება და ასახულია, თუ როგორ მიზანმიმართულად იკარგებოდა, სხვისდებოდა აფხაზეთი. ზუგდიდის რაიონული პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ვახტანგ კუკავას კითხვაც ნაპო მესხიასადმი ასეთი იყო:

– რაც მოხდა, ხელისუფლების მხრიდან შეუგნებლად თუ შეგნებულად იყო გაკეთებული? მათ იცოდნენ წინასწარ შედეგი?

ამ კითხვაზე პასუხი არა მხოლოდ ვახტანგ კუკავას, არამედ ყველა დამსწრეს აინტერესებდა. ნაპო მესხიას პასუხი იყო ცალსახა და კატეგორიული: **“რა თქმა უნდა შეგნებულად, აფხაზეთის გასხვისება ჩაფიქრებული იყო. სამეგრელო რომ დაარბიეს, აფხაზეთს ზურგი მოუნგრიეს, რათა უფრო ადვილად ჩაებარებინათ!”** – განაცხადა ნაპო მესხიამ. მან ამ შეხვედრაზე მყოფთ: ყოფილ პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს შეახსენა, თუ რამდენჯერ მიმართა მათ თხოვნით, გადაეცათ მისი მოსაზრებები საქართველოს მაშინდელი **“პრეზიდენტისათვის”**, რათა ქართულ-აფხაზური ურიერთობები დარეგულირებულიყო, მაგრამ ამაოდ.

ნაპო მესხია ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან არსებულ ურთიერთობასაც შეეხო – **“არაა, რა თქმა უნდა, მოსაწონი, რომ ვაგინებთ რუსეთს. რუსებმა ჩვენ თვითმყოფადობა შეგვინარჩუნეს, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. სანამ არსებული ხელისუფლება იქნება, ჩვენს ხსნას საშველი არ დაადგება!”** – დასძინა ნაპო მესხიამ.

ამ შეხვედრაზე ყველა გამომსვლელი ერთსულოვანი იყო, რომ წიგნი არის უბადლო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიმართლე.

**ოთარ ფაცაცია**, საზოგადოება **“ზუგდიდელის”** თავმჯდომარე: **“პროფესორს, ცნობილ ნეიროქირურგს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა კალამიც ააღებინა ხელში და ქაღალდზე გადაატანინა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია.”**

**მურმან ნაჭყებია**, საზოგადოება **“ზუგდიდელის”** თავმჯდომარის მოადგილე: **“ნაპო მესხიამ თავის წიგნში მწარე სიმართლე დაუფარავად გადმოსცა. დროა, სახალხო მოძრაობა “სამეგრელომ”, საზოგადოება “ზუგდიდელმა” და საზოგადოება “სამურზაყანომ”, ნაპო მესხიასთან ერთად, მოვძებნოთ აფხაზებთან მისასვლელი და დასაახლოებელი გზები. უნდა მოვახერხოთ მათთან საერთო ენის გამონახვა, ნდობის აღდგენა...”**

**ბონდო ჯიქია**, **“სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი: ღრმად მწამს, რომ, ამ კოლხი კაცის ნაწარმოები გამოადგება, განსაკუთრებით, ახალ თაობას, მტყუან-მართლის გარჩევაში.”**

**თამაზ ცანავა**, **“ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი: ასეთი სიმართლე, რაც აფხაზეთში ომამდე, ომის პერიოდში და ომის შემდეგ მოხდა, არავის აღუწერია ნაპო მესხიას გარდა. ეს არის უნიკალური წიგნი, რომელიც უნდა ისწავლებოდეს უმაღლეს სასწავლებელში, როგორც კონფლიქტოლოგიის საუკეთესო ნიმუში.”**

ნაპო მესხიამ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა გალის რაიონის მკვიდრის, ინჟინერ ნუგზარ სართანიას ღვაწლი და ამაგი. **“რომ არ ყოფილიყო ნუგზარ სართანია, მე ვერ შევძლებდი ამ წიგნის რუსული ვარიანტის გამოშვებას”** – აღნიშნა ნაპო მესხიამ. როგორც შეხვედრაზე ითქვა, უახლოეს დღეებში თბილისში დაგეგმილია ამ წიგნის პრეზენტაცია უფრო ფართო მასშტაბით.

**ლადო ქირია,**

**ზუგდიდი, სპეციალურად “ილორისათვის”**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგიერთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

ეტიმოლოგიურად **რგვა**სთან დაკავშირებულ **რგ** კომპლექსიანი ძირების სიძველეზე მეტყველებს საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმი და ჰიდრონიმი. მაგ. თუ მეგრ. **ო** ქართ. **სა-**ს შესატყვისი პრეფიქსია, **რგ** ჩვენთვის ცნობილი **რგვა**-თესვის აღმნიშვნელი ოდინდელი ძირი, **თი** სახელი სამოსახლოს, ადგილის, ყანის სემანტიკით, მაშინ ტოპონიმი **ერგეტა** მომდინარეობს **ორგეთა>ორგე+თა „სარგავი"** ადგილიდან: ორგეთა>ერგეთა>ერგეტა;

ტოპ. **გალი** მომდინარეობს **ო-რ**გალი **„სარგავი"**-დან (**ო** პრეფიქსი და თავკიდურა **რ** ბგერა დაკარგულია).

ტოპ. **ჯ**გალ-იც იგივე გენეზისისაა, ოღონდ აქ **რ** აფრიკატიზებულია **ჯ**-დ (შდრ. ყური>ყუჯი, პირი>პიჯი). **ჯ**გალის წინაფორმა **რგალ-**ის თავკიდურა **რგ** იმგვარადვეა შეცვლილი, როგორც გიორგი>გერგე>ჯგეგე საკუთარი სახელებში.

პრეფიქსი **ო** და სუფიქსები **უ, ე, უე** სიტყვებს – **ორგუ, ორგე, ორგუე** აძლევს ერთ (სარგავის) მნიშვნელობას.

მეგრ. **თი** და **თა** სინონიმებია, ამიტომ ორგ-ე-**თა** და ორგ-ე-**თი** იგივეა რაც ორგ-უ-**თი** და ორგუე-**თი** სარგავი ადგილის მნიშვნელობით. მეგრულ **უ**-ს ხშირად ცვლის ქართ. **ვ**. მაგ. თქუ>თქვა, შუ>სვა, ულა>სვლა და ა.შ. მ.ე. **ო-**რგ-უე-თი>**არგ-უე**-თი>არგ-**ვე**-თი (ტოპონიმი დასავლეთ საქართველოში).

ჰიდრონიმი **არაგვ**-იც იგივე ფონეტიკური ცვლილებებითაა მიღებული, ოღონდ აქ თავდაპირველ ფორმას აკლია სუფიქსი **თი**: **ორგუე** >**ა**რგუე >**ა**რგ**ვ**ე >**ა**რ**ა**გვი.

მეგრ. **ინგირ**-ის და ქართ. **ენგურ**-ის თავდაპირველი ფორმაც **ორგუ, ორგუ**-რი „სა**რგ**ავი" იყო: **ორ**გური>**ე**გური (ეს ფორმა დადასტურებულია მე-11 ს-ის რუქაზე) >**ენ**გური; **ორ**გური>**ინ**გური>**ინ**გირი.

**ორგე** – სარგავის მნიშვნელობიდან მომდინარე ტოპონიმები გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ეს იბერთა ქართიზაციამდე (ე. თაყაიშვილი) ვინაიდან შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ აღნიშნული პროცესები მის წინარე ეპოქებს უნდა მიეწეროს. ე.ი. **რგ** კომპლექსიანი ძირების სიძველე თავისთავად მტკიცდება. უფრო მეტიც, ეს ძირები შუმერში, ეგვიპტეში და პირინეის ნახევარკუნძულზეც უნდა ვეძიოთ და კორექტივები შუმეროლოგ-ბასკოლოგ-ეგვიპტოლოგებისთვის მიგვინდვია.

**თი**-ს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ასევე აღვნიშნეთ, რომ მას გააჩნია სინონიმი **თა.** ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული ზღაპრული ქვეყანა **აია**-ს სახელის წარმოშობა. ამას ამტკიცებს ჩხოროწყუს რაიონში მდებარე სოფ. **თაიას** ეტიმოლოგია: მეგრულში **ია** კნინობითობის აღმნიშვნელია. ასე რომ, **თა+ია** ნიშნავს პატარა სამოსახლო ან საყანე ადგილს ანუ პატარა ქვეყანას. ის მონაწილეობს ქუთაისის ძველი სახელის – **ქუთაიას** ქარმოქმნაში, რომელიც ძვ. ბერძნულში **კუტაიას** სახითაა დაცული. **ქუმ-თა-ია>** (ქუთაია) **ქუმ „ქუმელი"**+თა **"ადგილი"** + **ია** ქუმელის პატარა სათესი ადგილი იყო.

ტოპ. **ფო-თი-**ს ფონეტიკური შესატყვისი **ფა-თი-**ს პირვანდელი მნიშვნელობა რომ გავიგოთ მოვიშველიოთ დ. ფიფიას ლექსი – **"როკი",** სადაც ნათქვამია: **ფა დო „ფოთოლი** და **რკო** ხშირად ესხა". იხ. კ. სამუშიას **„ქართული ხალხური პოეზია – მეგრული ნიმუშები".** გამოდის **ფა** ფოთოლია, მაგრამ მას მცენარის მნიშვნელობაც რომ გააჩნია ეს ჩანს ზმნა **ფალ-უა „ცენება"** და **მა-ფალ-უ „მცენებარე"-**დან. აქ – პირველში **უა** ბოლოსართია, მეორეში — **მა** და **უ** წინსართ-ბოლოსართი, ძირი კი გახლავთ – **ფალ.** ეს ძირი, ერთ დროს, თავად იყო **ფა** + **ლ**-საგან შემდგარი კომპოზიტი და ნიშნავდა მცენარის ზრდას (სვლას): **ლ** ბგერა რომ მოძრაობას აღნიშნავდა ეს უტყუარად ჩანს მაგალითებიდან: მეგრ. **მალ ( მა + ლ) — „მდინარე", „მგზავრი",** სადაც **მა** წინსართია, **ლ** ძირი და **ულა(უ+ლ + ა)** – „სვლა"-დან, რომელშიც **უ** წინსართია, **ა** ბოლოსართი, **ლ** ისევ ძირი. ქართ. **სვლა** მიღებულია მეგრ. **ულა**-დან: **ულა>ვლა >სვლა.**

ამგვარად, **ფათი** დღესაც სემანტიკის მქონე – **ფა** და **თი**-საგან შემდგარი კომპოზიტი სიტყვაა და ნიშნავს მცენარეულ ადგილს.

**ფა**-ს მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული ტოპ. **ფიჩორი. ივ.** ჯავახიშვილის აზრით, მას **„..დამახასიათებელი რა დაბოლოება აქვს, რომელიც ქართულში და მეგრულში ბოლოსართად არ გვხვდება.."** და ამის საფუძველზე, ტოპონიმის სახელმდებად აფხაზთა წინაპრებს ასახელებს (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ს.კ. და მ.ა.ი.ე.პ. გვ.45). მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ტოპონიმს მეგრ. არა**რა** არამედ **რი** დაბოლოება აქვს, მეორეც **„...ამ სახელის აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის მიგნებით"...** იქნებ შესაძლებელი გახდეს უფრო სარწმუნო ეტიმოლოგიის დადგენა. **ფიჩორიფი + ჩორი** წარმოქმნილია ორი სიტყვისაგან **ფა „მცენარე"** და **ჩირე „ჭენჭყობი"-**დან. იგი ხომ ზღვისპირა ზოლში, დაჭაობებულ და ტყიან ადგილებში მდებარეობს.

**ჩირე**სთანაა დაკავშირებული ტოპ.**ოჩამჩირე**, სადაც **ოჩამ+ ჩირე-**ში **ოჩამ** მეგრ. **ოჩე** დიდია. ალბათ **ოჩამჩირე**ს სანახებში წინათ დიდი ჭაობიანი ადგილი იყო. რაც, დიახაც. სარწმუნოა, მისი ზღვის დონიდან დაბლა მდებარეობის გამო.

**ოჩე „დიდი"-**დანაა ნაწარმოები იქვე მეზობელი ტოპ. **აჩიგვარა, ოჩე-გორა**-დან. რაც მეგრულად იქნება **დიდი გორა** ანუ **დიდი მთა.** ირგვლივ მდებარე ვაკე ადგილებთან მიმართებით **აჩიგვარას გორაკი,** რა თქმაუნდა, **დიდად** აღიქმება.

**ფა**-სთან დაკავშირებულ ტოპონიმებიდან საყურადღებოა **ფალაზონი** კახეთში და მიკროტოპონიმი სამეგრელოში. **ალაზონი,** დღევანდელ მეგრულში. ქორფა მცენარეულ ადგილს აღნიშნავს: **ალაზონი ოდიარე** უდრის **ქორფა ბალახი. ფალაზონი ფა „მცენარე"+ ალაზონი** უდრის ქორფა მცენარეული ადგილი. ალაზანი, რა თქმა უნდა, ფალაზონის დიალექტური სახესხვაობაა კარგი საბალახო თუ, საერთოდ, ქორფა მცენარეული ადგილების მნიშვნელობით.

აქვე უნდა შევეხოთ საერთოდ **ფ** ბგერის წარმომავლობას. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, იგი და მისი კომპლექსი **ხ** ბგერასთან – **ფხ** კომპლექსი სითბოს გამოხატავს. **ფ** ბგერა მეორე სასიგნალო სისტემის წარმოქმნის საწყის პერიოდში **ფუნა „დუღილს"** აღნიშნავდა, რადგან დუღილის პროცესში სითხეში გახსნილი ჰაერის ბუშტუკების ამოსვლის დროს წარმოქმნილი ბგერების შესატყვისია.ხოლო **ფხ** ასევე **ხრ** კომპლექსები ხარშვის დროს წარმოქმნილ ბგერით მოვლენებს განასახიერებენ.

**ფხ** კომპლექსის მიერ სითბოს მნიშვნელობის ქონებითაა გამოწვეული სახელდება **აფხაზეთი**სა. ამ სახელში თავკიდურა **ა** მეგრ **ო** განკუთვნილების პრეფიქსია; **ზე** წინაფორმაა **მზე**-სი. პირვანდელი სახე ტოპონიმისა, რომელიც შემდეგ ეთნონიმად იქცა, იყო **ო-ფხ+ზე+თი,** რაც თბილ სამზეო ადგილს აღნიშნავდა. ძველად აფხაზეთად სრულიად დასავლეთი საქართველო აღინიშნებოდა: ისტორიული ფაქტია: აღმოსავლეთ საქართველოდან ქართ. მეფეები ზამთრის სუსხისგან დასავლეთს – **აფხაზეთს** აფარებდნენ თავს.

აფხაზეთი გაზაფხული ზაფხული მსგავსი აგებულების სახელებია, ასე რომ ზემოთხსენებული ეტიმოლოგია სავსებით სარწმუნოა.

**თი** სიტყვა (ყანა, სახლ-კარი) მონაწილეობს სახელთესლის წარმოქმნაში.

ტოგო გუდავას წიგნში **„ქართული ხალხური პოეზია, მეგრული ნიმუშები"** არის ლექსი: **ჩე ქოთომი ჩელაია, თეთრო ქათამო, თეთროო, ჩეთგინომრხიალე, თეთრად (ხრიალით) გადამიფრინე, ოშ ათასი ჩქიმი თის, ასი ათასი ჩემს კარმიდამოში, აკა მეზობელიშთის. ერთი (ერთადერთი) მეზობლის კარმიდამოში.**

ჩვენი აზრით, ამ ლექსში ქათამი – თესლის, ხოლო **თეთრად გადამიფრინე** ხელით თესვის პროცესის სიმბოლური გამოხატვაა. რაკი თი და მისი სინონიმი – თაყანაა, თაშიყანისთვის განკუთვნილი, საყანე იქნება, რაც თესლის არსის ზუსტი ფორმულირებაა. ვფიქრობ მეგრ, თა-ში>თა-სიდაქართ. თე-ს-ლი სხვა განმარტებებს არსაჭიროებს. საეჭვო არაა: სათესი ადგილის (თი, თა **„ყანის"**) და თესლის საერთო ეტიმოლოგიურია მოსავლიანობა მიუთითებს ამ სახელების შემქმნელი ხალხის პიონერობაზერგვა-თესვაში.

მაგრამ, ჯერჯერობით, პიონერებად შუმერები ითვლებიან. შუმერებისა და ქართველების ნათესაობა უეჭველია. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო შუმერულ-ქართველური პარალელები. თუმცა ვერ ვძლევთ ცდუნებას მის ერთ ნიმუშზე არ გამოვთქვათ მოსაზრება: შუმერულად და სვანურად მარეა დამიანს(კაცს) აღნიშნავს. გვაქვს მარ-ანი,სა-მარე, რაც ასევე ადამიანთანაა დაკავშირებული. მარე უძველესი და პირველქმნილი, უაღრესად ლოგიკური ტერმინია და მეგრულად ამ პირველნაფიქრალს დღესაც უცვლელად გამოხატავს: მა **„მე"**+რე **„არის"**, არსებობს ნიშნავს პიროვნების, მეს არსებობას.

თავად სახელი შუმერი მეგრულია: ცოცხალი მეგრ. სიტყვა **შ „წყალი, სითხე, სისველე"** პირველქმნილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. **შ ბგერა მდინარის და ფოთოლთა ხმაურის (შდრ.შირშინი „შრიშინი," შუმინუა „შუმინვა" ძვ. ქართ. „სუნთქვა") ადამიანის სამეტყველო ორგანოებით განხოციელებული რეპროდუქციაა. ე. ი. შექმნილია მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების გარკვეულ პერიოდში.** თუ **შ** წყალია, **მერენიშნავსწყლისპირა,ჭალაადგილს. იგიხშირიტოპონიმია. მ. ე. მერე + თიწყლისპირაანზღვისპირადაშ2 + მერე + თი,შესაბამისად, სველი წყლისპირა ან ზღვისპირა ადგილი იქნებოდა. ღიონ-ენგურის და სხვა მდინარეთა სანაპიროები სისველეს კარგად ინახავს. მათთვის ეს სახელი,როგორც იტყვიან,ზედგამოჭრილია.**

**ცნობილია, რომ ტიგრსა და ევფრატს შორის მდებარე მიწები გაზაფხულზე, მთლიანად წყლით იფარებოდა და ადიდებული მდინარის შლამ-ქვიშით ნოყიერდებოდა. მ. ე. შ-მერე-თი, როგორც ტოპონიმი, აქაც გამართლებულია. ესმოსაზრება კარგად ესადაგება, როგორც ნ. მარის შეხედულებას დაეკავშირებინა ივერი და შუმერი წყლის მნიშვნელობასთან (იხ. ნ. მარი „იაფეტური** კრებული" 1923, ლენინგრადი. გვ.208), ასევე რობერტ ბლეიხშტეინერის მოსაზრებას შუამდინარეთში სხვადასხვა დროს სუმერ, სუბარ, ტიბარ, იბერდაბასკ, მუსკსამი იაფეტური განშტოების შეჭრის თაობაზე. ხატოვნად თუ ვიტყვით, დღეს ცოცხალმა სამმა მეგრულმა სიტყვამ — შ2-მ, მერე-მდათი-მგას დო ხიდი იმერეთს, შ2 მერეთს და პირინეის ნახევარკუნძულს, იგივე იბერიას შორის. ბოლოს, მიუხედავად არსებული დიდად ავტორიტეტული მტკიცებისა ქართველ ტომების ძველსახელთა, ძირითადად, იბერძირთან ერთიანობის თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ იმერ, იბერ,სპერ,ჰვერ-ის ურთიერთმსგავსება განპირობებულია შ2-მერ-იდან, ხოლო — გვერ, გურ-ის — რგვა-თესვის რგ კომპლექსიან ძირებიდან წარმომავლობით. და, რაც მთავარია, თავდაპირველად ისინი ტომების სახელს (ეთნონიმს) კი არ წარმოადგენდნენ, არამედ — გეოგრაფიულს, მომდინარეობენ იმ ენოვანი წიაღიდან, რომელიც, საბედნიეროდ, დღევანდელმა მეგრულმა შეინარჩუნა და შესძლო ამ უპრეცენდენტო მოვლენების საკმაოდ დამაჯერებლად დამტკიცება.

მიწათმოქმედების პარალელურად ვითარდება მესაქონლეობა. ადამიანმა მიაგნო რძის აჭრის ხერხს,რამაც რძისგან ყველის მიღების საშუალება მისცა. როგორც ცნობილია, კუჭის ლორწოვნის სპეც. ჯირკვლები მდიდარია ფერმენტებით, რომელთა მოქმედებით ხდება რძის აჭრა. დღესაც, სამეგრელოში ცხოველის კუჭს ასუფთავებენ, ამარილებენ, ამშრალებენ, უმატებენ დოს დ აღებულობენ ასაჭრელ მასალას — ნაწ-ს, რომელიც ასევე კუჭის სინონიმიცაა. ფრიად საინტერესოა, ნაწის, როგორც ასაჭრელი მასალის თუ ანატომიური ორგანოს პირველადობის საკითხი. ამის გასაგებად მოგვიხდება მათი და საბამისმიერი ფორმის რეკონსტრუქცია. იგი იქნებოდა ნეწა, ვინაიდან ნე ნაღვლის ბუშტის შიგთავსის – ნაღველის და ასევე მაჭარის სინონიმია, წაკი წყალს ნიშნავს. სწორედ ეს ფორმაა — ნე-წა საწყისი მონაცემი.

საინტერესოა, რომ, მთავარი ქიმიური გარდაქმნა, რომელსაც რძე მაწვნად დამზადების პროცესში ღებულობს არის რძის შაქრის რძისმჟავად გარდაქმნა ანუ რძის დამჟავება-დაძმარება. ამიტომ მაწონის საწყისი ფორმა იყო ძმარწვენი— ძმარი +წვენი – მჟავე წვენი. შემდგომ, ძ-ს დაკარგვის გამო, დღევანდელ მეგრულში გვაქვს — მარწვენი. აქედანვეა გამარტივებით — მაწონი.

სამეგრელოში ცნობილ ყველის სახეობათა შორის ყველაზე გავრცელებულია კაზლა და სელეგინის **„სულუგუნის"** სახის ყველი. მეგრულში კა, აკა, კაკა, კაკალი სინონიმებია დ ანიშნავს ერთს, ზელი მოზელილია, ზალა — ზელვაა. კაზლას პირვანდელი ფორმა იყო კა-ზელი „ერთხელ მოზელილი." ამ უკანასკნელის გამარტივებაა კაზლა. სელეგინის საწყისი ფორმა იყო ზელიკინი უდრის ზედმიწ. მოზელილი ისევ ანუ მეორედ მოზელილი. ზელიკინი>სელეგინი, ვფიქრობ დაუშვებელია რაა. ორივე სახის ყველის სახელი არათუ ზუსტად ასახავს მათ მისაღებად გაწეულ მოქმედებას,არამედ გვიმტკიცებს პირველიდან მეორის, უშუალოდ გამომდინარეობას და ამით უტყუარს ხდის ეტიმოლოგიურ დასკვნებს: კაზელი>კაზლა მართლაც ერთხელ მოზელილი ყველია. სელეგინი კი ამ პირველის მეორედმოზელვით მიიღება.უმნიშვნელოვანესია, რომ სელეგინს გააჩნია სინონიმი — გექიმინელი — გექიმ-ინ-ელი, რაც გარდაქმნილია, მეგრულად. გარდაქმნა კი მეგრულად არის გინო-ქიმინი. გექიმინელს და გინოქიმინს არა მარტო ქიმფუძე აქვთ საერთო, არამედ იდენტურ იგენეზის სიტყვები არიან: ორივე მიღებულია გე და გინო ზმნისწინებისა და ზმნა ქიმინუა **„ქმნა"**-საგან. ე. ი. სიტყვები: გექიმინი, ქიმინი, ქიმინუა, გინოქიმინი ადამიანის მოღვაწეობის ამსახველი სიტყვებია და მათში, ქიმ-ფუძის მეშვეობით, ქიმიის დედააზრი – გარდაქმნაცაა ასახული.

თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია ქიმიასთან კავშირის გარეშე. მაგრამ მით უფრო კანონზომიერია მათი ერთიანობის აუცილებლობა განვითარების ადრეული ტაპზე. კოლხეთში სამედიცინო კულტურის სიძველე საკამათო არაა. ამაზე მეტყველებს მრავალი ქართვ. გენესის სამედიცინო ტერმინი. ტერმინი მედიცინა თუმცაკოლხეთის მეფის ასულ მედეას სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ბერძნ. ენის წიაღშია შემონახული. **„შუშანიკის წამებაში"** მოხსენიებული სახელები – წამალი და სალბუნი (მალამო) ჩვენამდე უცვლელადაა მოღწეული. ტერმინ ექიმ, აქიმს, რომელიც ხშირად იხსენიება **"ვეფხისტყაოსანში"**, ასევე ცვლილება არ განუცდია. წა + მალი-ში წა წყალს აღნიშნავს. მაგ. წა-ჩხურა **„ცივიწყალი"**, წაკურთხია **„წყლის კურთხევა"** და ა.შ. წ, წა, წ2 ბგერები წოვის, როგორც ფიზოლოგიური აქტის დროს წარმოქმნილი ჰაერის ბგერითი რხევები არიან. ისინი მეტყველების პირველსაწყისი ელემენტები გახლავან.

მეგრულად მე მკურნავს იქნება მა მ2მალე. მ. ე. წა-მალი უდრის წყალი მკურნალი (გ. როგავა).

მეგრულად მოლამაფა სასიამოვნოსაც ნიშნავს და მოსველებასაც. ლამე კი სველია. თუ დავაკვირდებით სიტყვებს — სალბუნი, მალამო-ს, ყურადღებას მიიპყრობს ფრიად საინტერესო ფაქტი: მოლამაფა-მოსალბუნება ერთიდაიგივე არსის მეგრულ-ქართული ინტერპრეტაციაა. მაგ. სასიამოვნო რამ ფაქტზე იტყვიან: გურც ქუმომლამუ უდრის გულზე მომესალბუნა. ჩვენი აზრით, ამ სიტყვებში სასიამოვნოს გაგება მეორადია. პირველადი გახლდათ დანაყილ მცენარეთა მოსველო, მეგრულად მოლამე ფორმების ტკივილდამაყუჩებელი თუ სხვა სამკურნალო თვისებები. როგორც ვხედავთ, მალამო მიღებულია მოლამესაგან. რაც შეეხება სალბუნს, ის ასევე დაკავშირებულია მეგრ. ლამე **„სველი"** და ბუნა **„სხმა"**-სთან. როგორც ეტყობა, სალბუნი მოლამე-მალამოს უფრო თხევადი ნაირსახეობაიყო, რომლის ბუნა(სხმა) ანუ სხეულზე შესხურება შეიძლებოდა.

**ედემ იზორია,**
**ზუგდიდი**
*(გაგრძელება იქნება)*

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" და გაზეთი „ილორი" თანაგრძნობას უცხადებენ ზუგდიდის ორგანიზაციის საბჭოს წევრს, ბატონ ჯუმბერ შეროზიას მამის, აფხაზეთიდან დევნილი**

**ვაჟა კაპიტონის ძე შეროზიას**

**გარდაცვალების გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე*

პროფ. ლევან სანიკიძე

დასაწყისი № 122, 123, 124

***ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია – გაზეთ "ილორის" რედაქცია.***

**ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე**

ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა 1955-1956 წლებში დაქირავებული გემით და ექსპედიციის 25 წევრით იმოგზაურა აღდგომის კუნძულზე, რომ გაერკვია, თუ ვინ იყვნენ ყველა მატერიკისაგან დაშორებული კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა იქ არსებული ფანტასტიკური, გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა. შემდეგ მან გამოსცა შესანიშნავი, საინტერესო წიგნი **"აღდგომის კუნძულის საიდუმლოება"**.

ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგვებმა 1722 წელს, 6 აპრილს, აღდგომის დღეს, შემთხვევით აღმოაჩინა კუნძული და მას **"აღდგომის კუნძული"** უწოდეს.

1988 წელს, ავსტრალიელმა პროფესორმა რობერტ მაურმა კუნძულის ტორფიან ჭაობში აღმოაჩინა შუა საუკუნეების დროინდელი ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც აღჭურვილობის მიხედვით ლივონის ორდენის წევრი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ როგორ მოხვდა იგი აღდგომის კუნძულზე?

მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შუა საუკუნეებში იყო ტექნიკა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა დიდ მანძილზე წუთიერ-წამიერი გადაადგილება.

ეს ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია! ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან აღდგომის კუნძულზე ცხოვრობდნენ

კოლხ-მეგრელები და მათი ლიდერი იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუა, კუნძულის პირველი მეფე, მოსახლეობის უმრავლესობა იყო მეგრელები (თეთრკანიანები, არა შავ და ფერადკანიანები). სწორედ მუსლიმანთა წინააღმდეგ ევროპული ქვეყნების რაინდთა ბრძოლაში მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებელის ჯარებიც. ამ დროს და შემდგომი პერიოდის მოლაშქრე მეგრელთა გვარები ცნობილია (შელიები, ხაინდრავები და სხვა), რომელთა (მოლაშქრეთა) ნაწილი, ლაშქრობის შემდეგ ევროპაში გადასახლდა. ამჟამადაც ბევრი შელია ცხოვრობს დასავლეთ გერმანიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის მატერიკზე. ცნობილია გერმანელი დიდი თავადი, სახელმწიფო, პოლიტიკური, დიპლომატიის ფრონტზე მოღვაწე შელია, დიდი მზვერავი – **"ალტეს"** ჯგუფის წევრი, რომელსაც ფაშისტურმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, ჰიტლერმა კი ჩამოხრჩობით შეუცვალა. ფაშისტთა ზედაფენებში გაკვირვებული წერდნენ და ამბობდნენ: ასეთი გამოჩენილი მოღვაწე, თავადი, როგორ ებრძოდა ჰიტლერსო. **"ალტეს"** ჯგუფის ხელმძღვანელებს ილზა შტიობეს, რუდოლფ ფონ შელიას და სხვებს სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა ამ ორგანიზაციის წევრმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა, ეკონომისტმა, ჟურნალისტმა ერჰარდ კეკელმა – **"ჩვენი საუკუნის ქარტეხილები. მზვერავი ანტიფაშისტის ჩანაწერები"**, რომელიც გერმანიაში, ქალაქ ბერლინში გამოვიდა 1983 წელს, ხოლო 1987 წელს – მოსკოვში, რუსულ ენაზე. მანამდე მოსკოვის გაზეთმა **"იზვესტიამ"** თხუთმეტ ნომერში გამოაქვეყნა მასალები ელზა შტიობეს და ფონ შელიას შესახებ (1984 წელი), გაზეთმა **"თბილისმა"** აღნიშნული მასალები გამოაქვეყნა 1984 წლის 25 აგვისტო-18 სექტემბრის ნომრებში, გაგრძელებით (სათაურით **"ასე მზადდებოდა 1941 წლის 22 ივნისი"**).

ყველა მონაცემებით ჩანს, რომ ავსტრალიელი მეცნიერის მიერ ნაპოვნი რაინდი დავით აღმაშენებლის მოლაშქრე იყო.

თექვსმეტი საუკუნის შემდეგ აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები – მათი აზრით, ყველაზე უკეთეს სოფელში ანაკენაში, სადაც იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუას სახლი და სამზარეულოს ნარჩენები, ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრებს სიყვარულით უმღერიან:

**ტე, ტერტერ, ტე ვაკა ტე ჰოტუ მატუა!**

**ო, გო-გო! ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა...**

სამწუხაროდ, ნორვეგიელ მეცნიერს არაფერს არ აძლევდა თუ რომელი ეროვნების იყო ჰოტუ მატუა და არც

ის გიგანტურ ქანდაკებებზე გიგანტური თავსაბურავები – ორი წვერჩამოშვებული ყაბალახი (პუკაო), რომელიც მეგრელთა (ქართველთა) თავსამკაულია.

ჰეიერდალი წერს: **"პირველ რიგში მე გამაოცა იმან, რომ ჩვენს წინ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინადროინდელ პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვხვდება..."**

აქ **"გასაოცარი"** არაფერია! სწორედ ინკებში, აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანეს კოლხ-პელაზგების, იბერია-მეგრელი ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ, ბუნებრივია, ინკების წინადროინდელი პერიოდის **"კოლონა-ქანდაკებები"** საოცრად ჰგავდა აღდგომის კუნძულების **"მიწაში მდებარე საგნებს"**.

ჰეიერდალი აგრძელებს: **"ინკებში მშენებლობის ტექნიკა შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე"**.

აღნიშნულ პერიოდში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები.

სწორედ იბერთა გონითა და პროექტებით შენდებოდა გიგანტური ნაგებობები – ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. პროფესორი რევაზ ერისთავი ხაზგასმით მიუთითებს, რომ იბერები უძველეს დროში გადაადგილებას იწყებენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ამერიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი კონტინენტები.

კოლხები მეტალურგიულ საქმიანობას ეწეოდნენ (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე გრადუსის პარალელზე.

**კლიმენტი შელია,**
**აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**
**(გაგრძელება იქნება)**



# სამეგრელო დავით დადიანის დროს

**ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).**

**მთავრის შემოსავალ-გასავალი. გადასახადები. სამთავრო ფინანსები**

ამას წერდა დავით დადიანი. შემდეგ, როცა ის გახდა სამეგრელოს მმართველად, ის წერდა გრიგოლ დადიანს იმავე კილოზე:

**"მწერ ნუ ხარ პირშავიო და თუ მქონდეს და არ გიგზავნიდე მაშინ ვიქნები შენთან პირშავად. ეხლა, თუ ვისესხებ თორემ არსაით ღონე არ მაქვს, შენ ნუ მომიკვდე. ეს ქალების დათხოვება, ამდენი სტუმარი, მასპინძელი, მტერი და მოყვარე მე დამაწვა ყველა. რომ იცოდე ჩემი ამბავი, შეგებრალები. იმ საზომზე მივალ ხოლმე, ნეტავი შორს მქნა სადმე-თქო. შენი მოძულებული მოვკვდე, თუ, ჩემი ცოლის ძმა მეწვია და ერთი სატევარის მეტი რამე მქონოდა მისაცემი, ან მით არ გამესტუმრებიოს. შენს რძალს მინისტრის მოსვლისათვის კაბა არა აქვს, ძველის მეტი, ის შენი რძალი ნუ მომიკვდეს, და, ის ვერ უყიდე, დამიჯერე".**

ევროპიულად განათლებული ქალის, **ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის** სამთავრო სახლში დედოფლის შემოსვლამ, თვითონ დავით დადიანის თბილისში დიდხანს ცხოვრებამ, ოდაბადეს სამთავრო სახლში სხვა და სხვა არაჩვეული ოდიშ-ლეჩხუმისათვის მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებამ დიდ-ძალი ხარჯი მოითხოვა და ამ ხარჯს ულეველი წყარო უნდოდა.

და სად იყო წყარო?

დავით დადიანამდის სამეგრელოს მთავარი პირველი მებატონე იყო ოდიშლეჩხუმისა და როგორც ესრეთს მარტო გლეხების გადასახადი და სამსახური ყოფნიდა სარჩოდ. 1860 წელს კანცელარიის აღწერით სამთავრო გლეხები ითვლებოდა სამეგრელოში 14 ათასი სული (ამ აღწერილობით მთავარს ჰყავდა 14 ათასი სული, ეკლესიას – 15 ათასი სული, ბატონიშვილებს 22 ათასი და დანარჩენ თავადაზნაურებს 60 ათასი. მაღალწოდებას შეადგენდნენ: თავადობას 1.309 სული, აზნაურობას 10.361 სული და სამღვდელოებას 2.340 სული), რომელნიც ერთი მეორეზე შეადგენენ 3 ათას ოჯახს. თითოეული ოჯახი იხდიდა მთავრის სასარგებლოდ ბეგარას: საკლავს (ღორს, თხას, ცხვარს), ღვინოს ერთიდამ ათ კოკამდის. ღომს – ერთიდან ხუთ ქილამდის (ქილა – ორი ბათმანი, ანუ ერთი ფუთი) და ქათმებს. ამასთან, ამავე გლეხებს ემართათ: საკურზუალო, საბაზიერო, სამეჯოგო, სამეჯინიბო, საკულუხო, საბოჭი ქათამი და სხვა ამგვარი გადასახადი და სამსახური, რომლითაც მდიდარი იყო ფეოდალური ქვეყანა არა მარტო ჩვენში. სულ ყველა ესენი, ფულად ნაქცევი საკმაო სახსარს აძლევდა სამეგრელოს პირველ მებატონეს ცხოვრებისათვის.

გარნა სამეგრელოს პირველი მებატონის სალაროს ზოგი სხვა შემოსავალიც ჰქონდა, რომელიც ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ შემოსავალს შეადგენდნენ გლეხთა ზოგადი გადასახადი:

**საური**: ნახევარი მანეთი ფულად ოდიშში და მანეთ ნახევრის – ორასი მანათის საკლავი ლეჩხუმში.

**სახურო –** ერთი ბურაკი, ერთი თხა, ერთი კოკა ღვინო, ორი ბათმანი – ერთი ქილა ღომი, ერთი ქათამი. ეს გადასახადი შემოიღო ლევან დადიანმა ზუგდიდის ეკლესიის აღშენების დროს და სანამ მთავრობა იყო, ხდებოდა ყველა გლეხებს.

**საციხო:** ერთი კოკა ღვინო, ერთი ქილა ღომი, ერთი ქათამი (ეს ხდებოდა ციხის რაიონში).

ამას გარდა მთავრის სალაროს შემოსდიოდა: ნავების ბაჟი, პარომის ბაჟი, ტყის ბაჟი (თუ ტყეს სამთავროს გარეთ გაიტანდნენ ბაჟი ათის-თავი იყო), პირუტყვის ბაჟი (ათისთავი) და ტამოჟნის ბაჟი. მას აქეთ, რაც **ანაკლია** და **ყულევი** ლევან დადიანმა დაუთმო რუსის მთავრობას, ამ ადგილებში რუსებისაგან გაკეთებული სადამოჟნო ზასტავებისათვის რუსის ხაზინა აძლევდა სამეგრელოს მთავარს წლისთავზე თორმეტ ათას მანეთს.

მაგრამ დავით დადიანს სულ ყველა ეს შემოსავალი ეცოტავებოდა და იმან მთავრის უფლებით დაბეგრა მთავრის სასახლის სასარგებლოდ საბატონო და საეკლესიო გლეხები, შეაწერა ამ გლებს ახალი გადასახადი – **საუდიერო,** რომელსაც ერთი მეორეზე შეადგენდნენ: ერთი ღორი, 10-15 კოკა ღვინო, ერთი-ხუთი ქილა ღომი და ერთი ქათამი. ვ.ნ. ივანენკოს ამოუკრეფია მთავარ-მართველის კანცელარიიდამ ცნობა, რომლისგან სჩანს, რომ დავით დადიანს შეუწერია საუდიერო ექვსი ათასი საბატონო გლეხთა ოჯახისათვის.

თუ რა შეაწერა სახელდობრ საბატონო და საეკლესიო გლეხებს დავით დადიანმა ამის მაგალითად მომყავს ერთი საბატონო გლეხის და ერთი საეკლესიო გლეხის გადასახადის აღწერილობა იმ სიიდამ, რომელიც შეადგინა 1-ლ მარტს 1848 წ. სახლთუხუცესმა თავადმა დათა ჩიქვანმა სოფელ ცაიშში. ამ აღწერილობიდამ სჩანს, რომ ცალკე იყვნენ აღნუსხვილნი: ცაიშის მონასტრის მიჩემებული გლეხები, რიცხვით ოთხმოცდათოთხმეტი და საბატონო გლეხები, რიცხვით 45. სიებში გლეხები და მათი გარდასახადი ამ გვარად არიან აღწერილნი.

ცაიშის მონასტრის მიჩემებული გლეხი **ქუჩუია ქირია** (№ა) **"არს მამრითი სქესი ექვსი სული, რომელსაც მართებს სამთავრო გარდასახადი ერთი ბეგარა ღორი, ერთი ქილა საუდიერო ღომი, ორი ქილა ბეგარა ღომი, აგრეთვე ხუროს სარჯი მართებს ერთი საკლავი, ერთი ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო, ექვსი კოკა ბეგარა ღვინო, ერთი კოთხო ლობიო, ამასთან ერთი ლანდი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიისა, ეგრეთვე, ახლის პურის ძღვენი მართებს ოთხი დედო-პური, ოთხი სულგუნი, საბოჭი ქათამი, ცხენის ჩაბმა, ტვირთობა, ნადობა და მუშაობა".**

საბატონო გლეხი **ქვაცა წიწავა** (№ა).

**"არს მამრითი სქესი სამი სული, რომელსაც მართებს სამთავრო გარდასახადი ერთი საუდიერო ღორი, ერთი ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო საუდიერო, აგრეთვე ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო საუდიერო, ერთი ქილა ღომი, ერთი კოკა ღვინო, ერთი ლანდი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიისა, საბოჭი ქათამი, ცხენის ჩაბმა, ტვირთობა, ნადობა და მუშაობა"**.

სრულიად საეკლესიო გლეხთა გარდასახადმა სოფ. ცაიშში შეადგინა სახლთუხუცესის აღწერილობით: სამი დიდი ძროხა, სამი ქაბულა (უშობელი), ორი ხბო, 84 ბეგარა თუ საუდიერო ღორი, 127 ქილა ღომი, 199 კოკა ღვინო, რვანახევარი ქილა ლობიო. აგრეთვე ხუროს ხარჯი 19 საკლავი, 19 ქილა ღომი, 19 კოკა ღვინო, 68 ლანდი აბრეშუმი ცაიშის ეკლესიისა.

საბატონო გლეხთა სამთავრობო გადასახადმა შეადგინა: ოცი საუდიერო ღორი, 24 ქილა ღომი, 24 კოკა ღვინო, აგრეთვე ხურის ხარჯი: 11 საკლავი, 11 ქილა ღომი, 11 კოკა ღვინო, ცაიშის ეკლესიისა 22 ლანდი აბრეშუმი.

საეკლესიო გლეხები დავით დადიანს სულ მთლად უნდოდა ჩამოერთმია სამღვდელოებისათვის, მაგრამ ეს იმან ვერ მოახერხა. მარტვილის ეპისკოპოსს, რომელსაც დიდი მამული ჰქონდა საჭყონდიდლოში, მთავარმა შეაძლია იჯარით 12 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ გლეხები სულ შემოსულივნენ მთავრის უწყებაში, მაგრამ თვითონ საჭყონდიდლოს გლეხებში ასტეხა ამან დიდი უკმაყოფილება და მისი ეს განზრახვა წამსვე ჩაიშალა.

სახლთუხუცესმა დათა ჩიქვანმა მიამბო ერთხელ: დავით დადიანს ისეთი კარგი მრჩევლები ყავდა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე და გიორგი მუხრან-ბატონები, ბარონი ნიკოლაი და ვასილ ბებუთოვი და იმათგან იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავრო დიდ-ხანს არ დარჩებოდა დამოუკიდებელ სამთავროდ, რომ საბოლოოდ ამას და მისს შვილებს მარტო ის დარჩებოდა, რაც ექნებოდა ხელში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დროს და ამის გამო დავითმა მამულის და სხვა ქონების შეძენას მაგრად მიჰყო ხელიო. მთავრის ამგვარმა სამეურნეო პოლიტიკამ ასტეხა დიდი უკმაყოფილება, როგორც თავად-აზნაურთა შორის, ისე სამღვდელოებაში და გლეხ-კაცობაში და ამ უკმაყოფილების შედეგი იყო გლეხების ამბოხება ჯერ საჭყონდიდლოში და შემდეგ მისის სიკვდილისა მთელს სამეგრელოში. ამ ამბოხებას მოჰყვა მისგან გამოწვეული სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება.

*(გაგრძელება იქნება)*

# ჩვენ არა მარტო ომი, არამედ ყველაფერი წავაგეთ: ღირსება, ადამიანობა, ჩვენი ქართველობა! (ომი 08.08.08. - თვითმხილველის თვალით)



*2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საზოგადოებაში არაერთი კითხვა იშვა. მათგან ყველაზე მთავარი კი ესაა: სულ რაღაც დღე-ნახევრის განმავლობაში როგორ მოახერხეს ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილმა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა არცთუ ელიტური და, როგორც ჩვენი ხელისუფლება ირწმუნებოდა,„ნახევრად მთვრალი“ 58-ე არმიის ქვედანაყოფების წინაშე კაპიტულირება?*

*საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** სტუმარია სამხედრო მოსამსახურე ვასიკო შაიშმელაშვილი, რომელსაც, სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გამო, პირადად მოუხდა იმ უსახელო ომის ყველა პერიპეტიის თვალყურის დევნება. შევეცდებით, მისი დახმარებით, თუნდაც, ნაწილობრივ ვუპასუხოთ მკითხველისთვის საინტერესო კითხვებს, მაგრამ წინდაწინ ვიტყვით,რომ სააგენტოს რედაქციის პოზიცია შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ცალკეულ ეპიზოდში რესპონდენტის სადავო თვალსაზრისს,თუმცაღა ჩვენი საუბრის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ფრაგმენტებს საგანგებოდ უცვლელად გთავაზობთ.*

– თანმიმდევრობით მივყვეთ. რუსეთი ერთი თვის განმავლობაში წვრთნიდა 58-ე არმიას, პირობითი მოწინააღმდეგენი კი საქართველო და სააკაშვილი იყვნენ. წვრთნის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე დაიწყო ომი და მათი შემოჭრა. ამისათვის კი ფორმალურ საბაბად, რასაც დიპლომატიურ ენაზე **„კაზუს ბელი“** ეწოდება, იქცა ოსეთის ომონის უფროსის მკვლელობა. თუმცაღა დღემდე უცნობია, ვინ ესროლა...

საქართველოს სამხედრო ძალების პირველი ბრიგადის შემადგენლობაში შემავალი მშვიდობისმყოფელთა ბატალიონი დიდხანს ითმენდა ოსეთის არტილერიის ცეცხლს, სანამ, ბოლოსდაბოლოს, საპასუხო ცეცხლის გახსნა არ გადაწყვიტა. უნდა ითქვას, რომ არტილერისტებმა, როგორც ყოველთვის,ჩინებულად იმუშავეს. და ეს მიუხედავად იმისა,რომ მიზანში ამოღება,ასევე, როგორც ყოველთვის,მობილურების (ფიჭური ტელეფონების, – საქინფორმი) მეშვეობით ხდებოდა, მეთოდით – **„ოდნავ წინ, ოდნავ მარჯვნივ“!..**

**– სწორედ მაშინ ზარ-ზეიმით გვამცნეს,რომ ცხინვალი ავიღეთ და გამარჯვებამდე აღარაფერი გვიკლია. თუმცაღა საბოლოოდ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა... რა მოხდა სინამდვილეში?**

– ცხინვალი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამასთან, როგორც წესი, თუ ჩვენები მას ბრძოლით იღებდნენ,ოსები,შეიძლება ითქვას, ძალისხმევის გარეშე ახერხებდნენ ამას, რადგან ჩვენები იქ უკვე აღარ იდგნენ. ოსებს, ბეჩავებს, უხაროდათ, მაგრამ ეს განწირულთა სიხარული იყო... სწორედ ამის შემდეგ ქალაქს საშინელი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს.

**– როგორ წარმოაჩინეს თავი ოსებმა? ცნობილია, რომ ისინი არცთუ ურიგო მებრძოლები არიან...**

– ჩემი განცდილისა და ნანახის მიხედვით, შემდეგი რამის თქმა შემიძლია: სოფლების უმეტესობა მოსახლეობამ დატოვა ან აყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ოსები ბრძოლას არც აპირებდნენ. მაგალითად, სოფელ გრომში, სადაც ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მოტომსროლელთა ოცეული შევიდა, სულ რამდენიმე მთვრალი მოსახლე იმყოფებოდა, მაშინ, როცა ტრანშეები და სანგრები ცარიელი იყო. ამავე დროს, გრომი ერთობ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მონაკვეთი იყო. ამასთან, აქ ვერ აღწევდა მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლი. საჭირო იყო მხოლოდ ამ ადგილის ქვეითი ჯარის ძალებით გამაგრება და თავდაცვითი ბრძოლებისათვის მომზადება. სანაცვლოდ, ოცეულმა სოფლის დატოვების ბრძანება მიიღო, ხოლო ჩინებულად გაწვრთნილი ქვედანაყოფის ნაცვლად აქ რეზერვისტთა რაზმი დატოვეს, რომელიც იმავე ღამეს გამოაძევა კაზაკთა დესანტმა. ვინ იღებდა ასეთ მცდარ და უმეცარ გადაწყვეტილებას, ჩემთვის უცნობია. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ **„კოკრები“** იყო...

**– ჩვენთვის მაშინ მნიშვნელოვანი იყო ჯავა-როკის გვირაბის მიმართულებაც. იქ რა ხდებოდა?**

– ვინც ამ ადგილს იცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ჯავა, ყველაფერთან ერთად, ბუნებრივი სიმაგრეცაა. აქეთ მარტო ერთი ბილიკი მოემართება და ჯავის აღება შესაძლებელი იყო სრულად დაკომპლექტებული ერთი ბრიგადის ძალებითაც და არა რამდენიმე, მთელ ფრონტზე გაშლილი და ამის გამო დასუსტებული ბრიგადების მეშვეობით. ამასთან, დარწმუნებული გახლდით, რომ სარდლობა სწორად მოქმედებდა, როცა ძირითად იერიშს აქ ახორციელებდა და რომ მოწინააღმდეგეც სწორედ ამ ვიწრო ხეობაში უნდა განადგურებულიყო, ხოლო ცხინვალის აღება მეორე პლანზე გადადიოდა. თუმცა,როგორც მოკლე ხანში გაირკვა, სარდლობა სხვა რამეზე ფიქრობდა. რაზე? პირდაპირ გეტყვით – ეშმაკმა უწყის...

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა,შაბათ ღამეს ჩვენ ომში ვიმარჯვებდით და აი რატომ: მთელი შაბათი დღე, შეიძლება ითქვას,ჩვენი ბენეფისი იყო,ჩვენმა მწირმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებმა ჩვენს ტერიტორიაზე შემოფრენილი თითქმის ყველა თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ხოლო არტილერისტებმა, მიზანში ამოღების საშუალებათა არარსებობის მიუხედავად, როკი-ჯავა-ცხინვალის გზის ზუსტად დაცხრილვა მოახერხეს!

შედეგად, საღამოსთვის გვირაბიდან ჯარების გამოსვლა შეწყდა, იმდენად მძლავრი აღმოჩნდა ჩვენი იერიში ძალიან ვიწრო მთიანი ხეობის ამ, საომრად ნაკლებად გამოსადეგ, ტერიტორიაზე. იმავე ღამეს რუსებმა ღია რადიოარხით თავიანთი დაჭრილების გასაყვანად ნებართვა ითხოვეს. ჩვენ კი NPSU დაგვირიგეს და ოპერაციის დაწყებისთვის მზადყოფნა გამოაცხადეს.

ხალხი ეიფორიამ შეიპყრო – ჯავაზე იერიშის ბრძანების მოლოდინში ფხიზლობდა! არტილერიამ ცეცხლი ჯერ კიდევ ღამით შეწყვიტა. ზოგს გული დასწყდა, ქვეითები ჩვენ გარეშე მიდიანო... თუმცა მაინც ბედნიერებმა მივლულეთ თვალი,აქაოდა,ბიჭები იქ უჩვენოდაც იომებენ, ჩვენ კი ხვალ საღამოს სახლებში გაგვაგზავნიანო...

რა მოხდა სინამდვილეში, ალბათ, ხვდებით. რუსებმა იმ დღეს დაჭრილები გაიყვანეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი როკის გვირაბთან დაბანაკებული მთელი ხალხი და ტექნიკა ჩვენკენ დაიძრა! რუსებისთვის ჩვენი **„თავაზიანობა“** იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ საკუთარი ტექნიკის საწვავით მომარაგებაც ვერ მოასწრეს. საწვავი ნახევარ გზაზე ეყოთ. შემდეგ ორი საათი ცისტერნებს ელოდნენ.

ჩვენი არტილერია კი ამ დროს ჯიუტად დუმდა – ჯარი ისვენებდა, რადგან იცოდა, რომ მოწინააღმდეგეს სანიტარიული კორიდორი შეუქმნეს. რასაკვირველია, კარგად ვიცი,რომ **„წესიერი ხალხისთვის ომშიც კი არსებობს კანონები“.**

რა თქმა უნდა,უაღრესად დიდი უზნეობა იქნებოდა სისხლად დაღვრილი დაჭრილების უყურადღებოდ მიტოვება,მაგრამ,განა არ შეიძლებოდა მათთვის დახმარების აღმოჩენა, ვთქვათ, ადგილზე, თუნდაც, ჩვენს სამხედრო ჰოსპიტალში?! და განა ეს ჩვენი მხრიდან კეთილშობილებისა და ჰუმანურობის გამოვლენა არ იქნებოდა?! მით უმეტეს, რომ ასეთ ცალკეულ შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. და განა შეიძლებოდა ასე გულუბრყვილოდ მივნდობოდით მოწინააღმდეგეს?! განა საკმარისად არ ვიგემეთ აფხაზური კონფლიქტის გაკვეთილი, როცა **„მშვიდობისმყოფელთა“** ძალისხმევით ქართველებს საბრძოლო ტექნიკის გაყვანა აიძულეს და,ამავე დროს, აფხაზებს მათი ტექნიკა გადაამალვინეს?! სწორედ ამ **„მიმნდობლობამ“** დააკარგვინა საქართველოს, ვიმედოვნებ, რომ დროებით,მისი მზიანი მხარე...

ამგვარივე რამ მოხდა აქაც. ჰკითხეთ ნებისმიერ სამხედროს, ვინც ცხინვალში იბრძოდა და რაშიც უშუალოდ თავად დავრწმუნდი – ყველა კონკრეტული ბრძოლა მოვიგეთ,მაგრამ ომი წავაგეთ! დილით მოწინააღმდეგე ყველა მიმართულებით გვიტევდა და ეს დასასრული იყო...

იმასაც გეტყვით, რომ ყველა საბრძოლო შეტაკება,რამდენადაც ჩემთვის ცნობილია,ჩვენთვის წარმატებით და მინიმალური დანაკარგებით დასრულდა. თუმცა ამის შემდეგ ყოველ ჯერზე ჯარებს, რატომღაც, უკან ახევინებდნენ. რატომ?! დავრეკე თბილისში და შევეცადე, რაიმე მაინც გამერკვია. მიპასუხეს: კიდევ რა გნებავს! შენ ხომ ყველაფერი არ იცი: აქ წურწუმია მღერის, ხალხი ცეკვავს! ნუთუ ომში გამარჯვება ჩვენს ზემდგომთა გეგმებში არ შედიოდა?!

როცა უკვე სახლში მყოფმა მეათედ გამოვთქვი ხმამაღალი ეჭვი, დედაჩემი აღშფოთდა: რას დაგიჟინია,შე მართლა ჯარისკაცო! ნუთუ ვერ ხვდები, რომ რუსეთი ცუდია?! რამდენიც ვეცადე,აბეზარი აზრი მომეშორებინა, არგუმენტი მაინც მტკიცე მეჩვენა... აი თურმე რატომ დაიღუპა მეოთხე ბრიგადის დიდი ნაწილი, რომელიც, თითქოსდა ალლუმზე,აქტიური საბრძოლო მოქმედებების რაიონის უშუალო სიახლოვეს მარშირებდა! სწორედ კოლონის შუაგულში ჩამოვარდა მაშინ მოწინააღმდეგის კასეტური ბომბი... და აი თურმე რატომ არ დაუშინა ცეცხლი არტილერიამ მოწინააღმდეგის უზარმაზარ ძალებს ვიწრო ხეობაში, სადაც უფრო ადვილია მოახვედრო, ვიდრე ააცილო! და რატომ არ ჰქონდა ჯარებს ცუდად მომუშავე მობილურის გარდა, არანაირი კავშირი.. აი რატომ იყო, რომ დამხმარე საარტილერიო ცეცხლის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა,თუ არტილერისტების რომელიმე ხელმძღვანელის მობილური ტელეფონის ნომერი იცოდი!..

ახლა ყველაფერი ნათელი და გასაგებია. და ყველაფრის მიუხედავად, ბიჭები მაინც იმარჯვებდნენ... და ამას განსაკუთრებული გმირობის ფასად, ბოლო 16 წლის განმავლობაში სულსა და გულში ჩაბუდებული უდიდესი ენერგიის ხარჯზე აკეთებდნენ. როცა დილაობით, ახალგაღვიძებული საკუთარ თავს ეუბნებოდნენ: თქვენ მხოლოდ შანსი მოგვეცით და თავგანწირვით ვიბრძოლებთ,ჩვენსას დავიბრუნებთ! და ამას აკეთებდნენ კიდეც... რამდენი სამხედრო ვნახე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ იბრძოდა და დაიღუპა კიდეც... მაგრამ რისთვის?! იმისთვის,რომ თბილისში მავანს ეზეიმა,**„კაიფი დაეჭირა“** ან მთვრალს ეღრიალა: მი-შა, მი-შა?! ოჰ,კინაღამ დამავიწყდა,თქვენ ხომ სისხლი ჩააბარეთ, ამისთვისაც მადლობელი ვართ...

მე რა, ცოცხალი გადავრჩი, ნერვებს კი გავუმკლავდები როგორმე. ბევრი კი ლამის გაგიჟდა... წარმოგიდგენიათ,რა დღეში იქნებოდნენ ბატალიონებში დარჩენილნი გაქცეული მეთაურების გარეშე?! თანაც, კაცმა არ იცის, საიდან გამოტყვრნენ გაბღენძილი ჩინოვნიკები და ბრძანებების გაცემა დაიწყეს!..

პირველ ხანებში ემორჩილებოდნენ – არმიაა მაინც და არა ბრბო. თუმცა მოკლე ხანში მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ეშმაკებთან გაგზავნეს... ყველაფერს ისე აკეთებდნენ,როგორც იცოდნენ და ასწავლეს. ამ პირობებშიც კი არმია თავის სიმაღლეზე რჩებოდა – დისციპლინის უხეშ დარღვევებსა და მაროდიორობას ადგილი არ ჰქონია. არ დავმალავ, დათრობის მცდელობები იყო, მაგრამ თავად სამხედრო მოსამსახურეებმა ძირშივე აღკვეთეს. ამის მოწმეც ვარ. ნასვამი ბიჭები მხოლოდ კვირადღეს ვნახე, როცა უკვე იქაურობას ვტოვებდით. მახსოვს მათი დარცხვენილი და შეცბუნებული სახეებიც. ვერავინ ხვდებოდა – საბოლოოდ რატომ წავაგეთ, აკი ყველა ბრძოლა მოვიგეთ?!

ვაღიარებ,ბევრი ვიფიქრე ამაზე და დავრწმუნდი – ომში ჩვენმა ძვირფასმა ხელისუფლებამ გვიღალატა! ვერც კი წარმოიდგენთ, რა თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები და, ამავე დროს, რა სისულელეებს სჩადიოდნენ კეზერაშვილი, **„ბლატნოი“** უგულავა, მათი ბარტყი კირკიტაძე და მისთანანი,რომლებიც,კაცმა არ იცის, აქ საიდან მოეხეტნენ!

ამასთან, მე გულუბრყვილოდ ველოდი,რომ თბილისი,როგორც მინიმუმ, სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეგონა,ადამიანთა სულები სიმივით დაიჭიმა, ყველა და ყველაფერი გამარჯვებისთვის მუშაობდა, დანარჩენისთვის კი მიეფურთხებინათ... ჩამოვედი და თვალს არ დავუჯერე... გარშემო სიმშვიდე და ნეტარება სუფევდა! გმირთა მოედნის მიმდებარე პარკში დილიდან ვიღაც ბრიყვი ერთობოდა – ლომების ფიგურებს ახტებოდა... ვერ გავიგე,ჩვენ რა,ამერიკელები ვართ?! ეს ჩვენ ვიბრძვით ერაყში და სხვა კონტინენტზე ვისვენებთ? განა სულ 5 მილიონი არ ვართ (5 მლნ მოსახლეობა, სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, ერთიან საქართველოში სსრკ-ის დაშლამდე ირიცხებოდა, – საქინფორმი), ხოლო ჩვენი ზღურბლიდან 80 კილომეტრში ადამიანები თხრილებში არ დაცოცავდნენ გარდასული ქართული ღირსების აღსადგენად?!.

მეგობარმა ცეცხლზე ნავთი დამისხა – აქაოდა, შენ არ იცი, თავს ვისთვის სწირავდიო!.. გამოდის, მართლაც არ ვიცოდი... არ ვიცოდი, რომ ჩვენი უბნელი მაგარი ბიჭები უწინდებურად,ვითომცა აქ არაფერიაო, ბირჟაზე დომინოს ურახუნებდნენ... რომ ჰკითხო, თავით ბეტონს გაანგრევენ!.. მივედი, ისინი კი **„სიფათებს მიკერავენ“**, აქაოდა, ჩვენს ბირჟაზე რა გესაქმებაო?! ენას კბილი ძლივს დავაჭირე, რომ არ მეპასუხა – თქვენ რაღა გესაქმებათ ამ ქვეყანაში-მეთქი?!

**– ვიცი,ყველა სამხედრო აღაშფოთა იმან, რაც იმ დღეებში დედაქალაქში ხდებოდა...**

– რბილად ნათქვამია. ზოგჯერ სურვილი წამძლევს, ქუჩაში გამვლელები გავაჩერო და ვკითხო: რატომ იღუპებოდნენ იქ ბიჭები იდეალებისთვის,რომლებსაც აქ თურმე არავინ იზიარებთ?

მეტსაც გეტყვით. ჩვენ არა მარტო ომი, არამედ ყველაფერი წავაგეთ: ღირსება, ადამიანობა, ჩვენი ქართველობა! და რაც ყველაზე უარესია – წაგება ვაიძულეთ ჯარისკაცებს,რომლებმაც ყველაფერი მოიგეს, მაგრამ რაღაც ურჩხული ყელში სწვდა და წააგებინა...

ომში იგებს ის, ვინც იგებს. თავის დროზე ისრაელმა 2 დივიზია,ანუ ნახევარი არმია დაკარგა,მაგრამ ომი მოიგო,რის გამოც დანაკლისი აღარაფრად ჩააგდო. ჩვენ, ჩემი ინფორმაციით, 700-მდე კაცი დავკარგეთ, 1000-მდე დაჭრილი და ხეიბარი რომ არ მივათვალო. გეკითხებით,რისთვის? იმისთვის,რომ კოდორი და ცხინვალის ქართული სოფლები გადაგველოცა? და რა ვუჩვენეთ მსოფლიოს? ჰო, რუსები ძალიან ცუდები არიან?! და რა, ისინი საიდანმე გამოაძევეს? რა სასიხარულოა!.. მერედა,ჩვენ რა?! სავარაუდოდ, ფულს კვლავაც გვასესხებენ და ჩვენს **„ონავარსაც“** ისევ თავზე ხელს გადაუსვამენ?!.

**– დასასრულ რას გვეტყოდით?**

– ვფიქრობ, ბედნიერი დასასრული არ გამოგვივა. გულახდილად გეტყვით: ახლა უკვე ჩემთვის სულერთია, რომელ ქვეყანაში ვიცხოვრებ! რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს,ის საქართველო,სადაც გავიზარდე, ჩემთვის აღარ არსებობს. ფიქრით დიდი ხანია,უცხო ქვეყანაში ვარ. აი ვზივარ იმ ტიპებს შორის, რომლებიც **„სი-ენ-ენ“**-ს უყურებენ და სულაც არ ანაღვლებთ, რა ხდება ლიბიაში ან ჰონდურასში. მათსავით ტომრებით გამოვგზავნი ქვეყანაში მეორად ტანსაცმელს და თავსაც, სავალალოდ, ბედნიერ კაცად ვიგრძნობ...

**ესაუბრა ბივი ბაქრაძე,**
**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბორჯი მესამე**

მამაჩემი და სილოვან ხუფენიაც იმ სუფრის დოსტები გახლავან, ილხენენ გვიანობამდე, მამას ადრე მოუსწრებს სიმთვრალე, მარცხენა თვალის მოკიუვის შემდეგ მარჯვენაც აუხამხამდება, შემოსძახებს **„ჭუკოჭუკოს„** და მალე მაგიდაზე მითვლემს.

გაიკრიფებიან, ყველაზე წინ, შუასუფრიდან, ჩონჩორ ჯოჯუა აიპარება, ვითომ ფიზიოლოგიური საჭიროებისათვის, წაცქვარუნდება ღიღინ-ღიღინით, იღლიაში გაჩრილი გულგამოღრუტნული პურით, მას მიჰყვება ავქსენტი გითოლენდია, შალიკო წარალბაია, გივი გამისონია, ცალფეხა მისაკ ჭანია ყავარჯნების ჭრაჭუნით და ვაჟიკო მარღანია.

დარჩება მამაჩემი მარტო, მაგიდაზე მიძინებული, ნავაჭრით გამოტენილი აქვს ჯიბე, მაგრამ არავინ აკადრებს ამოცლას, მიმტანებმა თუკი გამოაღვიძეს, დანახარჯს მამას გადაახდევინებენ, არადა, დედას ვინმეს პირით შემოუთვლიან:

— დათვრა შენი ქმარი და იქნება რამენაირად წაიყვანოო.

ამ შემთხვევაში გამცილებელი მე ვარ.

სილოვანის სიკვდილის შემდეგ კისერი ნოდარ გამსახურდიას სამოსახლოსკენ მეღრიცება, არლენ ელიავას მამულისკენ, იქითობისას — მარჯვნივ, აქეთობისას — მარცხნივ.

ოდნავ მოფხიზლებული მამა მხარზე მაწვება, რაღაც გაურკვეველს მელუღლუღება, ბიქტორევიჩს ძილში აბოდებს ხოლმე, თანამეინახეებს მიმართავს, ჰყვება მთისას და ბარისას, ასე რომ, კარგად თუ მიუგდებ ყურს, ქეიფის პერიპეტიები ცხადლივ გადმოგეშლება.

ჩონჩორის ჯიხურს ოდესღაც ხუფენიების დუქნები ემიჯნება, სადაც ამჟამად სასადილო და მაღაზიებია განთავსებული, შემდეგ ხვინგიების შუკაა, ნაძვებითა და ჭადრებით დაბურული საავადმყოფო და ქირთბაიების ორღობე.

პატარა ოტობაიას გადასახვევთან ძველთაძველი სასაფლაოა.

ამ ტერიტორიის გავლისას ღამღამობით კისერი დასახელებული პოზით მომღრეცვია.

სასაფლაოს გასწვრივ თაკალანძეების ქუჩაზე დედაჩემის ძმა ნოდარი დამკვიდრებულა, ნიჩბისხელა ტორებით და გულისხმიერი მსჯელობით გამორჩეული, სულ თამადობა უწევს ბიძაჩემს, მშობლები ვერაფრით გადმოუყვანია ფიჩორიდან და არიან აღმა-დაღმა მიმოსვლაში.

სასაფლაოზე ოდესღაც სამლოცაო ყოფილა, სამრეკლოც, აქ ბაბუაჩემის ბიძა ვასილი დიაკვნობდა თურმე, ქრისტიანული რიტუალების თეორიულ ცოდნას სწორედ მისგან დააპრაქტიკებს ბიქტორ ბაბუა.

ჩემი ჯიშ-ჯილაგი მარტვილიდან, თამაკონიდან იწყება.

ქესქიამ შვა სიკოია, სიკოიამ შვა ბეკოია, ბეკოიამ შვა ნიკოია, ნიკოიამ შვა ვასილი, ალექსი და კოსტა — ცეკვის ჯადოქარი.

ვასილმა შვა ბართლომე, რომლის სახლ-კარში მალე შევიხედავთ, ლენა ლაგვილავებისა, ზინა ქირიებისა, ომში დაღუპული კლიმენტო და ტერენტი.

ალექსიმ შვა ბიქტორი, კაპტო, დომე, პელაგია ჯღარკავებისა და აგრა უბილავებისა.

ბიქტორმა შვა მამაჩემი მიხეილი, ლუბა ჯაბუებისა, ლენტო მეფორიებისა, იაშა, თამარა შამათავებისა, პაატა და შაქრო.

უმცროსი მაზლები, მულიშვილები სულ ჩვენთან დაფრთიანდებიან, მაგრამ ამაზეც მოგვიანებით.

სასაფლაოს ხელმარჯვნივ ბართლომეს სამოსახლოა, ორსართულიანი ქვითკირის სახლი ქათქათებს ევკალიპტების ხეივნიდან, ბოკოს ასული მანერა ზანთარაიხე ფილოლოგია, დამამთავრებელ კლასებს ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ბაბუის ბიძაშვილი ბართლომე გამორჩეულია საზოგადოებაში, სულ ცინცხალი **„ვოლგებით„** დაიარება, სოფლის ექიმია, პერანგის გულისჯიბიდან ფონენდოსკოპის მილი ამოჩრია, მეამაყება ტანსრული ნათლია, მთელი სხეული შავი ჯაგრით დაფარვია, ვიდრე მამამისი ვასილი ცოცხალია, ცანცარა წვერს შვილიშვილი ნუგზარი უმოკლებს, მიეჩვია მაკრატელს და ახლა მამას აცილებს ზედმეტ ბალანს მშობლისვე თხოვნით.

— ფეტელავების თავ-კაცი იქნებაო, — იტყვის ხოლმე ჩემზე.

მათ უშველებელ კარ-მიდამოს უშვილო მაკარ პატარაია ემეზობლება.

გამოცდები ტრიფოლიატას ღობეს და ელეგანტური პატენტი და მადიშა ბაგათელიების სამკვიდრობელში აღმოჩნდები, მდიდრულია მათი ოდა-სახლი, ფართო ეზო, საჩრდილობელი ლაფანი, ანკარა ჭა, რომლისგანაც წყურვილს იკლავს სოფლის ცენტრი. არის ოწინარის გაუთავებელი წოწიალი,

მაღალი და ტანწვრილი პატენტი ნარდის დიდი გულშემატკივარია, გრძელი თითებით მიმზიდველად ურევს კამათლებს, შთამბეჭდავად გადააქვს ქვები, გაუბზარავი ხმის ჭარმაგი კაცის ასული — თამარა ჩიქოვანებისა — მამაჩემის თანაკურსელია, ამიტომაც ბაგათელიებთან მისვლას არაფერი მირჩევიან, წყლისთვის ვედროებით მგზავნის ხოლმე მამა, მივუჩოჩდები ნარდის თამაშით გართულებს, პირველივე გაგორებაზე დუ შაშით ოთხი ქვა მოჰყავს მასპინძელს ფანჯის კარიდან.

— რატომ ასე-მეთქი, — ვკითხავ ერთხელ.

— იმიტომ მიხას ბიჭო, რომ მოწინააღმდეგე სწრაფად შებოჭო.

მაინც არ მესმის მჭექარეხმიანი პატენტი ბიძიას თამაშის ლოგიკა.

გადმომძახებენ აფთიაქის ფანჯრიდან და მეც გამოვფხიზლდები, წყლით გავსებულ ვედროებს მოვარბენინებ.

ბაგათელიების საცხოვრისსა და აფთიაქს შორის ნადე დგებუაძის მოციცქნული ოდაა, ცემენტის დაბალ სვეტებზე შედგმული, ოდესღაც უმშვენიერესი ქალიშვილი წლების სიმრავლეს ლოგინად მიუჯაჭვავს, მსმენელად თუ მოგიხელთა, მშვიდობით მოუსვენრობავ! ცხრაჯერ მოგიყვება ერთსა და იმავეს, ოღონდ — ყოველთვის განსხვავებულად, თუ როგორ მოიტაცა ცხრაკლიტულიდან მისმა მბრძანებელმა.

აფთიაქი ქვიტკირისაა.

შესასვლელთან ბოგირია, ბეტონის მოსასვენებელი მერხებითურთ, ასწლოვანი ჭადრებია წინარე და მოჩხრიალე ღელე, მას მოსდევს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, კოლმეურნეობის კანტორა, პირველი სართული ფოსტას უკავია, გაბელია ცოლ-ქმრის დაწესებულებას, მეორე სართულზე თავმჯდომარისა და მისი გუნდის სავანეა.

ჩამოსულ მესვეურებს არ სწყალობენ ოტობაიელები და არც თავიანთ წინამძღოლს ეთანაწყობიან მაინცდამაინც.

გალიდან გამოგზავნილს უთქმელი საჩუქრით გაუმასპინძლდებიან.

კიკინია ზანთარაია აქაურია, ნოჩო თაკალანძეს იუმორის გმირი, ორი ხუთწლედი საკვირველად მოუტოვებია ზურგს უკან, მესამეს მიახრიგინებს.

განცხადებების დაფაზე მიუწერენ გამკილავ სტრიქონებს:

**ათე ჩქინი კიკინია,**
**მუჟამუშა იყინია;!**
**ეგე ჩვენი კიკინია,**
**როდემდინა იქნებაო;**

კიკინია ჩონჩორ ჯოჯუასი არ იყოს, ყვავების დაჩხავლებამდე ასწრებს სოფლის შემოვლას. კანტორაში საანგარიშოს რომ ურაკუნებს, ჩონჩორის ჩაქუჩი პირველით ეხმიანება აზიურების ლანჩებიდან და კიდევ მამია რატიას სამჭედლოდან ებანება გრდემლზე უროს გუგუნი თუ საბერვლის ქშენა.

ნახავს კბენია სტროფებს, მოაძრობს დაფიდან ფურცელს და ზედ ახალს მიაკრავს:

**ათე თქვანი კიკინია,**
**ირიათო იყინია!**
**ეგე თქვენი კიკინია,**
**ყოველთვინა იქნებაო!**

კანტორის ვარდისფერ შენობას მიწატკეპნილი შუკა აედევნება ტრიფოლიატებითა და ძეძვით დაძეძგილი.

მარცხნივ ხუტა ხუფენიას ფურნეა, აქ მუშაობენ შენაცვლებით იაშა აშორტია, ქანქანესა და ჭუკა ალფენიძე ნუგზარ ბერანძის მხარდამხარ.

მარჯვნივ სკოლის ტერიტორიაა რამდენიმე ასეული მეტრით, საიდანაც მუქ მწვანე ზღვასავით მღელვარებენ ასწლოვანი გიგანტი ნაძვები, პანტაპუნტით ცვიან გირჩები ქარიშხლიან ამინდებში, ხოლო დილდილაობით კოჭებამდე დაფუყულა რუხი, ნემსა წიწვები.

ერთხელ გრიგალი რისხვასავით გადაუღმუვლებს სოფელს, ორ გიგანტ ნაძვს წააყირავებს სკოლის ეზოში, დანარჩენსაც იგივე ბედი რომ არ ეწიოს, დირექტორის, ონერ ზანთარაიას მითითებით, შალიკო გუნჯუა არმატურათი დააბმევინებს ოთხივე მხრიდან.

იმ რკინის ბაგირზე შეყვარებულის თავის მოსაწონებლად მე ვიწყებ სრიალს მავთულისვე სახელურით, როგორც ეს ეგზოტიკურ ფილმებშია ხოლმე გაბუქებული, ვიწვნევ კიდეც მარცხს, შუაწელიდან მოვწყდები აბსტრაქტული სამკუთხედის ჰიპოტენუზას და ერთიანად გადავიყვლეფ იდაყვმუხლისთავებს,

უშველებელ ეზოს გამუდმებით ცოცხავენ ჩემი თანაკლასელის, ვალერი ბაგინსკის დეიდა-დედა და სკოლის დარაჯის, კოჭლი თომა სონგულიას მეუღლე თუ ასული, კოჭლობა დიდ ცოდვად არ მიიჩნევა სოფელში, ეს თანდაყოლილი თუ შეძენილი ნაკლი არარაობაა ნამუსიანი ცხოვრების ფონზე.

საერთოდ ფიზიკური ზადი ფსიქიკურთან ერთად მიტევებულია სულგრძელი ოტობაიასგან ერთხელ და სამუდამოდ, აი, მორალურს, ზნეობრივ დაცემულობას კი — ნურას უკაცრავად, ჩურჩულით, ირონიული ღიმილით, მოღრეცილი ტუჩებით, მოწკურული თვალებით გააყოლებენ მზერას და აქ სამუდამო განაჩენია გამოტანილი შენი დაცემულობისთვის, ამიტომაც მორალურად წაბორძიკებული ოჯახი დიდხანს ვერ ძლებს ოტობაიაში, მათი ნამოსახლარები წლობითაა მიგდებული პირუტყვისა და ეკალჯაგის საჯიჯგნად.

კოჭლი მარტოობაში მოსათმენი რომ არის, დუეტში ღიმილისმომგვრელია და სიმრავლეში— სახარხარო, გვყვანან ამგვარი თანაკლასელები: ენაკვიმატი ოთარ ცირდავა და ქობალიას ბიჭი, ერთი მარჯვნივ კელენაობს, მეორე — მარცხნივ, ფიჩორის საზღვრიდან მოდიან, ყოველთვის გვერდიგვერდ, ერთნაირი წყობით.

— საკმარისია მდებარეობა შევიცვალოთ, ერთმანეთს თავებით მივენარცხებითო, — ოხუნჯობს ოთარ ცირდავა.

შრომის გაკვეთილზე ტანდემურად ესენი დაარბენინებენ ნიჩაბს, ბიჭაკიას და სილა გზადაგზა ეპნევათ, გაცდები რეზო ბაგათელიას, ბაგინსკების ფიცრულებს, რამდენიმე ნამოსახლარს და საჯაიების შუკასთან ისევ ნაპო ბიძიას სამკვიდრობლით ჩემი სამოქმედო არეალიც შემოიხაზება.

ოტობაია ერთადერთი სოფელია სამურზაყანოში და, ალბათ, მთელს კოლხეთშიც, სადაც ჩაის ბუჩქი მტკაველ მიწაზე არ ჭაჭანებს, ყოფილა შემოტევა რაიონული ცენტრიდან, მაგრამ ძველი თაობის წარმომადგენლები მყარად დამდგარან: ცხვირბარაქიანი ნოჩო თაკალანძე, ღვაწლმოსილი მასწავლებლები იპოლიტე ქირთბაია, პილა სექანია, რომლის მუშტი მოსწავლური ანონიმური ლექსით — სამი კილოგრამია... რომ ჩაგარტყამს, თვალებს დაგიბნელებს და ალგებრაშიც არაფრისდიდებით გაღირსებს სამიანს. ტრიფონ, ივლონ და ანდრია ალფენიძეები, მუდამ ორბორტიანი კოსტუმით გამოწკეპილნი, კალოშებში ჩადგმული ჩონჩორ ჯოჯუასეული შიპლეტებით. შეიკრიბებიან კოლმეურნეობის კანტორაში და შემოჩეჩებულ ჩაის კულტურას სამისდღემშიოდ გადააშენებენ.

ამ დარგის სიძულვილს ერთი რეალობა ასაზრდოვებს ოტობაიელებში — მონური შრომით ადამიანის ფიზიკური გადაგვარების საშიშროება, მაგრამ მერე და მერე, როგორც დავინახავთ, ვაის გაცლილები მთლად უის შევეყრებით — მებოსტნეობას შეაკვდება სოფლის ძირითადი ენერგია, თუმცა ყველაფერზე — თანამიმდევრულად:

**— უხსოვარ დროში, კოლხურ სოფელში ცხოვრობდა თურმე მწყემსი მზეჭაბუკი ოტობაია. იმ ხანად ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა იყო ქაღალდი, მგოსნები ჩანგზე უკრავდნენ, მღეროდნენ და ის ხმები, ის ჰანგები, მერე თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ უკვდავ ლეგენდებად.**

**მწყემსი მზეჭაბუკის საკრავს ჯადოსნური ძალა ჰქონია, მისი ჟღერა გვალვაში წვიმას მოიყვანდა თურმე, გამხმარ ხეს გაანედლებდა, იმედგადაწურულ ავადმყოფს მოაბრუნებდა, ბოროტ ადამიანს სიყვარულს ჩაუსახავდა გულში.**

**ჩანგს ასეთი მომნუსხავი ძალა იმისთვის გამოჰყვა, რომ მასზე ჩვეულებრივი სიმების ნაცვლად მზის სხივები ყოფილა გაბმული, მაგრამ თითების შეხება ნიავის სუნთქვას თუ აღემატებოდა, უსიამოდ აჟღრიალდებოდა ხოლმე და მწყემსი ოტობაიაც ჯადოსნურ საკრავზე ზღაპრულ საგალობლებს აღავლენდა, მუსიკაში ატყვევებდა ოქროცურვილ მითებს და ლეგენდებს, აქვე ენგურის ჭალებში მამულის ოქროსმატყლიან ცხვრის ფარას აძოვებდა.**

**როდესაც ჩანგი ხმიანებდა, მომხდურს თუ ქურდ-ავაზაკს თავიანთი მგლური ბუნება ავიწყდებოდათ და მრავლდებოდა ფარა, ბედნიერად ცხოვრობდა სოფელი, ქვეყანა.**

**სასწაულმოქმედმა ჩანგმა ისე გაათამამა მწყემსი მზეჭაბუკი, რომ თავი უძლეველი ეგონა, ერთხელ ოტობაიას კოლხების წარმართული ღვთაება — ჟინი ანთარი შემოხვედრია ტყეში.**

**— ვინა ხარ; — უკითხავს ოტობაიას.**

**— სიკვდილზე ძლიერი! — უპასუხია ჟინი ანთარს.**

**— სიმღერის მომრევი არ დაბადებულა! — უთქვამს მზეჭაბუკს.**

**დაიძლავებულან.**

**გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვინც ზღვის ღელვას და ენგურის დინებას გააჩერებდა.**

**ბრძანა ჟინი ანთარმა და ზღვის ტალღები გაქვავდნენ, მაგრამ ენგური ძველებურად მოგრიალებდა.**

**ახლა დაუკრა ოტობაიამ ჯადოსნურ ჩანგზე, ჯერ ზღვა დაშოშმინდა, დაცხრა, გაილურსა, მერე ენგურიც გაჩერდა, დადგა სუნთქვაშეგუბებული და ასე, ორივე სტიქია მოთვინიერებული ლომებივით გაწვა მზეჭაბუკის ფეხებთან.**

**საშინლად განრისხებულა მაშინ დაჯაბნილი ჟინი ანთარი.**

**— ადამიანის ნაშიერმა როგორ მაჯობაო, გაუფიქრებია გაცოფებულს, უშიშვლია ელვის მახვილი, დაუქუხებია, დაუჭექია და მას აქეთ, სად გაქრა მზეჭაბუკი ოტობაია, ან მისი ოქროსმატყლიანი ცხვრის ფარა, არავინ უწყის.**

**გაბოროტებულ ჟინი ანთარს ჯადოსნური ჩანგის გაცამტვერებაც მოუწადინებია, მაგრამ საკრავს რაკი ვეღარაფერი დააკლო — ვერც სიმები დააწყვიტა და ვეღარც ბუდე მოუშალა, აი, მაშინ, უარესად გახელებულა, არიქა, სხვა ვინმემ არ მოიხელთოსო და ენგურის გიჟმაჟ ტალღებში მოუსროლია ზღაპრული ინსტრუმენტი.**

— სწორედ ამიტომ გავს ენგურის შესართავი ჩანგსო, — ამტკიცებს თანამემამულე მწერალი ვლადიმერ ალფენიძე, — ის კი არა, ხანდახან, როცა მდინარე ადიდდება და უკვდავი სიმები პერმოდებულ ჩქერალებში გაეხვევა, თითქოს პატრონის სული შეხებოდეს, საამურად აჟღერდება მძლეთამძლე ჩანგიც და ხელად წყალი იწყებს დგომას, საძირკველს გამართავს ჩიტი ჩიორა, მინდორში გუთანი გახროტინდება, ხორცით ივსება ბალანშეცვლილი საქონელი, ადამიანს მომავლის რწმენა და სიხარული გადასძალავსო, — ჰყვება უხსოვარი დროის ამბებს ზეფირებში ჩემი წამტყუებელი, მამაჩემის ნებიერი ტარასის ძე, იგივე ლადო ბახტრიონელი თუ ივერ ეგრისელი.

თოლიების ფარფატია.

უკაცრიელია სანაპირო.

გამახარიების ბიჭები გამოჩნდებიან მოგვიანებით, ისინიც გვიწყალობებენ ოჯახიდან ერთ გრაფინ მსხლის არაყს, ცოტა ხანში იმ ერთს მეორეც მოჰყვება და როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხრება გვარიანად შევქანავდებით ყველა.

აპოშა ძაძუას ოჯახში რევდენ ზანთარაიას განვათავსებთ, ვაჰანიებისას სახსარამოცლილ ბაგინსკის, დანარჩენი მოვიჩქარით ფეხბურთის სტადიონისკენ.

აქ უკვე პირველი ტაიმი დამთავრებულა, მოედანი გადაჭედილია ხალხით, სიგრძივ გამართულ მერხებზე ქალები და მოხუცები სხედან, ბავშვები მოლზე დაყრილან, კაცები ფეხზედგომელანი გულშემატკივრობენ თავიანთ გუნდს.

**გური ოტობაია**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

# დავით ყიფიანს 60 წელი შეუსრულდებოდა

...მართლაც ძნელია ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში **„ჩაეტიო“**, როცა დავით ყიფიანზე საუბრობ: არა მხოლოდ ქართული, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ევროპული და, საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავზე! ფეხბურთელზე, ვისაც იმდროინდელი ვარსკვლავების (ზიკო, პლატინი, მარადონა) გვერდით მოიხსენიებდნენ და ვის სიდიადესაც ყველა აღიარებდა!

ჰო, ყველა და ყველგან: საქართველოშიც და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაშიც, ინგლისშიც და იტალიაშიც, გერმანიაშიც და ესპანეთშიც, ბრაზილიაშიც და საფრანგეთშიც; სხვანაირად ვერც იქნებოდა: ნეიტრალური კი არა, მეტოქე გუნდის გულშემატკივარიც ვერ რჩებოდა გულგრილი დავით ყიფიანის ზღაპრული თამაშის შემხედვარე; **„კლასიკური“** 10 ნომერი გახლდათ, ყველანაირი ტაქტიკური სქემა-ჩარჩოების უგულებელმყოფელი, სამაგიეროდ, იმპროვიზაცია იყო ყიფიანის სათამაშო კრედო, აი, როგორც ნაღდ და **„დიდ ათიანებს“** სჩვეოდათ; სწორედ ასეთი ესთეტიკით და საფეხბურთო ხელოვნებით ანებივრებდა წლების განმავლობაში თავის ქომაგებს - **„დინამოს“** იმ მართლაც ზღაპრულ თაობაში მაინც გამორჩეულად რომ უყვარდათ.

...იტალიური **„ინტერი“** და ბრაზილიური **„ფლამენგო“**, ესპანური **„რეალი“** და ინგლისური **„ლივერპული“**, იტალიური **„ნაპოლი“** და გერმანული **„ჰამბურგი“**,- შორს წაგვიყვანს ჩამოთვლა იმ უცხოური



გრანდებისა, რომელთა წინააღმდეგაც დავით ყიფიანს გაუბრწყინია;

ტიტულებიც, იცოცხლეთ, ფეხბურთელობის დროს, უამრავი ჰქონდა: **„დინამოს“** შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო, ვერცხლის პრიზიორიც და ბრინჯაოსიც (ოთხჯერ), ორჯერ საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა, 1977 წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (იმის წინა წელსაც ეკუთვნოდა, მაგრამ **„რატომღაც“**, ცსკა-ს მეკარე ასტაპოვსკი ამჯობინეს); 1976 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, იმავე წელს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად მონრეალის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა, მაგრამ, ყველასათვის გაუგებარი მიზეზის გამო, ერთი წუთიც არ უთამაშია.

საერთოდაც, სანაკრებო თემა იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისათვის ყველასათვის გამოცანად რჩებოდა: კონსტანტინ ბესკოვი იქნებოდა თუ ვალერი ლობანოვსკი სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ყიფიანს რატომღაც ნაკლებად, ან საერთოდ არ წყალობდნენ... აი, ასე დარჩა ქართული ფეხბურთის ლეგენდარული **„ათიანი“** მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე; არადა, წესითა და რიგით, სამჯერ (!) უნდა ესაპარეზა: 1974 წელს სსრკ ნაკრები... პოლიტიკურ ავანტიურას შეეწირა (ჩილეს წინააღმდეგ თამაშზე **„ზემოდან“** უარი ათქმევინეს), 1978 წელს შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლია, 1982 წელს კი ყველასათვის გამაოგნებელი ფაქტი მოხდა! აი, იმ მსოფლიოს ჩემპიონატზეა ლაპარაკი, სადაც, უცხოელ ჟურნალისტთა უმრავლესობის აზრით, ოთხ ვარსკვლავს უნდა გაებრწყინა; ეგ კი არა, ბჭობა და კამათი იმაზე მიდიოდა, ვინ უნდა გამხდარიყო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი: ზიკო, მარადონა, პლატინი თუ... ყიფიანი? თუმცა, იმ მუნდიალმა უყიფიანოდ ჩაიარა და სწორედ ამის გამოც იყო, რომ ლეგენდარულმა ქართველმა **„ათიანმა“** საფეხბურთო კარიერა 30 წლის ასაკში დაამთავრა.

1982 წლის აპრილის დასაწყისში 40 ფეხბურთელის სია გამოქვეყნდა, საიდანაც მწვრთნელები 22-ს აირჩევდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანდნენ. ამ სიაში დავით ყიფიანი არ ფიგურირებდა, – ფეხბურთელი, ვინც წინა წელს ევროპის სიმბოლურ ნაკრებში გახლდათ მიწვეული (მსგავსი პატივი კი, ქართული ფეხბურთის ისტორიაში, მანამდე მხოლოდ სლავა მეტრეველს ჰქონდა)! აბა, ამაზე მეტი გულისტკივილი რაღა უნდა ყოფილიყო და ამ სიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში (უფრო ზუსტად, აპრილის ბოლო რიცხვებში), დავით ყიფიანი ფეხბურთიდან წავიდა! თანაც, ჩუმად და უხმაუროდ – კრასნოდარის **„ყუბანთან“** პირველი ტაიმი ითამაშა და შესვენების შემდეგ... მოედანზე აღარც გამოსულა, არც გაცილება მოუწყვია ვინმეს და არც მადლობა გადაუხდიათ, თითქოს, ერთ ჩვეულებრივ მოთამაშეს დაესრულებინოს კარიერა...

მართლაც ძნელია ყიფიანი-ფეხბურთელზე ამომწურავად ისაუბრო, – ყველაფერს ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ვერ დაატევ; თუმცა, რამდენიმე გამონათქვამი გვინდა შემოგთავაზოთ, სხვადასხვა დროს პოპულარულ უცხოურ გამოცემებში რომ დაბეჭდილა. თანაც, ვისაც დავით ყიფიანის თამაში უნახავს, ყველა დაგვეთანხმება, რომ გადაჭარბებული იქ არც არაფერია; ისე როგორც იმ გამოკითხვაში, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ რომ მოეწყო და რომლის მიხედვითაც, ესპანეთის მუნდიალზე ან ზიკოს უნდა გაებრწყინა, ან – პლატინის, ან – სოკრატესსა და ან კიდევ – დავით ყიფიანს!

...1983 წელს, თავისი არსებობის ისტორიაში **„დინამომ“** ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა - XVI ადგილზე გავიდა და პირველ ლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩა. მომავალი სეზონიდან კი **„დინამოს“** მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანი დაინიშნა და შედეგიც აშკარად უკეთესზე მეტი იყო - **„დინამო“** VII ადგილზე გავიდა. თუმცა, 1985 წლის მეორე ნახევრიდან, ყიფიანს **„დინამოდან“** წამოსვლამ მოუწია და სამი წელი სხვა სფეროში მოღვაწეობდა. 1988 წლიდან ისევ სამწვრთნელო ასპარეზს დაუბრუნდა: ჯერ საკავშირო II ლიგაში მოასპარეზე **„ოლიმპიური მომზადების ცენტრს“** ავარჯიშებდა (სადაც პერსპექტიული ბიჭები დააწინაურა), შემდეგ კი ისევ **„დინამოს“** საშველად უხმეს, გერმან ზონინის ხელში კვლავაც I ლიგისკენ რომ მიექანებოდა...

...1990 წლიდან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და, ალბათ, დიდი დრო უნდა გავიდეს ყიფიანი-მწვრთნელის მიღწევები რომელიმე სპეციალისტმა რომ გააუმჯობესოს. თავად განსაჯეთ: ყიფიანი-მწვრთნელი შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (ხუთჯერ – **„დინამოში“**, ორჯერ - ქუთაისის **„ტორპედოში“**), ოთხჯერ კი – თასის მფლობელი! შორს წაგვიყვანს იმ მოთამაშეების ჩამოთვლა, სწორედ ყიფიანის ხელმძღვანელობით რომ გაიცნო საფეხბურთო სამყარომ: კახა ცხადაძე, კახა გოგიჩაიშვილი, გიორგი ნემსაძე, მიხეილ ყაველაშვილი, ძმები არველაძეები, გოჩა ჯამარაული, მურთაზ შელია, ნიკა ჩხეიძე, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, მალხაზ ასათიანი და სხვები...

...1997 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩააბარეს და ჩვენი უპირველესი გუნდი შვიდ მატჩში მხოლოდ ორჯერ დამარცხდა; თუმცა, იმავე წლის 11 ოქტომბერს პოლონეთთან შთამბეჭდავი გამარჯვების მერე... კონტრაქტი არ გაუგრძელეს! სამი წლის მერე ისევ დაბრუნდა საქართველოს ნაკრებში (რევაზ ძოძუაშვილთან ერთად), მაგრამ მაშინ ხომ ყველა არარეალურს ვითხოვდით და რახან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოვიპოვეთ, ამაში რაღა თქმა უნდა, მწვრთნელი დავადანაშაულეთ...

ლექსებს მაშინაც უძღვნიდნენ, როცა ფეხბურთს თამაშობდა და შემდეგაც, 2001 წლის 17 ოქტომბრის იმ ავბედითი დღის მერეც...

ამონარიდები გამოყენებულია გია გორგოძის წიგნიდან **„დღესასწაულის წადილი“**.

***

„ვესტ ჰემი“ თითქოს გააოცაო უბრწყინვალეს კინოვარსკვლავებთან შეხვედრამ, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშებიანი და თმაშეთხელებული ვაჟკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „ეპტონ პარკში“ ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავის სამფლობელოში“

„ტაიმსი“

***

„დინამოს“ ყავდა მოთამაშე, რომელმაც ყველაფერი დაჩრდილა მინდორზე. იენელთა მწვრთნელმა ჰანს მაიერმა მშვენივრად იცოდა, რას აკეთებდა, როცა კრაუზეს სახით დაუღალავი დარაჯი მიუჩინა, მაგრამ თბილისელთა მესაჭემ და შესანიშნავმა ტექნიკოსმა დავით ყიფიანმა კრაუზეს თამაშიდან არ გამოათიშინა თავი. ბოლო წუთზე მან ისეთი სილამაზის ილეთი ჩაატარა, რომ მაყურებელს დიდი ტაში მოწყვიტა“.

„რაინიშე პოსტი“

***

„დინამოელებმა გვაჯობეს, მათ დაგვჯაბნეს ტექნიკასა და იმპროვიზაციაში. ყიფიანი რომ ბურთს მიიღებდა, გამაჟრჟოლებდა ხოლმე ... თბილისის „დინამო“, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ჩვენთვის „ტომარაში გამომწყვდეული კატა“ იყო, თურმე ტომარაში ვეფხვი ყოფილა...

ბობ პეისლი, „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი

***

„ლივერპული“ ცდილობდა მისთვის დამახასიათებელი სტილით ეთამაშა, მაგრამ იგი გაანადგურეს ფეხბურთელებმა, რომლებიც დიდებულად ფლობენ თამაშის ხელოვნებას...

განუმეორებელი იყო ყიფიანი - იგი ასრულებდა წამყვან როლს „დინამოს“ ყველა კომბინაციაში... ეჭვი არ არის, რომ „დინამო“ ახლა „ლივერპულზე“ მაღლა დგას“.

„ბარდიანი“

დათო მაღრაძე

ყოველდღიური სპორტული გაზეთი „ლელო“

## ჭიჭიკო ჯოტოს ძე წულაია 80 წლის გახდებოდა

ჭიჭიკო (ღუჭუ) წულაია დაიბადა 1931 წლის 16 ივნისს, ოჩამჩირეში. 1940 წელს შეიყვანეს №2 რუსულ სკოლაში, რომელიც 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ქალაქ სარატოვის ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1955 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამომძიებლად მუშაობდა ქალაქ სოხუმში.

მას ბავშვობიდან უყვარდა ფეხბურთი. ჯერ თამაშობდა ოჩამჩირის ბავშვთა სპორტულ სკოლაში. იყო აფხაზეთის ბავშვთა ნაკრების წევრი და იმ წელსვე (1950) შეიყვანეს საქართველოს ბავშვთა ნაკრებში. ქალაქ სარატოვში სწავლისას თამაშობდა ინსტიტუტის ფეხბურთის ნაკრებ გუნდში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს №1 გუნდში, რომელსაც ერქვა **“ენერგია”** და თამაშობდა **“ბ”** კლასის ლიგაში (მაშინ საბჭოთა კავშირში საფეხბურთო გუნდები ორ საკვალიფიკაციო **“ა”** და **“ბ”** ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი). ცოტა ხანში ჭიჭიკო წულაია გუნდის კაპიტანი გახდა.

სარატოვში სწავლისას შეუყვარდა რუსი გოგონა კირა და მალე დაქორწინდნენ კიდეც. შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც კონსტანტინე დაარქვეს.

1954 წელს **“ენერგია”** და თბილისის **“დინამო”** ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ, ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასზე გამართულ ტურნირში. როდესაც დიქტორმა წარმოადგინა **“ენერგიის”** გუნდის შემადგენლობაში მყოფი ქართველი ფეხბურთელები ღუდა ჯობავა და ვალერიან ჯიქია, გულშემატკივრებმა ტაში დასცხეს, ჭიჭიკო წულაიას გვარის გამოცხადებას კი ზღვა ხალხი ოვაციითა და პატივისცემის გამომხატველი შეძახილებით შეეგება. მთელი მატჩის განმავლობაში ქართველი მაყურებელი **“ჭიჭიკო წულაიას გუნდს”** გულშემატკივრობდა, მაგრამ **“ენერგია”** მაინც დამარცხდა 0:3, რადგან თბილისის **“დინამო”** მაშინ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო.

ჭიჭიკო წულაიამ სულ რამდენიმე წელიწადი იმუშავა გამომძიებლად. შემდეგ ჩამოყალიბდა აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრო, სადაც მინისტრად დაინიშნა ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინის მკვიდრი შოთა ჭოლოკუა, მისი მოადგილის თანამდებობა კი ჭიჭიკო წულაიამ დაიკავა.

შემდეგ იგი ქალაქ სოხუმის პროკურორად დაინიშნა, მოგვიანებით კი კვლავ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დააბრუნეს.

ტრაგედია მოულოდნელად მოხდა ქალაქ მოსკოვში, სადაც ბატონი ჭიჭიკო წულაია შვებულებას ატარებდა. სასტუმროში გულმა შეუტია, ტკივილი იმდენად აუტანელი იყო, რომ შოკში ჩავარდა და სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლამდე გარდაიცვალა.

მაშინ ჭიჭიკო წულაია 50 წლისაც კი არ იყო.

როდესაც მისი ცხედარი დრანდის აეროპორტში ჩამოასვენეს, თითქმის მთელი აფხაზეთის საზოგადოება დახვდა. ადამიანები გულწრფელად დასტიროდნენ ვაჟკაცს, რომელსაც, მიუხედავად ადმინისტრაციულ თანამდებობებზე წლობით მუშაობისა, მაინც არავისათვის მიუყენებია გულისტკივილი და ერთგულად და უმწიკვლოდ ემსახურებოდა სამშობლოს, ხალხსა და კანონს.

დაკრძალეს მშობლიურ ოჩამჩირეში – **“ნაგვალუში”**. ოჯახსაც არ გაუმართლა: მეუღლე კირა და ვაჟიშვილი კონსტანტინე ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ და ჭიჭიკოს გვერდით დაიდეს სამუდამო სასუფეველი. შემდეგ ჭიჭიკოს მემორიალიც დაუდგეს.

თანაკლასელებს (სამწუხაროდ, ისინიც ცოტანი დარჩნენ), მეგობრებს, უფროსი თაობის ფეხბურთელებს, ნათესავებს, ახლობლებს არასოდეს დაავიწყდებათ გულმართალი, კეთილშობილი ვაჟკაცი **ჭიჭიკო ჯოტოს ძე წულაია.**

თანაკლასელების სახელით,

ჭიჭიკო ბარამია

**გაზეთ “ილორის” რედაქციისაგან: ამ წერილის ავტორი, ჭიჭიკო წულაიას თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი ბატონი ჭიჭიკო ბარამია 80 წელს გადაცილებული ღვაწლმოსილი ადამიანია, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ღირსებითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით. იგი ასევე მეგობრობდა განსვენებულ ბორის ადლეიბასთან და ამჟამად მასზე სპეციალურ წერილს ამზადებს გაზეთ “ილორისათვის”. მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ ჭარმაგი დაუზარელი ადამიანისათვის, რომელიც ცდილობს, რომ მომავალ თაობებს არ დაუკარგოს იმ პიროვნებათა ხსოვნა, რომლებიც წლების მანძილზე პირნათლად ემსახურებოდნენ სამშობლოსა და მშობლიურ ხალხს.**

**დღეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ჭიჭიკო!**

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორები ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27